ჯულიეტა რუხაძე

მოგონებები

ინტელექტი

© ჯ. რუხაძე, 2008.
© გამომცემლობა ინტელექტი.

ISBN 978-9941-402-66-1

შესავალი

ცხოვრების 87 წელგავლილ ადამიანს, ბუნებრივია, უამრავი მოსაგონარი მაქვს. ცხოვრება ხომ ძალიან ტკბილია და თან ძალიან მწარე. მეც ერთიც ბევრი მქონია და მეორეც. ჩემი მეგობრების ასაკი მრავალგვარია... ფიქრები მათთან გატარებულ დღეებს არ მავიწყებს. სამწუხაროდ, ბევრ, ძალიან სასიამოვნოდ მოსაგონარ ადამიანს ულმობელმა სიკვდილმა დარია ხელი... ზოგი დღესაც წარმატებით ეწევა ცხოვრების ჭაპანს. ზოგთან პროფესია მაკავშირებდა, ზოგთან – ნათესაობა, ნაცნობობა, საერთო წრე, მეგობრობა... ბევრ მათგანზე ადრევე მქონდა დაწერილი სხვადასხვა თარიღთან დაკავშირებული წერილები, რომელთაგან ზოგი გამოვაქვეყნე, ზოგი – არა.

ვგონებ, ურიგო არ იქნება, გაგაცნოთ ჩემ მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი მოგონებები არა მხოლოდ იმ ადამიანებზე, რომელთა სახელებსაც ფართო საზოგადოება კარგად იცნობს, არამედ ჩემს იმ ახლობლებზეც, რომლებმაც ღრმა კვალი დამიტოვეს გულში... ცხოვრების წესი ასეთია: ნლები მიქრის, ახლობლები, შეუცვლელი ადამიანები თანდათან გვაკლდებიან... რჩება დიდი გულისტკივილი, ტკბილ-მწარე მოგონებები... მაგრამ სიცოცხლე მაინც გრძელდება, ხე სიცოცხლისა ჩამოტეხილი ტოტების ნაცვლად ახალ-ახალ ამონაყრებს იღებს... მინდა ვუსურვო ყველა ჩემს ახლობელს ჯანმრთელობა, სულის სიმხნევე, დიდი ხნის სიცოცხლე, სამეცნიერო, შემოქმედებითი, პირადი წარმატებები, უბრალოდ – ადამიანური ბედნიერება.

კიდევ ერთ სურვილს გაგანდობთ. არასოდეს გამ-ნელებია ინტერესი, უფრო ღრმად ჩავწვდომოდი „სიცოცხ-ლის ხის" სამეცნიერო პრობლემატიკას. მიუხედავად ჩემი ასაკისა, კიდევ მაქვს სურვილი, მოვამზადო გამოსაცემად ნიგნი „სიცოცხლის ხე", რომელშიც შევეცდები, მთელი ჩემი სამეცნიერო მოღვაწეობა შევაჯამო.

ჯ. რ.

გიორგი ჩიტაია და ვერა ბარდაველიძე

ეთნოგრაფია იყო ჩვენი ოჯახი,
შვილი, სიცოცხლის მიზანი,
ჩვენ ამით ვცოცხლობდით."
გიორგი ჩიტაია

გიორგი ჩიტაია და ვერა ბარდაველიძე, ეს სახელები განუყოფლად არის დაკავშირებული ქართული ეთნოგრაფიის განვითარებასთან. ამ ორი ადამიანის ინტერესების ერთობამ ხელი შეუწყო მათი სანიმუშო მეგობრობის ჩამოყალიბებას, ქართული ეთნოლოგიური სკოლის შექმნას და ამ დარგის განვითარება-დაწინაურებას. მთავარი მონაპოვარი ამ სკოლისა, რომლის დამფუძნებელი გიორგი ჩიტაია გახლდათ, ის არის, რომ დღეს არსებობს საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებული მეცნიერული დისციპლინა „ქართული ეთნოლოგია", რომლის უმთავრესი პროგრამა არის ქართველი ერის ისტორიასთან განუყოფელ კავშირში საქართველოს ეთნოგრაფიული კვლევა, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის, მატერიალური კულტურის, სოციალურ ურთიერთობათა და სულიერი კულტურის საკითხების განხილვა კულტურულ-ისტორიულ და ეთნოგენეტიკურ ჭრილში.

ეთნოგრაფიის დარგის აღმავლობას საქართველოს ისტორიის და ეთნოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში ჩაეყარა მყარი საფუძველი. აქვე დაინყო გიორგი ჩიტაიას და ვერა ბარდაველიძის ერთობლივი მოღვაწეობა, გაიკვალა მათი

მეცნიერული ზრდისა და შემოქმედებითი ძიების ფართო გზა, რომელიც გულისხმობდა ეთნოგრაფიული კოლექციების შეგროვებასა და ცენტრალური ბაზის შექმნას, საველე-საექსპედიციო მუშაობის გაშლას, ეთნოგრაფიული მასალების მეცნიერულ შესწავლას, საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის თეორიული საკითხების დამუშავებასა და ახალი სამეცნიერო კადრების მომზადებას.

გ. ჩიტაიას მეცნიერული თვალსაწიერი მეტად ფართოა – არქეოლოგიას, ქართველოლოგიასა და კავკასიათმცოდნეობას მოიცავს, მაგრამ მისი კვლევის ძირითადი სარბიელი ეთნოლოგია გახდა. ეთნოლოგიაში მეცნიერის ინტერესების მასშტაბი ძალზე ვრცელია: სამინათმოქმედო სისტემები, სახვნელი იარაღები, საქართველოს კულტურულ-ისტორიული და ეთნოგენეტიკური საკითხები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, დასახლების ტიპები, კოსტიუმები, ორნამენტები და მრავალი სხვა. დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა მისეულ გამოკვლევას სამინათმოქმედო სისტემისა და სამინათმოქმედო იარაღების შესახებ, რომელიც ამ სფეროში ჩატარებული დიდი მუშაობის კლასიკური ნიმუშია. გიორგი ჩიტაიამ ფართო მკითხველს საშუალება მისცა, ღრმად გაეცნო და გაეთავისებინა მხოლოდ საქართველოსათვის დამახასიათებელი სამინათმოქმედო იარაღების თავისებურებანი, მათი დამზადებისა და მოხმარების წესები. აღსანიშნავია, რომ მან პირველმა მოახდინა სახვნელი იარაღების მეცნიერული კლასიფიკაცია. გ. ჩიტაიას სამეცნიერო ნაშრომებმა დიდი ხანია უმაღლესი შეფასება დაიმსახურა ჩვენში და ჩვენი ქვეყნის გარეთ. სამინათმოქმედო ყოფა მკვლევარს შესწავლილი და განხილული აქვს, როგორც თვითმყოფადი კულტურული კომპლექსის ნაწილი, რომელიც შრომითი ჩვევებისა და საწარმოო გამოცდილების თავისებურებათაგან შედგება. სამინათმოქმედო სისტემის ამგვარი სტრუქტურა ჩვ. ნ. აღ-

მდე მე-18 საუკუნეში შუმერებში ე. წ. „გლეხის კალენდარ-შია“ დადასტურებული, ხოლო ათასი წლის შემდეგ, ჩვ. წ. აღ-მდე მე-8 საუკუნეში, ჰესიოდეს შრომაში – „სამუშაონი და დღენი“.

უმნიშვნელოვანესია გ. ჩიტაიას მიერ ეთნოგენეზის შესასწავლად წარმოებული მუშაობა. მან ეთნოგენეზი განიხილა, როგორც ტომთა და ხალხთა ისტორიული კავ-შირების შერწყმისა და კულტურული გავლენის შინაგანი განვითარების პროცესი.

კავკასიის და საქართველოს მდიდარი ეთნოგრაფიუ-ლი მასალის შედარებითმა ისტორიულმა შესწავლამ და ანალიზმა გიორგი ჩიტაია მნიშვნელოვან დასკვნამდე მი-იყვანა: უკვე ბრინჯაოს ეპოქის დასასრულსა და რკინის ეპოქის დასაწყისში საქართველოში არსებობდა კულტურის სპეციფიკური თავისებურებების ჩამოსაყალიბებლად აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობები. ენასთან ერთად ეთნიკური თავისებურება უმნიშვნელოვანესი ფაქ-ტორია ქართველი ხალხის ეთნოგენეზის საზოგადოებრივი პრობლემების გადასაწყვეტად.

ქართული ხალხური ტანსაცმლის სხვადასხვა ელემენ-ტის ანალიზისას გ. ჩიტაიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ორნამენტს და ვერა ბარდაველიძესთან ერთად შექმნა საყურადღებო გამოკვლევა – „ქართული ხალხური ორნამენტი – ხევსურეთი“ (თბილისი, 1939 წ.). დროთა განმავლობაში ამ ნაშრომის ღირებულება სულ უფრო იზ-რდება, რადგანაც დღეს თანდათან ქრება ამ წიგნში აღ-წერილი ტრადიციები. ეთნოგრაფიული მასალის კვლევის საფუძველზე ნაშრომში ამოხსნილია ამ გამოსახულება-თა – ორნამენტთა – რელიგიური შინაარსი, დადგენილია მათი სახესხვაობები, გამოსახვის ხერხები და სხვ. ნაჩვენ-ებია ჯვრის ორნამენტის შორეული ფესვები, უარყოფილია XIX საუკუნეში გამოთქმული შეხედულება (ზისერმანი) ამ

ორნამენტის მქონე ხალხის ჯვაროსნებთან კავშირის შესახებ.

ბატონ გიორგის მახვილი თვალი და ეთნოგრაფიული მასალის სპეციფიკის წვდომის, განზოგადებისა და წინ წამოწევის იშვიათი ნიჭი ჰქონდა. ამას მკვლევარი აღწევდა საქართველოს, კავკასიის, წინა აზიისა და სხვა ხალხების ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის მონაცემთა ღრმა ცოდნით.

გ. ჩიტაიამ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის მრავალი საკვანძო საკითხი გახსნა; გაარკვია მოსახლეობის ბარში ჩამოსახლების ისტორიული პროცესების კანონზომიერება, რომელიც, მისი დაკვირვებით, მთის პირობებში სანარმოო ძალთა და ურთიერთობათა განვითარების კონკრეტული პირობებით იყო განსაზღვრული და მუდმივმოქმედ ფაქტორს წარმოადგენდა. შენიშნა, რომ მოსახლეობის მიგრაციას განაპირობებდა ეკონომიკურ-სამეურნეო პირობები, მცირემიწიანობა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების შეზღუდულობა, რაც ნამატი მოსახლეობისათვის საჭირო საარსებო მინიმუმის შექმნას აძნელებდა.

გ. ჩიტაიამ დიდი ამაგი დასდო ქართველი ხალხის მდიდარი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის შესწავლას. მეცნიერმა პროფესორ ვერა ბარდაველიძესთან ერთად ფართო ეთნოლოგიური მუშაობა გაშალა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (პროგრამა-კითხვარი შედგენილი იყო ვ. ბარდაველიძის მიერ); სწავლულმა კორესპონდენტებმა ნ. და მ. ბალიაურებმა, ლ. ოჩიაურმა, ნ. მაკალათიამ, ფ. გარდაფხაძემ, მ. ქიქოძემ, ა. ონიანმა, დ. მარგიანმა, მ. გუჯეჯიანმა, ვ. შილაკაძემ, ალ. დავითიანმა და სხვებმა (ზოგმა მათგანმა შემდეგში ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლად განაგრძო მუშაობა) თითოეული კუთხისთვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებების დაცვით

უამრავი მასალა შეკრიბეს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ შეუძლებელია საქართველოს ეთნოლოგიის მკვლევარმა მართებულად წარმოიდგინოს ქართველი ხალხის წარსული ყოფა და კულტურა ამ მასალების გარეშე.

აღსანიშნავია გ. ჩიტაიას მიერ და მისი ხელმძღვანელობით დაწერილი გამოკვლევები იმდროინდელი გლეხობისა და მუშათა ახალ კულტურასა და ყოფაზე. იგი დროს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, ჩვენი ცხოვრების მხარდამხარ იდგა და ხალხის შრომითი შემართება მისთვის გასაგები იყო. მას უყვარდა ქვეყნის სიკეთისა და დოვლათის შემქმნელი მშრომელი ადამიანები, მათ მიერ აშენებული ახალი ცხოვრება. ეს დიდი სიყვარული გაცხადებულია გ. ჩიტაიას მეცნიერულ ძიებაში, მის მიერ აღწერილ გარემოსა და ყოფაში.

გიორგი ჩიტაიას კარგად ჰქონდა შეგნებული საკუთარი მოვალეობა დროისა და ერის წინაშე, ამიტომ მუდამ ცხოვრების შუაგულში, იმ რთული საქმის ძიებაში იყო, რომელიც ყველაზე მეტად საჭიროებდა მის დიდ ნებისყოფასა და თავდადებას. ბატონმა გიორგიმ ქართული მეცნიერული ეთნოლოგიის პირველი კვალი გაავლო. მუდამ ცდილობდა ეროვნული პრობლემების გადაწყვეტას და ყოველთვის ქრისტიანული კაცთმოყვარეობისა და ერთა შორის მეგობრული ურთიერთობის მაგალითს გვაძლევდა.

გ. ჩიტაიას დიდი მონდომებისა და ღვაწლის შედეგად თბილისში მოეწყო ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრების და ხალხური ხუროთმოძღვრების მუზეუმი (ეთნოგრაფიული მუზეუმი), რომლის შექმნაზე ზრუნვა მან 1945 წელს აკად. სიმონ ჯანაშიას დიდი მხარდაჭერით დაიწყო. იგი თბილისის სამხრეთ-დასავლეთით მთის ფერდობზე, კუს ტბის მიდამოებში მდებარეობს. აქ მნახველი დიდი კმაყოფილებით გაეცნობა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ნაგებობებს და ყოფის ამსახველ ნივთებს. აკად. აკაკი შანიძე წერდა:

„სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა გიორგი ჩიტაიას, ეს ღია ცის ქვეშ მონყობილი მუზეუმიც საკმარისი იქნებოდა მისი სახელის უკვდავსაყოფად“.

ბატონ გიორგის ასევე დიდი ღვაწლი მიუძღვის გ. ბაა-ზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა მუზეუმის ჩამოყალიბებაში, ჟურნალ „ძეგლის მეგობრის“ (დამაარსებელი ლევან გოთუა) საქმიანობაში. იგი 22 წლის მანძილზე ამ ჟურნალის ეთნოგრაფიის განყოფილების მუდმივი პასუხისმგებელი რედაქტორი იყო.

განსაკუთრებულია გიორგი ჩიტაიას, როგორც საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარის, მოღვაწეობა. მან თავისი აქტიური მონაწილეობით დიდი ამაგი დასდო ქართული ენციკლოპედიის ეთნოგრაფიული ნაწილის თემატიკის დადგენასა და სრულყოფას.

მეცნიერის საქმიანობიდან უნდა აღინიშნოს ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მასალების გამოცემა, რომლის ოთხი ნაკვეთი სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა: მინათმოქმედება (1980), მემინდვრეობა (1985), საქართველოს მთიური საცხოვრებელი ნაგებობანი და მესაქონლეობა საქართველოში (1986).

თუ თვალს გავადევნებთ ბატონი გიორგის მოღვაწეობას, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რამდენად ნაყოფიერი და ახალგაზრდული შემართებით აღსავსე იყო მისი ხანდაზმულობა. მან ვერ მოასწრო დიდი ხნის ნაფიქრი და ნაოცნებარი „ეთნოგრაფიული ნარკვევების“ დასრულება, რომლის ერთი ვარიანტი – „ქართველები“ – ჯერ კიდევ 1956-1958 წწ. დაიწერა. 1985 წელს ამ საქმეს მისივე ინიციატივით და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის, აკად. გიორგი მელიქიშვილის, მხარდაჭერით ჩაეყარა საფუძველი.

სამწუხაროდ, ბატონ გიორგის განუხორციელებელი დარჩა მრავალი შემოქმედებითი ჩანაფიქრი, მაგრამ ყველა

ის საქმე, რომელსაც მან ხორცი შეასხა, ოქროს ასოებით ჩაინერა ქართული კულტურის ისტორიაში.

ძალზე დიდია გ. ჩიტაიას ღვაწლი, როგორც მრავალი ათეული სამეცნიერო კრებულის, მონოგრაფიის თუ გამოკვლევის რედაქტორისა ან რეცენზენტისა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაარსდა ეთნოგრაფიული კრებული „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", რომლის ოცი ტომის რედაქტორი თავად გახლდათ (1938-1979 წწ.).

ბატონი გიორგი განუმეორებელი მასწავლებელი იყო. მხცოვან მეცნიერს მრავალი მოსწავლე ჰყავდა. მან მოძმე რესპუბლიკების და უცხოელ ახალგაზრდა მეცნიერთა არაერთი თაობა გამოზარდა. მზრუნველობას არ აკლებდა თავის ასპირანტებს, თანამშრომლებს, სტუდენტებს. წლების განმავლობაში განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსულ ეთნოგრაფიით დაინტერესებულ პირებთან.

დასასრულ, უნდა შევჩერდე გიორგი ჩიტაიას საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროზე – საველე მუშაობაზე, რომელსაც უდიდესი კავშირი აქვს მთელ მის მოღვაწეობასთან.

ველზე მუშაობა ბატონი გიორგისთვის სასიცოცხლო საჭიროებას წარმოადგენდა, რომლის გარეშე მისი არსებობა წარმოუდგენელი იყო. გ. ჩიტაიას მთხრობელთან ურთიერთობის შესანიშნავი ალღო ჰქონდა და მათთან არაჩვეულებრივად ამყარებდა კონტაქტს. მისი სტიქია ფეხით მოგზაურობა იყო, იგი ყველაფერს იმახსოვრებდა, ინიშნავდა, აანალიზებდა. ალბათ, ასე ჩაეყარა საფუძველი მის შესანიშნავ ნაშრომებს (1997-2002), რომლებიც ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების საძირკველს წარმოადგენს. სიცოცხლის მიმწუხრს თავისი მემკვიდრეობის გამოცემა ბატონმა გიორგიმ ერთგულ მოწაფეს, თამილა ცაგარეიშვილს, მიანდო, რომელმაც ეს უმძიმესი საქმე იტვირთა და

ჩვენი ისტორიული ყოფისა და კულტურის თვალშეუდგამი განძი ქართველ ხალხს გააცნო. სამწუხაროა, რომ საქართველოს მოსახლეობის ათი პროცენტიც არ იცნობს ამ ნაშრომებს, რასაკვირველია, არ ვგულისხმობ ეთნოგრაფებს და ისტორიკოსებს. უნდა გვახსოვდეს, რომ ეთნოგრაფია ისტორიის საძირკველია და კარგი იქნება, რომ ეს ყველამ გაითვალისწინოს.

ბატონი გიორგი არ ყოფილა თავისი წიგნების გამოცემით გატაცებული. დიდად განათლებული და ერუდირებული მეცნიერი ყველგან საკუთარ დაკვირვებებს ეყრდნობოდა. იგი ეკუთვნოდა იმ სვებედნიერთა რიცხვს, რომლებიც თავის მეხსიერებაში მთელი ქვეყნის სულიერი განვითარების ისტორიას იტევენ. მისი მუშაობის სპეციფიკა და სტილი მკირე ზომის მეცნიერული ნაშრომები გახლდათ.

გ. ჩიტაია ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, რომ ერთი წამითაც არ მისცემია უიმედობას, გული არ გასტეხია, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ეთნოგრაფების მომავალ ნარმატებებზე ფიქრობდა. საავადმყოფოში მის მოსანახულებლად ხშირად მივდიოდი, იმედიანად გამოიყურებოდა. ერთხელ შედარებით დიდხანს ვილაპარაკეთ, საუბარი ეთნოგრაფიის მომავალს შეეხებოდა. მან გამიზიარა თავისი შეხედულებები იმის თაობაზე, თუ რა უნდა გაკეთებულიყო დარგის განვითარებისათვის. მე პასიური მსმენელი ვიყავი, რადგან მასთან საუბარი ათას მოსმენილ ლექციასა და წაკითხულ წიგნზე მეტს მაძლევდა. უკანასკნელად რომ მივედი, დაღლილი მეჩვენა, სევდიანი თვალებით შემომხედა, ფილოსოფოსის სიმშვიდით ხვდებოდა ყველაფერს. დამარიგა, მას სნამდა, რომ მხოლოდ შრომით და საქმის სიყვარულით შეიძლება ეროვნული საქმის კეთება.

ამ წერილშივე მინდა აღვნიშნო გიორგი ჩიტაიას მომხიბლავი ადამიანური თვისებები – თავმდაბლობა, უბრალოება, გულისხმიერება.

ბატონი გიორგი უხმაურო, მოკრძალებული, დინჯი, უაღრესად კომუნიკაბელური და ღრმად ერუდირებული მეცნიერი იყო. ამასთან, მხარში მდგომი ყველა იმ ადამიანისა, ვინც მის ერს სიკეთეს მოუტანდა. გ. ჩიტაიას სიცოცხლე ქართული მეცნიერებისა და კულტურის სამსახურში დაიფერფლა, მან სამარადისოდ დაიმკვიდრა ადგილი ერის ხსოვნაში.

გ. ჩიტაიას მუდამ მხარში ედგა და იზიარებდა ეთნოგრაფიის განვითარებასთან დაკავშირებულ ავ-კარგს თვალსაჩინო მეცნიერი, კულტურის ცნობილი ისტორიკოსი ვერა ბარდაველიძე. იგი ზედმინევნით იცნობდა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხეებს, ფლობდა ეთნოგრაფიული მასალის მოპოვებისა და განზოგადების ბრწყინვალე უნარს. ვერც ერთი მკვლევარი, რომელიც ძველ ყოფასა და კულტურას სწავლობს, გვერდს ვერ აუვლის მის მეცნიერულ ნაშრომებს.

ეთნოგრაფიული კვლევის შესანიშნავი ნიმუშია ვ. ბარდაველიძის მონოგრაფია „სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ახალი წლის ციკლი“, რომელიც საფუძვლად დაედო მნიშვნელოვან მონოგრაფიებს: „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, ღვთაება ბარბარ-ბაბარ“, თბ., 1941 წ.; „ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები“, თბ., 1953 წ.

ქართველი ტომების ასტრალური რწმენა-წარმოდგენების – მზის და ნაყოფიერების ღვთაებათა თაყვანისცემის – მეცნიერულმა შესწავლამ მას საშუალება მისცა ბარბარ-ბაბარ-ის სახელით შემორჩენილი მზის „ქალღმერთის“ კულტი აღმოეჩინა. ვ. ბარდაველიძემ დაამტკიცა ქართველ ტომებში ამ ღვთაების არსებობის კვალი, გამოაელინა მისი ფუნქციები და დაადგინა, რომ ტერმინი ბარბარ//ბაბარ კავკასიური ძირეული სიტყვა ბარ-იდან არის ნაწარმოები, აქედანვე წარმოდგება სინათლის, სიმრგვალის, მცხუნვა-

რების, ელვარების, ე. ი. მზის თვისებათა გამომხატველი სიტყვები არაერთ კავკასიურ ენაში. მზის ქალღმერთ ბარ-ბარის შავბნელ ძალებთან – ნიშხა-ნიშხასთან – ბრძოლის ამსახველი გადმონაშთის კვლევით ვ. ბარდაველიძემ მნიშ-ვნელოვანი ფურცელი ჩაწერა ქართულ უძველეს გართობა-თამაშობათა ხალხური საწყისების კვლევა-ძიებაში.

50-იან წლებში ვ. ბარდაველიძემ დაიწყო რელიგიური და სოციალური ინსტიტუტების ურთიერთკავშირის შესწავლა. ნაშრომით „ხევსურული თემის მმართველობის სისტემა" (თბ., 1952 წ., რუსულად), რომელიც ძირითადად აგებულია რელიგიური ხასიათის და საზოგადოებრივი ყოფის მასალა-თა ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე, ახალი სიტყვა თქვა ქართველ მთიელთა ადრინდელ სოციალურ ურთიერ-თობაზე, დაადგინა თემის სოციალური და ეკონომიკური ბუნება, თეოკრატიული ხელისუფლების როლი მთიელთა თემის სტრუქტურაში.

ვ. ბარდაველიძემ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა და ქართველ მკითხველს გააცნო მრავალი საინტერესო საკითხი სვანური გრაფიკული ხელოვნებიდან. საწესო ნახ-ატების კონკრეტული მაგალითებით გაარკვია ხალხური სახვითი ხელოვნების წარმოქმნის ძირითადი საფეხურები, რაც ახალი სიტყვა გახდა ხელოვნების გენეზისის დასად-გენად. ნაშრომში გათვალისწინებულია სამეურნეო ყოფის სპეციფიკა და გარკვეულია, რომ გრაფიკული ხელოვნე-ბის სიუჟეტის მოტივები მიწათმოქმედ-მესაქონლე ხალხის ინტერესებს ასახავს. მან თავის ნაშრომებში გააკრიტიკა ცნობილი უცხოელი ეთნოლოგები, რომლებიც ხალხური ხელოვნების წარმოშობის ახსნას ვულგარული მატერიალ-იზმის პოზიციებიდან ცდილობდნენ. კერძოდ, გააკრიტიკა ცნობილი ამერიკელი მკვლევრის – ფრანც ბოასის – დი-ფუზიონისტური თეორია და გამოააშკარავა ამ თეორიის უძლურება ხალხური ხელოვნების გენეზისის ასახსნელად.

მეტად მნიშვნელოვანი და განმაზოგადებელი შედეგია მოცემული ვ. ბარდაველიძის ფუნდამენტურ შრომაში „ქართველურ ტომთა უძველესი სარწმუნოება და საწესო გრაფიკული ხელოვნება" (თბ., 1957 წ., რუსულად). ამ ნაშრომში სრულიად ახლებურად არის ნაჩვენები მთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური წყობისა და სულიერი კულტურის უმდიდრესი ტრადიციების საფუძველი. ახსნილია თრიალეთის ვერცხლის თასის რიტუალური კომპოზიცია, რამაც ახალ ასპექტში გააშუქა თრიალეთის ძველი კულტურის ეთნიკური კუთვნილების საკითხი – მეცნიერებაში აქამდე უცნობი და ნაკლებ გამოკვლეული მასალის ანალიზმა ტრადიციულად დამკვიდრებული აზრის გადასინჯვა და შეცვლა მოითხოვა. ვ. ბარდაველიძემ დაასაბუთა, რომ მთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური წყობილება ერთ წერტილზე გაყინული არასდროს ყოფილა; ისევე, როგორც სხვა ისტორიული მოვლენები, ისიც განიცდიდა ცვალებადობას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებმა განვლეს საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხური, მათ შორის ადრეკლასობრივი.

როგორი შემფასებლებიც არ უნდა გამოუჩნდნენ ვ. ბარდაველიძის ნაღვაწს და კონცეფციას, იმის უარყოფას ვერავინ შეძლებს, რომ ეს იყო და არის ქართული ეთნოგრაფიის და ისტორიული მოვლენების ურთიერთკავშირში დანახვისა და გააზრების მნიშვნელოვანი ცდა, რომელიც გვხიბლავს იმ სიდიადის გამომზეურებით, რაც საქართველოს მთიელთა ყოფისა და კულტურის შესწავლას, ამ მასალათა კვლევა-ძიებას მოჰყვა.

ვ. ბარდაველიძემ დაადგინა ქართველთა უძველესი რელიგიის განვითარების საფეხურები და ასტრალური ღვთაებისადმი მიძღვნილი რიტუალის ფორმები. ნათელი გახადა ისიც, რომ ამ რიტუალში მონაწილეობდა ხარი, რომელიც ცის უმაღლესი მბრძანებლის წმინდა ემბლემას

წარმოადგენდა. ამ ფაქტმა წარმოაჩინა ჩვენი წინაპრების კავშირი წინააზიისა და ხმელთაშუა ზღვის კულტურულ სამყაროსთან, რამაც დაადასტურა ქართველურ ტომთა სახნისით მინათმოქმედების რელიგიური შინაარსი. ამ საკითხთან უშუალო კავშირშია მისი გამოკვლევა გრაფემა „ჯარის" შესახებ.

„ჯარი", როგორც წმინდა ემბლემა და მისი იეროგლიფური ნიშანი, ხარის კულტის საფუძველზე უნდა იყოს შექმნილი. ვ. ბარდაველიძის აზრით, „ძველ ქართულში ასომთავრული ჯარის მოხაზულობა ამ გზით შეიძლება იყოს მიღებული. ხარის იდეოგრამა – „რქებით" და „შუბლით" გამოსახული – საფუძვლად დაედო გრაფემის მოხაზულობას და შეიძლება ამიტომაც ეწოდა მას „ჯარი".

აღნიშნული საკითხების შესწავლის შედეგად ნათელი გახდა, რომ აუცილებელია წარმოებული მუშაობის კიდევ უფრო გაღრმავება. საჭიროა, ვაწარმოოთ დადგენილი ზედნაშენური მოვლენების მატერიალური ბაზისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის ანარეკლთა კვლევა.

ვერა ბარდაველიძე სიძნელეებს არ ეპუებოდა და ცდილობდა მისულიყო ყველგან, სადაც მნიშვნელოვანი ეროვნული ძეგლები ეგულებოდა. ამ სუსტი აგებულების ქალს ფეხით და ცხენით ჰქონდა შემოვლილი საქართველოს ყოველი კუთხე, მთა და ველი. მან წამოიწყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შემონახული მიწისზედა საკულტო ძეგლების შესწავლა და არქიტექტურულ-მხატვრული ფიქსაცია, რითაც დაღუპვას გადაარჩინა ქრისტიანობამდელი ქართული ხელოვნების სათავეების თითქმის შეუსწავლელი ძეგლები. მან პირველმა გვიჩვენა, რომ ჯვარხატებისთვის განკუთვნილი ქართული ნაგებობანი კონსტრუქციებითა და დეკორით სრულიად ცალკე ჯგუფს ქმნის, რაც მნიშვნელოვანია ქართულ-კავკასიური და კიდევ

უფრო შორეული კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის განვითარების შესასწავლად.

ქალბატონი ვერას თავგანწირული მცდელობით მონყობილ ექსპედიციებში ეთნოგრაფებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ არქიტექტორები, ტოპოგრაფები, მხატვრები, კინემატოგრაფისტები. ამ ექსპედიციების შედეგია 700 ძეგლის არქიტექტურული ანაზომი (გეგმები, ფასადები, ჭრილები, ინტერიერები, სიტუაციური და გენერალური გეგმები). 50 ობიექტი შესწავლილია ტოპოგრაფიულად, შესრულებულია მხატვრული პეიზაჟები, ფოტოები. ეს მასალა მოიცვა აღმოსავლეთ საქართველოს ტრადიციულ საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლებისადმი მიძღვნილმა ტომებმა (ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი), სადაც თვალნათლივ ჩანს ქალბატონ ვერას კვლევის შესანიშნავი ალღო და უნარი. სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, ეს ფუნდამენტური შრომები ისეთ ძეგლად დარჩება თაობებისათვის, რომ სავსებით იკმარებს მისი სახელის უკვდავსაყოფად.

ამ პრობლემის შესწავლის ინტერესი დიდ მეცნიერს სიცოცხლის ბოლომდე არ დაუკარგავს. ვ. ბარდაველიძის ღვაწლის დიდი დაფასების სამაგალითოდ ფრანგი პროფესორის ქრისტიან პიგეტი დე რივასოს წერილის ერთი ფრაგმენტიც კმარა: „...მინდა მოკრძალებულად გამოვხატო ჩემი აღფრთოვანება მრავლისმომცველი და ჭეშმარიტად ამაღორძინებელი შრომისადმი, რომელიც ქალბატონმა ბარდაველიძემ იტვირთა საქართველოს მთებში თუ საკუთარ შრომებზე გათენებული ღამეებით. ეს ღვაწლი იმ დღიდან დაიწყო, როცა იგი შემეცნების ქალური დემონის ძალით აღტაცებული შეუდგა ძველისძველი სამლოცველოების კარიბჭეების გადალახვას და გრძელდება კვლავაც... მისმა ახალგაზრდულმა მგზნებარებამ გააოცა ყველა, მათ შორის მეცნიერებიც. მისი ცხოვრება ბრწყინვალე მაგალითია საკუთარი მრწამსის ძიებისა, რომლის სისხლხორ-

ცეული ნაწილია საქართველოს წარსული, ქართული წესი და ზნე."

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეთნოგრაფების ცხოვრებაში არ არსებობდა არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლის სულისჩამდგმელი და მონაწილე არ ყოფილიყო ქალბატონი ვერა. რასაკვირველია, იგი ვერ შეძლებდა ამ ტვირთის ზიდვას, მხარში რომ არ სდგომოდა მეცნიერებისათვის მასავით თავდადებული ადამიანი – გიორგი ჩიტაია.

საოცარი უბრალოება და თავმდაბლობა მოსდგამდა ვ. ბარდაველიძეს, თუმცა საკუთარი ღირსების შეგრძნება არასდროს ღალატობდა. იგი მუდამ ჭეშმარიტების გარკვევას ცდილობდა, იყო სამართლიანი, მზრუნველი. ეს მისი, როგორც მასწავლებლის და აღმზრდელის, დამახასიათებელი თვისება იყო. მისაბაძია მისი ოჯახის ყურადღება ახალგაზრდებისადმი. განსაკუთრებული ყურადღებით ექცეოდნენ ოსეთიდან, აფხაზეთიდან, ჩრდ. კავკასიიდან და უცხოეთიდან (საფრანგეთიდან, უნგრეთიდან, ინგლისიდან) ჩამოსულ ახალგაზრდებს. ქალბატონი ვერას გულისხმიერების ნიმუშად მისი გარდაცვალების გამო ბრიტანელი ქართველი მეცნიერის, თამარ დრაგაძის, ნათქვამს გავიხსენებთ: – „პროფ. ვ. ბარდაველიძე მარტო მასწავლებელი როდი იყო ჩემთვის. იგი მშობლიური მზრუნველობით მმოსავდა, აინტერესებდა არა მხოლოდ ჩემი სამეცნიერო მუშაობა, არამედ ჩემი ჯანმრთელობა, ჩემი პირადი ცხოვრება. იგი სისტემატურად მეკითხებოდა არა მარტო ჩემი მუშაობის დეტალებზე, არამედ იმასაც – ვისაუზმე თუ არა, კარგად მეძინა თუ არა. ხშირად მიფიქრია – ვარ თუ არა ღირსი ყოველივე ამისა, გავამართლებ კი ყოველივე ამას?" შესაძლოა, ასეთი გულითადი მოპყრობის შედეგია ქალბატონი ვერას მონაფე-მეგობრების ვრცელი სია.

ვ. ბარდაველიძე დაჯილდოებული იყო იმ სიყვარულის ნიჭით, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია იყო

ეთნოგრაფი. იგი უანგაროდ უწევდა პოპულარიზაციას ქართულ ეთნოგრაფიას ევროპაში; მრავალგზის მონაწილეობდა საერთაშორისო კონგრესებში, მისი მოხსენებები მუდამ გამოირჩეოდა არგუმენტაციის სიძლიერით და საკითხის დასმის ახლებური ასპექტით.

ვ. ბარდაველიძე ასამდე ნაშრომის ავტორია. მისი მონოგრაფიები ისტორიული მეცნიერებისათვის დიდი შენაძენია. მეცნიერის შრომები გამოქვეყნებულია ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უნგრეთში, საფრანგეთში, იაპონიასა და ინდოეთში.

ქალბატონი ვერას საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე ფიქრისას მაგონდებიან ის ადამიანები, ვინც საზოგადოებაზე გავლენას ახდენენ არა მარტო თავიანთი ნაწერებით, არამედ, კიდევ უფრო მეტად, პირადი საქციელით და საქმიანობით. ვ. ბარდაველიძე უაღრესად მომთხოვნი და კრიტიკული იყო თავის ძიებებში. იგი სამაგალითო იყო თავისი პროფესიონალიზმით. მისთვის არ არსებობდა დიდი და პატარა ნაშრომი, თითოეულ მათგანზე მთელი გატაცებით, ძალების მაქსიმალური დაძაბვით მუშაობდა. იყო საოცრად მოკრძალებული, პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე და ამავე დროს, მუდამ დაუკმაყოფილებელი საკუთარი შემოქმედებითი მიღწევებით. მას ბევრი რამ დარჩა უთქმელი, ჩვენი მეცნიერება მისგან კიდევ მრავალ საინტერესო ნაშრომს მოელოდა.

ქალბატონ ვერას ეხერხებოდა პირადი ანტიპათიის დაფარვა, არ უყვარდა ჭკუისდამრიგებლური საუბარი. პატარა ბავშვსაც კი ყურადღებით უსმენდა და ჰქონდა სხვისი აზრის პატივისცემის უნარი. იგი ყოველთვის, უაღრესად მძიმე ავადმყოფობის დროსაც, ფხიზლად იდგა ქართველი ერის ინტერესების სადარაჯოზე. ეს გულისხმიერი და ფაქიზი ადამიანი უმალვე ულმობელი და მკაცრი ხდებოდა,

როცა საქმე საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ხელყოფას შეეხებოდა.

გიორგი ჩიტაიამ და ვერა ბარდაველიძემ თავისი სიცოცხლე, ცოდნა-გამოცდილება უანგაროდ შესწირეს ქართულ ეთნოგრაფიას.

ბედნიერად ვთვლი თავს, რომ მათ გვერდით მიხდებოდა მუშაობა. ბატონი გიორგი და ქალბატონი ვერა ისე მაგიურად ზემოქმედებდნენ გარშემომყოფებზე, რომ ყველამ, ვინც მათ გვერდით იღვაწა, ეთნოგრაფია ცხოვრების მიზნად გაიხადა. სხვაგვარად, ალბათ, ეს დარგი არ შეიქმნებოდა. დღეს განსაკუთრებით საშურია ასეთი დიდი პიროვნებების ცხოვრებისა და მოღვაწეობის სურათის აღდგენა, რომ შთამომავლობამ კარგად შეიცნოს, როგორ უნდა აკეთო საქვეყნო საქმე.

მარადი ხსოვნა მათ სახელებს მადლიერი მოწაფეებისაგან, საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობისგან, რომელთა ემპირიულ ცოდნას გ. ჩიტაიამ და ვ. ბარდაველიძემ ისტორიული ღირებულება მიანიჭეს.

წარსულის ფურცლები

„ან სად არიან იგინი, მას ჟამსა
ლხინში ვინც იყვნენ?"

მთელი ჩემი ცხოვრება ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში გავატარე, 25 წლისამ დავიწყე მუშაობა და 85 წლისამ დავტოვე ეს ინსტიტუტი. ამიტომ, ჩემთვის ერთნაირად ძვირფასი და სანუკვარია ყველა მისი ადგილსამყოფელი ლერმონტოვის (ენიმკი), ძერჟინსკის თუ მელიქიშვილის ქუჩაზე, მშობლიურია ყველა მისი კუთხე-კუნჭული, კედლები და სამუშაო ოთახები, სადაც 60 წლის მანძილზე მრავალი მოვლენის მომსწრე გავხდი და დაუვიწყარია ყველა ის პიროვნება, რომელთანაც მუშაობის ათეული წლები მაკავშირებს.

ჯერ კიდევ ახალბედა სტუდენტი ვიყავი, როცა პირველად შევაღე ენიმკის კარები. ეს იყო 1941 წლის 5 მაისს. გიორგი ჩიტაიამ უნივერსიტეტიდან წამიყვანა ლ. ბოჭორიშვილის დისერტაციის დაცვაზე დასასწრებად. ქალბატონმა ლუბამ თავისი არაჩვეულებრივი გამოსვლით ყველა მოხიბლა. იმ დღიდან ისტორიკოსთა სამეცნიერო კორპუსის მიმართ კრძალვით განვიმსჭვალე. იქ ვიხილე პირველად ლევან მუსხელიშვილი, შესანიშნავი მეცნიერი და არაჩვეულებრივი პიროვნება. აქ ვნახე თეოდორ ვავილოვი – უცხო ენების სპეციალისტი. მახსენდება ქალბატონი რუსუდან ხარაძე, ლუბა ბოჭორიშვილის ოპონენტი, ჩემი მასწავლებლები – ქალბატონი ვერა და ბატონი გიორგი.

მშვენიერი იყო ჩვენი ინსტიტუტი. ისეთი სასიამოვნო გარემო სუფევდა, იქ მისვლა ყველას უხაროდა. ვიგონებ შესანიშნავ პერსონალს, რომლის მხრებზეც გადადიოდა ინსტიტუტის საქმიანობის მთელი სიმძიმე; მაგონდებიან ქალბატონები – სოფიო მაჭავარიანი და თამარ მაისურაძე. დღე არ გაივლიდა, კანცელარიაში რომ არ შეგვეხედა, სადაც კულტურითა და შინაგანი სხივით განათებული ეს ორი დიდებული პიროვნება მუშაობდა. მათთან ერთად მაგონდება მემანქანე რუსუდან ნაცვლიშვილი, რომელიც ასევე დახვეწილი და ერუდირებული პიროვნება გახლდათ. ისინი მყარ ბურჯად ედგნენ მხარში ინსტიტუტის დირექტორებს – ბატონ სიმონსა და ბატონ ნიკოს.

მინდა გავიხსენო ჩვენი ბიბლიოთეკა, მისი გამგე ნატალია პავლენკო, ვერა აგრბა, ვერა ბერიძე, ტასო აკოფაშვილი, შალვა თაქთაქიშვილი... საქმის დიდი მცოდნენი. მახსოვს, მათ ზეპირად იცოდნენ ფონდები და საცავები, ის საქმე, რასაც უძღვებოდნენ. აგერ ჩემი მეგობრები: თინა ყაუხჩიშვილი, თინა ოჩიაური, ნინო ბრაილოვსკაია, სარა ბედუკაძე, ლუბა ბოჭორიშვილი, თალიკო თოფურია, ილია ჭყონია, გივი ჯავახიშვილი, რეზო თოდუა; შედარებით გვიან მოსულები – ანდრო ლეკიაშვილი, ოთარ გაბუნია და სხვანი.

აგერ, ცალკე გამოყოფილ პატარა ოთახში საბეჭდი მანქანის კაკუნი ისმის, თითქოს ავტომატის ჯერის ხმააო. აგერ ისიც, კოდალასავით მოკაკუნე რუსუდან ნაცვლიშვილი, შესანიშნავი მემანქანე; მასთან ერთად უნდა გავიხსენო ეკატერინე გერსამია, მემანქანე, ძალზე სათნო ქალი, რომელთანაც ურთიერთობა ერთობ სასიამოვნო იყო. მას ჩემი მშობლები ჯერ კიდევ ფოთიდან იცნობდნენ და ჩვენი ურთიერთობა ძალიან ახარებდათ.

მაგონდება ფოტოლაბორატორია, სადაც დიდებულ ფოტოხელოვანს – იური პახომოვს – ეხმარებოდა მეუღლე,

ელია კვესი; შესანიშნავმა მხატვრებმა – ნინო ბრაილოვსკაიამ და კლარა კვესმა – დიდი „განძი“ დაგვიტოვეს. ამ პერიოდთან იყო დაკავშირებული ჩვენი კორესპონდენტების – ალექსი ოჩიაურის, ნათელა და მელანია ბალიაურების, ნიკო მაკალათიას, ალი დავითიანის, გ. გუჯეჯიანის, არსენ ონიანის, ეგნატე გაბლიანის და სხვათა მუშაობა. ისინი მხარში ედგნენ ეთნოლოგებს და დიდი ამაგი დასდეს ჩვენს მეცნიერებას. ინსტიტუტის ეთნოგრაფიული განყოფილების არქივში დღემდე ინახება მათ მიერ მოპოვებული მასალა, რომელიც ახალ მკვლევარს კვლავ ელის.

ეთნოგრაფიული მასალის შეკრება-შეგროვება და სისტემაში მოყვანა მოითხოვს დიდ დროს, საქართველოს ყველა კუთხის შემოვლას, ორგანიზებულ და ხანგრძლივ მუშაობას. ეს ადამიანები ენთუზიაზმით იყვნენ აღსავსე. მათი უმრავლესობა მთის რეგიონის წარმომადგენელი იყო და კარგად იცნობდა იქ დაუნჯებულ ადათ-წესებს, მატერიალური კულტურის საგნებს. ისინი იმ გარემოში ტრიალებდნენ, რომელიც უნდა აგვესახა, ამიტომ საქმე ძალიან უადვილდებოდათ, მათ ხომ ზედმინევნით იცოდნენ ხევსურთა, თუშთა, სვანთა ტრადიციები. მათ არა მარტო ეადვილებოდათ მასალის ჩაწერა, არამედ ფაქტების შეფასება საკუთარი ცოდნის საფუძველზე შეეძლოთ.

აქ მე აღარ მოვიგონებ ეთნოგრაფიის მამამთავრებს – გიორგი ჩიტაიას, ვერა ბარდაველიძეს, რუსუდან ხარაძეს, ლუბა ბოჭორიშვილს, ალექსი რობაქიძეს და სხვებს, რომელთაც კარგა ხნის წინ საგანგებო წერილები ვუძღვენი.

მინდა გავიხსენო ჩვენი განყოფილების ლიდერი გივი ჯავახიშვილი, ვინც დიდი ხნის განმავლობაში უძღვებოდა განყოფილების საქმეს, დიდ და ძალზე მნიშვნელოვან ექსპედიციებს. ზოგი ექსპედიცია ერთობ წარმატებული გამოდგა. გივი ჯავახიშვილი ხომ უკომპრომისო მკვლევარ-

მაძიებელი იყო, რომელსაც ნიჭიც მოსდგამდა და განათლებაც ხელს უწყობდა, ამიტომაც იყო, რომ ბატონი გ. ჩიტაია მასზე დიდ იმედს ამყარებდა.

ბევრი ახლაც ჩვენს გვერდით მოღვაწეობს და მათი გახსენება გულს გვიხარებს, რადგან ისინი თავიანთი არსებობით გვამხნევებენ; სხვათა მოგონება კი ტკივილით გვავსებს, რადგან შუაგზაზე ჩამოგვშორდნენ, ცხოვრების ველი გადაიარეს, „ნახეს სიმუხთლე ჟამისა". მშვიდად განისვენეთ, მეგობრებო...

ეს მოგონება გრიგოლ ორბელიანის სიტყვებით მინდა დავამთავრო:

„ან სად არიან იგინი, მას ჟამსა ლხინში ვინ იყვნენ?
განგვშორდნენ ძველნი ნაცნობნი, ვინცა გულითა
გვიყვარდნენ;
ან რაღას ველი, რა მინდა, ვარ ვისი რისა მსახველი?
ვსწყევლი ამაოდ ანმყოსა, წარსულის სიზმრად
მნახველი".

ოთარ შვანგირაძე

„ვარსებობთ მანამ, ვიდრე ვახსოვართ“.

ნურავინ დაიჯერებს: რაც მწადია, უსათუოდ ზედმიწევნით შევასრულებ და განვახორციელებო. ცხოვრება სხვაგვარად განაგებს. მეც ასე დამემართა: რა ხანია, ჩაფიქრებული მაქვს მოგონება დავწერო ჩემ სიყრმის მეგობარზე, ოთარ შვანგირაძეზე, რომლის ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი ცხოვრება სამაგალითოა ჩემი თაობისათვის. მინდოდა, მაგრამ ვერ მოვახერხე, მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ვერ დავწერე ყველაფერი ის, რისი თქმაც მსურდა... ნაწერები არსად არ გამომიქვეყნებია, ახლაც ვინახავ... მისი ხსოვნა კი მთელი ცხოვრების მანძილზე მუდამ თან მდევს, ამიტომაც ეს წერილი ასე მინდა დავიწყო: უკვდავია სახელი შენი, თუ იგი თუნდაც ერთი ადამიანის მეხსიერებამ შემოინახა. დიახ, „ვარსებობთ მანამ, ვიდრე ვახსოვართ“.

ოთარ შვანგირაძესთან ბავშვობისდროინდელი მეგობრობა მაკავშირებდა. სკოლის მერხს ხომ ერთი ჯადოსნური თვისება აქვს: ახალგაზრდებს სამუდამოდ ამეგობრებს ერთმანეთთან. ადრეული ასაკიდანვე სანიმუშო და ყველასათვის მისაბაძი, ერთგული და გაწონასწორებული იყო. გარეგნული ხიბლი, თავდაჭერილობა, სითბო განგებას მისთვის უხვად და უშურველად ებოძებინა. საუბედუროდ, ის ადრე წავიდა; გამოაკლდა ოჯახს, თანატოლებს; არ დას-

ცალდა, ფრთა შეესხა თავისი ჩანაფიქრებისთვის, ოცნებებისთვის...

ის გამოირჩეოდა ნიჭიერებით, ყოფაქცევითაც, რითაც ყველა ახლობელს ანცვიფრებდა. დიახ, მისაბაძი იყო ჯერ როგორც მოწაფე, თანაკლასელი, მოგვიანებით კი – როგორც სტუდენტი; გამოირჩეოდა მახვილი იუმორით, ხალასი ნიჭით. ამიტომაც იყო, რომ ყველა მის ირგვლივ ტრიალებდა, მასთან ახლოს ყოფნას ლამობდა. ისიც ქვეცნობიერად გრძნობდა მეგობართა სიყვარულსა და სითბოს. კიდევ ერთი თვისება ჰქონდა, მაშინ რომ ვერ ვამჩნევდი და ახლა უკვე ვხედავ – არ უყვარდა „წინ დგომა“.

მაგონდება, რა დარაზმულები ვიყავით ყოფილი თანაკლასელები და რა სიხარულით, რა ჟივილ-ხივილით დავეშვებოდით ხოლმე უკვე სტუდენტები უნივერსიტეტის ლამაზი ეზოს გასწვრივ ვერის დაღმართზე, რა სიხარულით ვიყავით აღსავსენი ამ „მოგზაურობის“ ჟამს. გზა თანდათან ილეოდა და დროდადრო ვიღაც ჩამოგვშორდებოდა ხოლმე. ბოლოს განუყრელი ოთხეული ვრჩებოდით: ოთარ შვანგირაძე, ოთარ ნასარიძე, ავთანდილ ბენდუქიძე და მე. კარგარეთლის ქუჩამდე ვაგრძელებდით „მსვლელობას“. ოთარი როგორც ავთანდილის, ისე ჩემი მშობლების სასურველი სტუმარი იყო; ჩვენთან გვიანობამდე რჩებოდა, დედამისს, დეიდა შურას დაურეკავდა ხოლმე, რათა შინ სადილად არ დალოდებოდნენ.

პირველი კურსი. ოცნების, იმედის, ფერადი ზმანების ხანა. თავდადებული სწავლა, ლექციები და სემინარები ერთმანეთს ენაცვლებოდა. განსაკუთრებით მაქსიმე ბერძნიშვილის ლექციები გვიტაცებდა. ხეოფსის, ხეფრენის და მიკერენის ხსენება წესად გვექცა ყოველი შეხვედრისას...

ოთარს უნივერსიტეტის პირველი კურსის დასრულებაც არ დასცალდა, მაგრამ სტუდენტობის ამ მცირე მონაკვეთშიც იგი ყველასგან გამოირჩეოდა როგორც ერუ-

დირებული, ნიჭიერი და ყოფაქცევით სამაგალითო სტუ-დენტი. იგი ფლობდა გერმანულ ენას. უნივერსიტეტში გაიტაცა ლათინურმა და ბერძნულმა... ოცნებობდა, არქე-ოლოგი გამხდარიყო.

ოთარის ვაჟკაცური ხასიათი და ურყევი ნებისყოფა ომის დაწყებისთანავე გამოვლინდა... სწავლის გაგრძელება ბაქოს სამხედრო სასწავლებელში მოუხდა. სამხედრო სას-წავლებელი წარმატებით დაასრულა და უმცროსი ლეიტ-ენანტის წოდებით ფრონტზე გაემგზავრა.

ომმა კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა: ჩვენ, ვისაც ოთარ შვანგირაძე შეუდრეკელ ვაჟკაცად მიგვაჩნდა, მართლები აღმოვჩნდით. მას, ჩვენს ძვირფას მეგობარს, ფრონტზე-დაც უღალატო მეგობრისა და მეომრის სახელი მოუპოვე-ბია. გენერალ-მაიორ ლ. ა. სლანოვს თავის პირად ადიუ-ტანტად აუყვანია. გასაგებიცაა: რუსულის და გერმანულის მცოდნე, თავდადებული და უღალატო მებრძოლი ყველგან სჭირდებოდათ.

დღემდე სათუთად ვინახავ ფრონტიდან გამოგზავნილ გაყვითლებულ მეომრულ სამკუთხა ბარათებს. იმ წერ-ილებიდანაც ჩვენ გვამხნევებდა და გვანუგეშებდა... ისევ ჩვენზე ფიქრობდა, ჩვენი ამბავი აინტერესებდა. ოცნებობ-და, რომ ომის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტში სწავ-ლას გააგრძელებდა...

ბოლო წერილში, რომელიც მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ მივიღე, მთხოვდა: ბიძია აკაკის საფლავს ერთი მუჭა მიწა ჩემ მაგივრადაც მიაყარეო... საოცარია, რომ ნინოწმინდა-კუკიის სასაფლაოზე მამაჩემისა და ოთარის საფლავები ერთმანეთის გასწვრივაა, მათ მხოლოდ ვიწრო ბილიკი ყოფს. არც ერთი ამ ძვირფასი საფლავისთვის მუჭა მიწის მიყრა ძნელი არ არის, უფრო ძნელია იმ განცდის გამოხატვა, რომელიც ოთარისადმი და მისი ოჯახისადმი მქონდა და მაქვს. საქმეს ისიც მირთულებს, რომ ასაკის

გამო მოგონებები გამიფერმკრთალდა და ვშიშობ, რაიმე მნიშვნელოვანი, საგულისხმო არ გამოვტოვო.

ცნობილი ამბავია, გმირები ადრე იღუპებიან, რადგან მათთვის უკანდასახევი გზა არ არსებობს. ოთარი გმირულად დაიღუპა... ავისმომასწავებლად შეწყდა ფრონტიდან მისი ბარათები... გენერალმა სლანოვმა მის უბედურ მშობლებს მოკლე, მაგრამ მრავლისმეტყველი წერილი გამოუგზავნა:

„ძვირფასო მშობლებო,

სამშობლოსათვის მძიმე დღეებში თქვენი ვაჟი, თავისუფალი საქართველოს შვილი, სამშობლოს მოყვარული უმცროსი ლეიტენანტი ოთარ შვანგირაძე, პირველსავე ცხარე ბრძოლაში ვაჟკაცურად ჩაება კუშჩოვკასა და ლინეინასთან, ტუაფსეს მისადგომებთან, აფშერონის მთიან რაიონში. მამაცობისა და გულადობისათვის კაზაკებმა გულწრფელად შეიყვარეს და „საყვარელი ქართველი“ შეარქვეს.

სწრაფ საბრძოლო მოქმედებებში ჩართულ დონის მამაც კაზაკებს შორის, რომელთაც ბრძოლით განვლეს კავკასიის მთებიდან უნგრეთამდე, მე ვხედავ მუდამ მხნე, გულად და სიცოცხლით სავსე ოთარს.

დაუღალავი, უშიშარი მეომრის, ოთარ შვანგირაძის საბრძოლო დამსახურებები ღირსეულად დაფასდა და იგი დაჯილდოვდა წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის ორდენებით, მედლით მამაცობისათვის და საამაყო გვარდიელის ნიშნით.

1944 წლის 25 ოქტომბერს იგი ჩემ თვალწინ დაეცა და დაიღუპა მამაცთა სიკვდილით. დახმარება ვერ შევძელით. გიცხადებთ თანაგრძნობას და ფიცსა ვდებთ, რომ შურს ვიძიებთ გერმანელ დამპყრობლებზე. გთხოვთ, მიიღოთ ყველა ზომა, რათა იგი აყვავებული საქართველოს მიწას მიაბაროთ.

ლ. ა. სლანოვი,
გვარდიის გენერალ-მაიორი“.

ერთი სიცოცხლე შეწყდა, მაგრამ ამით არ დასრულებულა ოთარის ამბავი, არც მისი არსებობა... მალე გენერალ-ლეიტენანტმა ს. გ. გორშკოვმა თბილისის 35-ე სკოლას მისწერა წერილი, რომელშიც მადლობას უცხადებდა მათ ასეთი ახალგაზრდის აღზრდისათვის და სთხოვდა სათანადო პატივი მიეგოთ მისი ხსოვნისათვის. ეს მოწოდება მალე საქმედ იქცა. სკოლაში მოეწყო სტენდი, სადაც გმირის სურათები და მის შესახებ მასალები გამოქვეყნდა. სკოლამ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღის აღსანიშნავად საღამოც გამართა და იმ საღამოზე მათ „საკუთარი" გმირი ჰყავდათ – ოთარ შვანგირაძე.

ვიგონებ გლოვის „არშიამოვლებულ" დღეებს. ოთარის დაკრძალვის ცერემონიალს გვირგვინების ტევრი აბრკოლებს; ცხედარს უკანასკნელ გზაზე მიაცილებენ მშობლები, მეგობრები, ნათესავ-ნაცნობები, გმირისა და გმირობის დამფასებელი საზოგადოება; მივაბიჯებდი და თითქოს ყურში ჩამესმოდა სახალხო გლოვის ხმა, უფრო სწორად, დუმილით ნათქვამი გვრინი; ხალხი მდუმარებდა. ეს იყო დაუვიწყარი, მძიმე და გაუსაძლისი დღე, რომელმაც დიდი თუ პატარა შეადუღაბა. არავინ ელოდა, ოთარის ტრაგიკული დაღუპვა ამდენ ხალხს თუ შეკრებდა. მეჩვენებოდა, თითქოს ოთარის დაღვრილი სისხლი, ჩვენი თავისუფლების საწინდარი გამხდარიყო. რატომღაც თვალწინ ყაყაჩოებმა გამიელვა; მომეჩვენა, რომ ეს დღეც ყაყაჩოს ჰგავდა. მწუხარებამ, საყოველთაო გლოვამ გადაკეტა მოძრაობა მარჯანიშვილის მოედანზე. ეს იყო ერის ხასიათისა და ზნეობის, გულისტკივილისა და სიამაყის გამოხატულება. ხალხმა დაინახა, რომ მას დღესაც ჰყავს სამშობლოსათვის თავდადებული გმირი და მას მთელი საქართველო გლოვობდა!

თვალწინ მიდგას დიდი ტკივილით გულდამძიმებული მისი მშობლები... იმ მძიმე ვითარებაში თვალი მათკენ გამირბოდა... მათ, ერთი მხრივ, შვილის სიყვარულმა, მეო-

რე მხრივ, ხალხის თანადგომამ გაუათკეცა ძალა, სულიერი სიმხნევე შემატა იმის შეგნებამ, რომ მათი შვილი ხალხმა გმირად აღიარა, რომ „ერთი შვილი მაინც გაზარდეს დუშმანთან მეომარი".

დრომ თავისი გაიტანა. კუკიაზე ოთარის საფლავის ახლოს პოვეს სამუდამო განსასვენებელი მისმა მშობლებმა: სათნო და უწყინარმა დეიდა შურამ და ბატონმა ალექსანდრემ, ღირსებით სავსე და დიდად განათლებულმა ადამიანმა; მოგვიანებით აქვე დაიკრძალნენ ოთარის მეუღლე ნათელა გვეტაძე და შვილი დოდო შვანგირაძე. სამწუხაროა, რომ ამ დიდებული ოჯახის თითქმის ყველა წევრი ერთობ ნაადრევად გარდაიცვალა.

ჩვენს ოჯახში ერთ საგულისხმო ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. ყოველ 9 მაისს ოთარის საფლავზე აღვნიშნავდით მისი „ხსოვნის დღეს". ასე გაგრძელდა 2002 წლამდე. სამწუხაროდ, ამის შემდეგ, ყოველ წელს ერთი კაცით შეთხელებული წარმომადგენლობით ავდიოდით მის საფლავზე. ერთხანს, მარტოდმარტოს მიწევდა მისვლა ოთარის მივიწყებულ სამარესთან. ძალა აღარ შემწევდა საფლავის ჩაჟანგებული ჭიშკრის გასაღებად და ღობიდან ვესროდი ყვავილებს ჩვენი საერთო მეგობრების სახელით, არდავიწყების სიმბოლოდ.

11 სექტემბერი, 2004.
სოფელი გამდლისწყარო

P. S. 2004 წელს პარიზში ყოფნისას ჩვენი დიდი და სახელოვანი წინაპრების საფლავები მოვიხილე. ერთ მათგანს – ვიკტორ ნოზაძეს – გამორჩეული პატივი მივაგე, არა იმიტომ, რომ იგი ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი პიროვნებაა მათ შორის, არამედ იმიტომაც, რომ ოთარის მამა, ბატონი ალექსანდრე და ვიკტორ ნოზაძე გიმნაზიისდროინდელი მეგობრები იყვნენ.

მე და ჩემი მეუღლე ავთანდილი დროდადრო დავდიოდით ბატონი ალექსანდრეს მოსანახულებლად. ერთ-ერთი ასეთი სტუმრობისას საუბარი ჩამოვარდა ვიკტორ ნოზაძეზე, მის რუსთველოლოგიურ გამოკვლევებზე, რომლებიც ჩვენში იმხანად დიდ სიახლეს წარმოადგენდა. დიახ, ამ დროს გაცხოველებით მსჯელობდნენ ნოზაძის ფენომენზე. ერთხელ მასპინძელმა გვითხრა: ჩემი მეგობრის ვიკტორ ნოზაძისაგან წერილი და ამანათი მივიღე, ჩემი უბედურების ამბავი შეუტყვია და სამძიმარი გამოგვიცხადა. ამანათში კი მისი წიგნი იდო. ჩვენ ვთხოვეთ, რაიმე მოეთხრო მასზე.

ბატონმა ალექსანდრემ გვიამბო, რომ ისინი ქუთაისის გიმნაზიაში ერთად სწავლობდნენ. „ვიკტორი ერთ-ერთ საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა. გიმნაზიებს შორის მაშინ ხშირად იმართებოდა კონკურსი საუკეთესო თემის დაწერაზე. ერთხელ კონკურსში პირველი ადგილი მოიპოვა, რამაც მისი პრესტიჟი დიდად აამაღლა. მაშინაც და მომდევნო ხანებშიც სულ მუდამ მუშაობდა, წერა ერთობ ემარჯვებოდა. ქუთაისის ქართული გიმნაზია ოქროს მედლით დაამთავრა და მოსკოვის უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე, განაგრძო სწავლა. იმ დროიდანვე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, ეწეოდა არალეგალურ საქმიანობას. ხშირად ბეჭდავდა მასალებს გაზეთ „ერთობაში“. ჯერ კიდევ ქუთაისში დაიწყო მუშაობა პარტიული პრესის ხელმძღვანელად. 1919 წელს კი ვიკტორი სხვებთან ერთად საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად გაიგზავნა. ვიკტორი იყო ერთი ადგილობრივი გაზეთის რედაქტორი, ხოლო თბილისში ერთხანს სამთავრობო ორგანოს – „საქართველოს რესპუბლიკას“ რედაქტორობდა.

1920 ნლის დამდეგს ნიჭიერი ახალგაზრდები დაანაწილეს და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში გაგზავნეს ცოდნის გასაღრმავებლად. უმრავლესობამ გერმანია აირჩია,

რამდენადაც იქ ყველაზე ძლიერი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები არსებობდა. ვიკტორი ჯერ ლონდონში, იქიდან კი ბერლინში გაემგზავრა. 1928 წელს პარიზში ჩავიდა, სადაც აქტიური ჟურნალისტური საქმიანობა დაიწყო. საყურადღებოა, რომ მან მკვიდრ ნიადაგზე დააფუძნა ჟურნალი „კავკასიონი". აქ თითქმის ყველა საქმეს ვიკტორი ასრულებდა.

ახლა აღარ მახსოვს, მომწერა თუ არა, კონკრეტულად როდის დაიწყო რუსთველოლოგიური მოღვაწეობა. იმ დროს, 1959 წელს, მან დაამთავრა „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება" (გამოსცა პარიზში 1963 წ.), პარიზშივე 1975 წელს დაისტამბა მისი „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება", თუმცა ამ წიგნის გამოცემას ავტორი ველარ მოესწრო..."

ბატონმა ალექსანდრემ ასევე აღნიშნა: „ვიკტორი საოცრად მხიარული, საუბრის მოყვარული და განათლებული კაცი იყო. ეკონომიურად უჭირდა, კარგი ძმა ჰყავდა, ის ეხმარებოდა. სამწუხაროდ, ვერ მოიცალა და ოჯახი ვერ შექმნა".

ლევილში დიდხანს დავცქეროდი ვიკტორ ნოზაძის საფლავს, ქვაზე ამოტვიფრულ ეპიტაფიას და თარიღს...

როგორც მახსოვს, სოფელი ლევილი პარიზიდან 28 კილომეტრზე მდებარეობს. იქ, ორსართულიან სახლში, რომელსაც შატოს ეძახიან, ცხოვრობენ ემიგრანტი ქართველები. ჩანს – ცხოვრება უჭირთ. თვალს იტაცებს ირგვლივ ტყით გარემოცული უზარმაზარი მწვანე მინდორი. ლევილის უფროსი უძღვება მცირე მეურნეობას. იქ თავშეფარებულებს მშვიდი ცხოვრება აქვთ. ჩვენი სტუმრობისას ლევილის ხელმძღვანელი გაგვესაუბრა, მაგრამ მალე წავიდა და აღარ გამოჩენილა. ალბათ, თავის სამეურნეო საქმიანობას დაუბრუნდა. აქ გავიგეთ, რომ ქართველი ემიგრანტები ძირითადად ლევილში ცხოვრობენ, ხოლო

ქართველების მცირერიცხოვანი ნაწილი კი პარიზის სხვადასხვა რაიონებში ბინადრობს.

ასე დაგვაახლოვა ძვირფასმა ოთარმა ვიკტორ ნოზაძესთან, ლევილთან, ემიგრანტ ქართველებთან. უფრო მეტიც, მან სიკვდილის შემდეგაც შეძლო ადამიანთა ურთიერთდაკავშირება...

მაგონდება, მამაჩემის დაკრძალვაზე, როდესაც მუშები საფლავს მიწას აყრიდნენ, მოვიდა ლეგენდარული ფეხბურთელი ბორის პაიჭაძე, აიღო ნიჩაბი და საფლავზე მიწის მიყრა დაიწყო. ბორია ოთარის ქვისლი გახლდათ და ამით მისთვის საყვარელი ოჯახის თავკაცისადმი, ე. ი. მამაჩემისადმი, პატივისცემა და მოკრძალება გამოხატა. ვინ იცის, ეგებ, ოთარის მაგივრადაც!

ახლა კი ისღა დამრჩენია, რომ ყოველ გაზაფხულს, 9 მაისს, ტრადიციისამებრ ოთარის საფლავთან მივიდე, ყვავილები მივუტანო ესოდენ ახლობელსა და გულისგულ მეგობარს და ზაურ ბოლქვაძის გულში ჩამწვდომი სტრიქონი გავიხსენო:

„გადაუარა ბალახმა
საფლავს – სიცოცხლის წერტილს;
შენ ჩემთვის როგორ არა ხარ,
მე აღარა ვარ შენთვის!“

2005 წელი, თბილისი

ალექსი რობაქიძის 100 წლისთავი

(იუბილეზე წარმოთქმული სიტყვა)

ისეთი გამორჩეული პიროვნების მოგონება, როგორიც ბატონი ალექსი იყო, არ გახლავთ ადვილი. ბედნიერად ვგრძნობ თავს, რომ მასთან, სიტყვის მეუფესთან და ოქროპირთან, მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებდა.

ანთებული გულით დაბადებულს ულევი ენერგია, საღი გონება, ღვთის ნაბოძები და მისგან ნაკურთხი კალამი ჰქონდა. ის ძალზე კარგი მოსაუბრე იყო, უამრავი რამ იცოდა, იუმორის დიდი გრძნობით დაჯილდოებული საუბრისას ლაზათიანად ხუმრობდა. იმპროვიზაციის საოცარი უნარის მქონეს შეეძლო ეთნოგრაფიის სხვადასხვა საკითხით ოსტატური მანიპულირება.

ეს მომხიბლავი ადამიანი, რომელიც დაუბერებელი წავიდა ჩვენგან, გასაოცარი წარმატებით სარგებლობდა საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი მეგობრების დიდი წრე ბანოვანთა შორის ჰყავდა. ფართო აუდიტორია უხდებოდა და ტრიბუნაზე ლაღად გრძნობდა თავს. ახალგაზრდობაში ლექსებსაც წერდა და კაფიების თქმაც ძალიან ეხერხებოდა.

ერთი ეპიზოდი მინდა გავიხსენო, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში 1960 წლის 27-28 აპრილს ეთნოგრაფიული ატლასის საკითხებზე სამეცნიერო სესია მოეწყო. სესიის პროგრამა აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ მოამზადა. ეს იყო სახელმძღვანელო

მითითებანი მასალის შემგროვებელთათვის. მოხსენებათა თემატიკაში ძირითადად ასახული იყო მემინდვრეობა და მევენახეობა. 27 აპრილს მომხსენებლები იყვნენ გიორგი ჩიტაია, მიხეილ გეგეშიძე, ანდრო ლეკიაშვილი, ხოლო 28 აპრილს – თინა ოჩიაური, ალექსი რობაქიძე, გერცელ ჩაჩაშვილი და სარა ბედუკაძე.

ბატონი ალექსი რობაქიძის მოხსენების თემა იყო „ხალხური ნაგებობანი ეთნოგრაფიულ ატლასში". მომხსენებელმა გამოყო სამი ძირითადი სამეურნეო ტიპი: კოლხეთის დაბლობის, აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა და საქართველოს მთიანეთის. ტიპოლოგიის ეს თემა არ გამორიცხავდა გარდამავალი ფორმების არსებობას. ალექსიმ დასახელებული თემის ფარგლებში შესაძლებლად მიიჩნია, გამოეყო ქართულ ხალხურ ნაგებობათა სამი სახეობა: **ოდური, დარბაზული და მთის სახლი.**

მოხსენებაში არ იყო ნახსენები ხევსურული სახლი. ამის გამო თინა ოჩიაურმა მას მისწერა:

„ხევსურთა ნაგებ-ნაშენი
და ხევსურეთის ბუნება
წინათ ძალიან გიყვარდა,
რამ შეგიცვალა გუნება?!"

ბატონმა ალექსიმ არ დააყოვნა და სწრაფად გაუგზავნა პასუხი:

„ხევსურთა ნაგებ-ნაშენსა არა რა დაენუნება,
ახლაც მაქვს, ხევსურთ ქალაო, ხევსურეთ ყოფნის
ცდუნება,
ვინძლო შემომხვდეს გაისად ხევსურეთს შემობრუნება
და მერე ნახე, ზოგიერთს როგორ ნაუხდეს გუნება".

კაფიები ბატონ ალექსის სხვა დროსაც უთქვამს, სამწუხაროდ, მე მხოლოდ ორიოდე მახსოვს.

მუდამ მხიბლავდა ბატონი ალექსის ცხოვრების ლაღი და ძალდაუტანებელი მანერა. მას ერთი სურვილი ამოძრავებდა, გამოსდგომოდა ახალგაზრდობას, ეზრუნა მათ ანმყოსა და მომავალზე. ის ენერგიული ხელმძღვანელი იყო, რას არ აკეთებდა თავისი მონაფეების ღირსების გამოსაჩენად და დასაცავად. შეიძლება ითქვას, იგი დაიხარჯა ახლობელთა, მოყვასთა, ნაცნობ-მეგობართა სამსახურში. მაღალი მოქალაქეობრივი ზნეობა გამოსჭვიოდა მის საქმიანობაში.

მინდა დიდი მადლობით მოვიხსენიო ბატონი ალექსი არა მარტო ეთნოგრაფების საკეთილდღეოდ გაწეული თავდაუზოგავი შრომისა და პროფესიული ოსტატობისათვის, არამედ იმისთვის, რომ არსებობდა, რადგან ასეთი ადამიანები სჭირდება ჩვენს საზოგადოებას.

2007 წ. 21 ნოემბერი

ნიკოლოზ რუხაძე

ნიკოლოზ რუხაძე 1879 წელს სოფელ ქვიტირში, ხონის რაიონში დაიბადა; მან წერა-კითხვა ოჯახში მშობლებისაგან ისწავლა, ხოლო შემდეგ ხონში დააწყებინეს სწავლა. შინაურობაში ბავშვობიდანვე კონიას ეძახდნენ. ადრეული ასაკიდან შეიყვარა წიგნი. თურმე, ხონში ერთ წიგნებით მოვაჭრეს მისი ეს თვისება შეუმჩნევია და დროდადრო წიგნებს აძლევდა წასაკითხად. ეს ამბავი მამაჩემისაგან მაქვს გაგონილი და ჩემი დის წიგნშიც არის აღნიშნული („კვალი სიკეთისა", ელენე რუხაძე, ირაკლი თოფურია. თბ., 1986). წინამდებარე წერილი მისდამი მიძღვნილ ამ წიგნს ეყრდნობა. ავტორებმა კეთილშობილური სამუშაო შეასრულეს, შეაფასეს, შეაჯამეს და გააანალიზეს მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი მომენტები, შექმნეს საინტერესო მონოგრაფია.

ნ. რუხაძე სამაგალითო, უანგარო, ხალხისათვის თავდადებული, ენთუზიასტი და შესანიშნავი პრაქტიკოსი ექიმი იყო. სუსტი ჯანმრთელობის გამო აფხაზეთში, ქ. სოხუმში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. მან განუზომელი სამსახური გაუწია საქართველოს, განსაკუთრებით კი აფხაზეთის მოსახლეობას. ნიკო რუხაძე თეორიულ მოღვაწეობას საექიმო პრაქტიკას უთავსებდა.

მან არაერთხელ გამოავლინა ნოვატორობა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის საუკუნოებრივი და დაუძინებელი მტრის – მალარიის – მრავალმხრივ შესწავლაში. მინდა ყურადღება გავამახვილო მის ერთ დამსახურებაზე,

სახელდობრ, მან 1925 წ. პირველმა ჩამოიყვანა იტალიიდან საბჭოთა საქართველოში (სოხუმში) თევზი – გამბუზია. გამბუზიის სამშობლოა მექსიკა, ტეხასი და კარიბის ზღვის კუნძული კუბა. დებუენის (1922 წ.) ცნობით, ევროპაში ეს თევზი პირველად შეიტანეს ესპანეთში 1921 წ., ხოლო 1922 წ. ესპანეთიდან იტალიაშიც (სელა, 1927 წ.) გავრცელებულა.

იტალიაში მივლინების პერიოდში ნ. რუხაძე ეცნობოდა მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს. საქართველოში დაბრუნებისას რომის ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. გოზიომ მას აჩუქა 240 დედალი გამბუზია (ეს თევზი ცოცხალმშობია) საგანგებო თუნუქის სათავსით, რომელიც იქ შემოღებული იყო ამ თევზის გასავრცელებლად; დღეს ეს თუნუქის სათავსი ინახება სოხუმის მუზეუმში. როგორც ნ. რუხაძე წერს (1927 წ.), გემით მგზავრობისას იგი დღეში ორჯერ ყრიდა თუნუქის სათავსში ყინულს, რომ წყლის ტემპერატურა 10 გრადუსზე შეენარჩუნებინა და გამბუზიებს ლიფსიტები არ დაეყარათ. სოხუმში ჩამოიყვანა 153 ცოცხალი გამბუზია, რომლებიც გაუშვა წყალსატევებში. ორ წელიწადში ეს თევზი ისე მომრავლდა, რომ მისი გაზიდვა შესაძლებელი გახდა საქართველოს სხვადასხვა რაიონში და სსრკ-ის სამხრეთ რესპუბლიკებში.

ჩვენში, როგორც ლ. კალანდაძემ 1926 წელს დაადგინა და გ. ყანჩაველმა დაადასტურა, მალარიის მთავარი გადამტანია კოღო ანოფელესის გვარის სახეობა „ფრთალაქებიანი ანოფელესი", რომელიც ანოფელესის ფაუნაში 90%-ს შეადგენს. გამბუზია კარგად მრავლდება ანოფელოგონურ წყალსატევებში, ამიტომ, სადაც ეს თევზია გავრცელებული, კოღო ვეღარ მრავლდება, რადგან თევზი მის ნაჩეკებს ჭამს, სპობს.

ნ. რუხაძის დამსახურებით საქართველო ჩადგა იმ რეგიონების სათავეში, სადაც მალარიის პროფილაქტიკის მიზნით კოლო ანოფელესის წინააღმდეგ ბრძოლამ წარმატებას მიაღწია ბიოლოგიური მეთოდით, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქლორ და ფოსფოგანულ შხამქიმიკატებით დაბინძურებისაგან გარემოს დაცვის კეთილშობილურ საქმეში.

ნ. რუხაძეს 1933 ნ. მიენიჭა შრომის გმირის წოდება. იგი გარდაიცვალა 1936 წლის 17 ოქტომბერს.

P. S. აფხაზეთში კონფლიქტამდე რამდენიმე წლით ადრე, საგანგებოდ ჩავედი სოხუმში და სამალარიო ინსტიტუტისა და ქალაქის ბიბლიოთეკაში ნ. რუხაძის წიგნები ვნახე. მხოლოდ ერთი წიგნის გადაღება შევძელი: Anopheles nigripes sraeg (1839) en Abhasie (Georgie). Bulletin de la Societe de Patholigie Exotique. Tome XIX – Seance 12 mai 1926 – N 5. Paris. Masson a Cermln (6).

ნ. რუხაძე მაღალი კულტურის და ერუდიციის მქონე ექიმი იყო. ამაზე მეტყველებს მისი შრომები. სამწუხაროდ, მის შესახებ ექსპოზიცია აღარ არის სოხუმში, წინათ კი იყო...

დავით გვრიტიშვილის გახსენება

დავით გვრიტიშვილის სახელმა არაერთ ქარტეხილს გაუძლო და ყოველთვის პატივისცემას იმსახურებდა საკუთარი ნიჭის, კალმის, ჰუმანურობის წყალობით.

მინდა სიყვარულით მოვიგონო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასთან ჩემი პირველი შეხვედრა ივანე ჯავახიშვილის ლექციაზე. ბატონი ივანეს მოსასმენად თავშეყრილ სტუდენთა რიცხვმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, უნივერსიტეტის დიდი აუდიტორია მსურველებს ვერ იტევდა, ბევრი ფეხზე იდგა... წინა რიგში ისხდნენ ასპირანტები, მათ შორის იყო დავით გვრიტიშვილიც.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონმა ივანემ ბოდიში მოგვიხადა, ამ დილით ჩამოვედი ქუთაისიდან და ლექცია არა მაქვს მომზადებულიო, მის გამოსვლაში იმდენად ფართო განათლება და ერუდიცია იგრძნობოდა, რომ მთელი აუდიტორია საოცარი ღელვითა და განცდით უსმენდა. ლექციამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

დავით გვრიტიშვილი ივანე ჯავახიშვილის საქმის ღირსეული გამგრძელებელია. როდესაც ივ. ჯავახიშვილზე ბატონი დავითის დაწერილი წიგნი კიდევ ერთხელ გადავიკითხე, ვიგრძენი ერთგული მოწაფის დიდი პატივისცემა და სიყვარული. ამ წიგნში ჩანს უდიდესი მოკრძალება არა მარტო ბატონი ივანესადმი, ვინც ყოველი ჩვენგანის მასწავლებელი გახლდათ, არამედ, საერთოდ, ნინაპრებისადმი, წარსულისადმი. წიგნში წარმოჩენილია ივ. ჯავახიშვილის ისტორიული მემკვიდრეობის მნიშვნელობა და საინტერე-

სოდაა ახსნილი ისტორიული პრობლემების შესწავლაში მის მიერ გაწეული დიდი ღვაწლი. ამავე წიგნში დ. გვრიტიშვილმა გამოხატა საკუთარი საყურადღებო თვალსაზრისი თანამედროვე ისტორიის საკითხებზე.

ბატონი დავითი ყოველთვის ცხადად და პირუთვნელად ამბობდა თავის სათქმელს, მაგრამ ისე, რომ მისი ნათქვამი არასოდეს იწვევდა კონფლიქტს. მან დიდი სამსახური გაუწია საქართველოს ისტორიის შესწავლას და მომავალ თაობებს საყურადღებო მეცნიერული შრომები დაუტოვა.

ვინ მოთვლის, რამდენი თაობა აღიზარდა მისი მზრუნველობით, რამდენი ახალგაზრდა, ნიჭიერი მკვლევარი ეზიარა მეცნიერებას მისი შემწეობით... იგი უდიდესი სიამოვნებით კითხულობდა ლექციებს და ეხმარებოდა სტუდენტებსა და დამწყებ მეცნიერებს.

რაც დრო გადის, მისი თანამედროვენი და მეგობრები ვრწმუნდებით, რომ ბევრი რამ დ. გვრიტიშვილის ბუნებაში, ხასიათში, არაჩვეულებრივი სიკეთის და კეთილშობილების გამოსხივება იყო.

1948 წელს ქართლის მეორე ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში ვმონაწილეობდი. მახსოვს, სამთავისში ნავედით, იქ უნდა გვემუშავა და, ბუნებრივია, ეკლესია უნდა გვენახა. ეკლესიას გარს ერტყა მშვენიერი დიდი მინდორი და უზარმაზარი გალავანი. ექსპედიციის ზოგმა ნევრმა იქვე, ეკლესიის გალავნით შემოზღუდულ ეზოში, დაიწყო ხალხთან მუშაობა, ზოგი კი, გალავნიდან ჩამოცვენილ ქვებზე ჩამომჯდარი, ისვენებდა... არ ვიცი, როგორ გაიგეს ბატონმა დავითმა და მისმა უფროსმა ძმამ ჩვენი ექსპედიციის იმდღევანდელი ადგილსამყოფელი, (მათი სოფელი სადღაც იქვე იყო), მოულოდნელად გამოჩნდნენ ულაყ ცხენებზე ამხედრებულები, ჩვენს მოსანახულებლად წამოსულიყვნენ. სულ მალე მათ ცხენით გასეირნება შემოგვთავაზეს, გვითხრეს, ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია ისიამოვნოსო.

ბატონი დავითის ძმის თქმით, „ცხენები კარგად განვრთნილნი და ჭკვიანნი, სრულიად უსაფრთხონი იყვნენ“. ერთ ცხენზე ჩემთვის უცნობი ახალგაზრდა შეჯდა, მეორეზე კი, რომელიც, დათიკოს ძმის თქმით, უფრო თვინიერი იყო, მე დავჯექი. მაგრამ, როდესაც ცალი ფეხი უზანგში მქონდა, ცხენი მონყდა მიწას და ისე „გაფრინდა“, რომ უზანგში მეორე ფეხის გაყრა ვეღარ მოვახერხე... „ჰაერში დამრჩა“... შევცბი... ცხენი მიქროდა, მე კი შიშისაგან მეტყველების უნარიც კი დავკარგე. ვცდილობდი უზანგში ფეხის მოთავსებას... ვერ ვახერხებდი... ვფიქრობდი, რა მეშველება, ჩამოვვარდები და მიწას დავენარცხები-მეთქი. საბედნიეროდ, მართლაც საოცრად ჭკვიანი ცხენი აღმოჩნდა, ეკლესიის უზარმაზარ გალავანს „შემოუქროლა“ და ეკლესიასთან გაჩერდა. დავითი და მისი ძმა თავზარდაცემულნი უმწეოდ ელოდნენ მოვლენების განვითარებას. დავითი გაფითრებული, უზომოდ შეწუხებული და შეშფოთებული იყო; როდესაც ცხენი გაჩერდა და უვნებელი მნახა, სიხარულს ვეღარ მალავდა, ისეთი ბედნიერი და გაბრწყინებული სახით იდგა ჩემ წინ... მე არ ვიცოდი, მეტირა თუ მეცინა...

ცხოვრების მძიმე წლებს დაღი არ დაუსვამს ბატონი დავითისათვის. ის სიკეთით, თავმდაბლობითა და მოკრძალებით გამოირჩეოდა, ყოველთვის კრიტიკულად აფასებდა საკუთარ ნაშრომებს. არასოდეს უცდია საკუთარი დამსახურების ზედმეტად წარმოჩენა.

დ. გვრიტიშვილი თავისი მოღვაწეობით, ოლიმპიური სიმშვიდით, თავდაუზოგავი შრომით და მამულიშვილობით დიდად წააგავდა თავის მასწავლებელს, დიდ ივანე ჯავახიშვილს.

დ. გვრიტიშვილის ნათელი სახე მარად დარჩება მისი კოლეგების, მეგობრებისა და მოწაფეების მეხსიერებაში.

სიმონ ყაუხჩიშვილი

ბატონ სიმონს ქართული კულტურის ისტორიაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია. გამორჩეული მეცნ-იერი და საზოგადო მოღვაწე თავდადებით ემსახურებოდა როგორც ქართული, ასევე ბერძნული ლიტერატურის კვ-ლევას, რითაც მყარი საფუძველი შეუქმნა მეცნიერების ამ სფეროს. ბატონმა სიმონმა 1917 წელს დაამთავრა პე-ტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოლოგი-ის ფაკულტეტი; პარალელურად აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზეც სწავლობდა და მოგვიანებით ამ დარ-გის განვითარებაშიც განუზომელი წვლილი შეიტანა. იგი „აგროვებდა" საქართველოში გაფანტულ ეროვნულ გან-ძეულს და თავისი მოღვაწეობით დაღუპვისაგან იხსნა ის სამეცნიერო საქმე, რომელსაც შემდეგ მთელი ცხოვრება მიუძღვნა.

1918 წელს ივ. ჯავახიშვილის ნარდგინებით ბატო-ნი სიმონი იმავე უნივერსიტეტში პროფესორობისთვის მოსამზადებლად დატოვეს, საიდანაც მიავლინეს საბერ-ძნეთსა და გერმანიაში. იგი შემოქმედებითი მრავალმხ-რივობით გამოირჩეოდა და ფართო მასშტაბის მკვლევრის რეპუტაცია შეიძინა.

ბატონმა სიმონმა ბიზანტინოლოგიის ქართული სკო-ლა დააარსა და გრ. წერეთლის გარდაცვალების შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის განყოფილებას მეთაურობდა. 1920 წელს მან რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოაქვეყნა, მათ შორის: „ხრო-

ნოგრაფი გიორგი მონაზონისაი", იოანე პეტრინის „შრომების" ორი ტომი, „ბერძნული ლიტერატურის" სამტომეული, მანვე დააარსა სერია „გეორგიკა". მისი შემწეობით განხორციელდა „ქართლის ცხოვრების" აკადემიური გამოცემა; დიდია მისი ღვაწლი „არეოპაგეტიკის" და „ბალავარიანის" გლობალური პრობლემების კვლევაში. ბატონი სიმონი პარალელურად რამდენიმე სამეცნიერო კვლევას აწარმოებდა, რასაც ხანგრძლივი შრომა სჭირდებოდა.

ამ წერილის მიზანი არა მხოლოდ ბატონი სიმონის დიდი ღვაწლის, არამედ მისი საუკეთესო თვისებების გახსენებაცაა. სწორედ ამით მას არაერთი ახალგაზრდა თუ ხანდაზმული ადამიანი განუცვიფრებია. იგი უაღრესად თავმდაბალი, გამორჩეული, თბილი ადამიანი იყო; თავისი საქციელით ყოველთვის სიყვარულსა და სითბოს აფრქვევდა. ის იყო უშუალო, მაღალი კულტურის მქონე ადამიანი. ძალიან ძნელია ბატონი სიმონის შემოქმედებაზე, მის შრომასა და დამსახურებაზე, მის მიერ გაცემულ სიკეთეზე ვრცელი საუბარი; მისი მოღვაწეობა საგანგებოდ არის შესასწავლი, რაც მომავალი თაობებისათვის მიგვინდია.

ოთარ ჯინორია

ოთარ ჯინორიას გარდაცვალებიდან დიდი დრო გავიდა, მაგრამ მისი ნათელი სახე, ვფიქრობ, სამუდამოდ დარჩა ახლობლების, მეგობრების და სტუდენტების მეხსიერებაში.

თავმდაბალი, კაცთმოყვარე, სხვისი აზრის დამფასებელი და ამავე დროს პრინციპული პიროვნება, არა მხოლოდ საუცხოო განათლებით, ფაქიზი იუმორითა და არასტანდარტული აზროვნებით გამოირჩეოდა, არამედ სწორი მოქალაქეობრივი პოზიციითაც. ის შესანიშნავი ოჯახის ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი გახლდათ. მამამისის, ბატონ გიორგი ჯინორიას, ქვეყნისათვის თავდადებული მამულიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ჩვენს ოჯახს ბევრი რამ სმენია ჩემი მეუღლის ავთანდილ ბენდუქიძის უფროსი მეგობრის, შესანიშნავი მათემატიკოსის, ბატონ ნიკო მგელაძისაგან. მისი მოგონებებიდან შევიტყვეთ, თუ როგორ უჩინრად ემსახურებოდა ქვეყანას საქართველოს უკეთესი მომავლის მოიმედე ბატონი გიორგი. ამიტომაც იყო, ალბათ, ბატონი ოთარიც სამშობლოს ყველა საწუხარით რომ წუხდა...

ოთარ ჯინორიას ადამიანებთან ურთიერთობის საოცარი ნიჭი ჰქონდა... შეუდარებელი პედაგოგი და ახალგაზრდა თაობების გზის გამკვალავი მამობრივი მზრუნველობით დასტრიალებდა თავს სტუდენტებს, რომელთა აღზრდასა და მოქალაქეებად ჩამოყალიბებას დიდ დროს ანდომებდა.

სამწუხაროა, მაგრამ ჩვენში ბევრმა არ იცის, რა ფართო დიაპაზონის მეცნიერი იყო ბატონი ოთარი. იგი ბრწ-

ყინვალე ლიტერატორი გახლდათ, მაგრამ არასდროს უცდია თავის გამოჩენა... უკანასკნელ დღემდე ღირსეულად ეზიდებოდა თავის ტვირთს და, როგორც ინტელიგენტ პიროვნებებს სჩვევიათ, ჩრდილში იდგა. იგი იმ მეცნიერთა თაობას ეკუთვნოდა, რომელთაც არასოდეს უკმევიათ გუნდრუკი „მწვერვალთა" მსურველთათვის, საკუთარ თავზე ზედმეტად მზრუნველი ადამიანებისათვის...

ბატონი ოთარ ჯინორია გარდაცვალებამდე თბილისის სახ. უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიის კურსს კითხულობდა. 1962 წლიდან გერმანული ენის კათედრის დოცენტი გახლდათ. იყო მრავალი სამეცნიერო-კრიტიკული ნაშრომის ავტორი და თეორიული სემინარის ხელმძღვანელი. მის ნაშრომთაგან უმნიშვნელოვანესია „გოეთეს შემოქმედებითი გზა" (რომელიც 1964 წელს რუსულ ენაზე, ხოლო 1966 წელს ქართულად დაისტამბა), „გერმანული ფილოსოფიური ლირიკა", „სოციალური რეალიზმის სპეციფიკისათვის", „ილია ჭავჭავაძის რეალიზმის სპეციფიკის შესახებ" და სხვა მრავალი. მისი რამდენიმე ნაშრომი გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე. 1967 წელს ბატონი ოთარ ჯინორია ქ. ვაიმარში ი. ვ. გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრად აირჩიეს, ხოლო 1970 წლიდან – ქ. კნიტლინგენში ფაუსტის საზოგადოების წევრად.

1970 წელს ოთარ ჯინორიამ თბილისში გოეთეს საზოგადოების საქართველოს განყოფილება დააარსა და გარდაცვალებამდე მისი პირველი, უცვლელი პრეზიდენტი იყო.

კეთილშობილი, უანგარო, მაღალი ღირსებების მქონე პიროვნება ყველგან სიყვარულსა და პატივისცემას თესავდა. ჩვენი ოჯახისთვის ყოველთვის სასურველი და სასიამოვნო სტუმარი იყო. დღესაც მახსოვს მისი და ჩემი მეუღლის დისკუსიები ჭადრაკზე, ლიტერატურულ და საზოგა-

დოებრივ თემებზე. ძალიან ძნელია ყველაფრის გადმოცემა. მახსოვს, რა გულისხმიერებასა და ყურადღებას იჩენდა იგი ჩემ მიმართ, როდესაც საავადმყოფოში მომათავსეს, თითქმის ყოველდღე მნახულობდა. ნათქვამია, ტკბილი სიტყვა წამალზე უკეთესიაო, ბატონი ოთარი ჩემთვის არც დროს და არც ტკბილ საუბარს არ იშურებდა...

მისი უეცარი ავადმყოფობა მეხის გავარდნასავით დაგვატყდა თავს... ბატონი ოთარის მოსანახულებლად დავდიოდი ხოლმე. ინსულტით დამძიმებულ ავადმყოფთან გამომშვიდობება მინდოდა, მაგრამ ვერ ვბედავდი... მან თავად მიხმო, ხელი მაგრად ჩამომართვა, შემდეგ ხელზევე მეამბორა და სულ მალე იგი სამუდამოდ გაგვშორდა...

დაობლდა კარგი ქართული ოჯახი... იგი ხომ მუდამ ბურჯად ედგა მას... იყო ქალბატონი თინას ერთგული და ყურადღებიანი მეუღლე, ერთადერთი ქალიშვილის, ლია ჯინორიას, მოსიყვარულე მამა, ტკბილი ბაბუა შვილიშვილისათვის. მახსოვს, .როგორ ასეირნებდა ვაკის პარკში პატარა ლევანს, მაშინ მეც ჩემ შვილიშვილთან – თამუნასთან – ერთად დავდიოდი. ვიცნობ ბატონ ოთარის ოჯახის თითოეულ წევრს და მათი სიყვარული მაქვს.

ოთარ ჯინორიას კეთილშობილება, საკუთარი საქმისათვის თავდადება, პატიოსნება, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება მაგალითად უნდა დარჩეს მის ლამაზ შთამომავლობას. ის იყო კაცი, ვინც წინაპართა დარად შეძლო ღირსეულად ეცხოვრა და სიყვარული ეთესა.

საუკუნო ხსოვნა იყოს თქვენი, ძვირფასო ოთარ.

2007 წლის 10 ივლისი
თბილისი

ეთერ ჭრელაშვილი-კოდანაშვილის ხსოვნას

„ხომ არის ქვეყნად ნაფეხურები,
რომელიც ქარით არ იხვეტება...“
გიორგი ლობჟანიძე

ეთერის გარდაცვალების შემდეგ დიდი დრო გავიდა, ამიტომაც შეიძლება მრავალი ღირსსახსოვარი ფაქტი ზუსტად ვეღარ გავიხსენო. ბრძენკაცს უთქვამს: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო“ და ეს სწორედ ის ვითარებაა, როდესაც თქმა სჯობს, რამ-ეთუ უთქმელობა ძნელია, მაგრამ თუ რამე ვერ გავიხსენე, სულგრძელად მაპატიეთ, ეთერის ჯერ კიდევ შემორჩენილო ნაცნობ-მეგობრებო!

დიახ, ეთერი უდროოდ გამოგვაკლდა და თან ჩვენი სულის დიდი ნაწილი წაიყოლა. მინდა მის შესახებ ყველაფერი ვთქვა, რაც კი მახსოვს, თუმცა დარწმუნებული ვარ: რაც არ უნდა დავწერო, რაც არ უნდა მოვიგონო, მონათხრობში მეათედიც არ იქნება ნათქვამი იმ ადამიანის შესახებ, რომელსაც ეთერ ჭრელაშვილი ერქვა.

ეთერს ინტელიგენტი მშობლები ჰყავდა. დედამისს, თუ არ ვცდები, რუსული განათლება ჰქონდა მიღებული, მაგრამ საგულისხმოა, რომ ზედმიწევნით იცოდა ძველი და ახალი ქართული მწერლობა. იგი მღვდლის ქალიშვილი იყო.

ჯერ კიდევ სკოლის მონაფემ შევიტყვე, რომ ეთერის მამა, ძია მიხეილი, ლექსებს წერდა და საკმაოდ კარგ ლექსებსაც. ზოგი მათგანი მაშინდელ პრესაშიც იყო გამოქვეყნებული. ძია მიხეილის შემოქმედების გაცნობა ძალიან მინდოდა და მაშინ, როდესაც უფროსები შინ არ იმყოფებოდნენ, ეთერი აიღებდა ხოლმე იმ ნაწერებს და მაკითხებდა. მამამისი პროფესიით ექიმი იყო. ძია მიხეილის შინაგან ბუნებას ავლენდა ადამიანებთან მისი ურთიერთობა. იგი ყველას კეთილშობილების ეტალონად მიაჩნდა. ვგონებ, არც ცდებოდნენ. მაგონდება ერთი ფაქტი:

ერთხელ ჩვენი ოჯახის საუკეთესო მეგობრებთან, ბატონ ნიკო მგელაძესა და მის მეუღლესთან, ოლღა დუმბაძესთან, სტუმრად მივედით მე და ავთანდილი. სხვათა შორის, ავადმყოფობაზე, წამლებსა და მათი ყიდვის შესაძლებლობაზე ჩამოვარდა საუბარი. მოულოდნელად ბატონმა ნიკომ თქვა: ჩვენს უბანს თავის დროზე ამ მხრივ დიდად გაუმართლა. ისეთი ექიმი გვყავდა, რომ თუ ავადმყოფს წამლის შეძენის საშუალება არ ჰქონდა, თვითონ უთქმელად მიდიოდა და წამალს ყიდულობდაო. როცა გამოვკითხეთ ამ მადლიანი კაცის ვინაობა, ის ძია მიხეილ ჭრელაშვილი აღმოჩნდა, ჩემი უახლოესი მეგობრისა და თანაკლასელის მამა!

საგულისხმოა, რომ ბატონი მიხეილის ამგვარმა გულისხმიერებამ ისეთი ადამიანებიც განაცვიფრა, როგორებიც იყვნენ ბატონი ნიკო მგელაძე და მისი მეუღლე, ქალბატონი ოლღა დუმბაძე, რომელთაც წესად ჰქონდათ ყველა გაჭირვებულის შემწეობა.

მიხეილ ჭრელაშვილის თავმდაბლობა გაგაკვირვებდათ; ის თითქოს იმისთვის არსებობდა, რომ სხვათა პატივისცემა შესძლებოდა. მისი სიკეთისა და ქველმოქმედების შესახებ სხვა დროსაც ხშირად მსმენია თუნდაც მისი მეზობლის, კანდიდ კიკნაძის, ოჯახის წევრთაგან. მთელი ამ სიკეთის

ნყარო ის დიდი სიყვარული იყო, რომელიც ასულდგმულებდა ბატონ მიხეილს.

სწორედ ამ შესანიშნავ ატმოსფეროში იზრდებოდნენ მისი შვილები. ეთერის დედა ერთობ აქტიური და განათლებული პიროვნება გახლდათ. დიდი ოჯახის დიასახლისი შვილებს მზრუნველობას არ აკლებდა. ამიტომაც იყო, რომ ეთერი და მისი ძმა გივი კარგი სწავლითა და ყოფაქცევით გამოირჩეოდნენ. ყმანვილები კარგად ხედავდნენ თავიანთი მშობლების ცხოვრების წესს და არც არის გასაკვირი, რომ შვილები განუზომელი სიყვარულით ეპყრობოდნენ მშობლებს, ახლობლებს, მეგობრებს. ხომ ნათქვამია: „შვილი სარკეა მშობლისა". თუ გვინდა, მადლიერი შვილები გავზარდოთ, თავად უნდა მივცეთ მათ მაგალითი და გამოვიჩინოთ მადლიერება სხვათა მიმართ. ხანგრძლივმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ბედნიერების მოპოვების ერთადერთი გზა სიკეთის ფარული კეთებაა, როცა არ ელოდები სამაგიეროს.

კლასში ეთერს თავი მოკრძალებულად ეჭირა. მის ყოველ ქცევაში, მოქმედებაში მშობლების ანარეკლი ჩანდა. თითქმის ყველასთან ჰქონდა უპირატესობა ამა თუ იმ მხრივ, ოღონდ ეს თვალშისაცემი არ იყო. მას გულღია ხასიათი ჰქონდა და ბუნებით ოპტიმისტი გახლდათ, ტრაგიკული პიროვნება კი აღმოჩნდა – ძალზე ადრე გამოესალმა წუთისოფელს. თითქოს სწორედ მისი ბედის გამოა ნათქვამი: „ღმერთო, რა დიდი ბრალია სიკვდილი კაი ყმისაო!"

დიახ, სკოლაში ერთად ვიზრდებოდით, მხარდამხარ მივდიოდით ცხოვრების გზაზე, ვოცნებობდით, გვიხაროდა. თითქოს მზეც ზიარი გვქონდა, ჭირიცა და ლხინიც. მიყვარდა მის ოჯახში ყოფნა, იქ თავს რაღაცნაირად მსუბუქად და ლაღად ვგრძნობდი; აქ, ამ სასიქადულო ოჯახში საუკეთესო ტრადიციებისადმი ერთგულება სუფევდა; ნათქვამია: პიროვნება ხელწერით იცნობაო. თუ ეს მარ-

თალია, მაშინ გასაგებია, თუ რად ჰქონდა ეთერს იშვიათი ხელწერა; იცოდა ხელსაქმე-ჭიჭნაუხტი, ერთხელ თავისი ხელით მოქარგული პეპლებიანი გულსაფარი აჩუქა ჩემს პაწია ნუნუს. ამ ნაქარგობას, როგორც ძვირფას სახსოვარს, ისე ვინახავდი და ახლახან ეთერის მოსაგონებლად ნუნუს გადავეცი.

ეთერი რძლად შევიდა კოდანაშვილთა ოჯახში. შეეძინა ვაჟიშვილი, რომელსაც მამის პატივსაცემად მიხეილი დაარქვა, ოღონდ დიდი მიხეილისაგან გასარჩევად ჩიტოს ეძახდნენ. ამჟამად მიხეილ-ჩიტო თავის ბაბუასავით სასახელო მოქალაქეა; ისიც, დიდი მიხეილის მსგავსად, სიკეთისა და სიყვარულის მთესველია; ისიც წინაპრების დარად სინდისიანი ცხოვრებით ცხოვრობს. და, რაკი „უნაღვლო და უზრუნველი კაცი არ არის „პირსა ყოვლისა ქვეყნისასა“ (სულხან-საბა ორბელიანი), არც ის შეიძლება იყოს ამისგან დაზღვეული. არც არის: ხან საქვეყნო, ხანაც პირადული, ზოგჯერ ოჯახური ან სულაც სამეგობრო წრის თავსატეხი გაუჩნდება. მაგრამ რას ვიზამთ, როგორც იტყვიან, კაცნი ვართ! ჩვენ ხომ ხშირად, ჩვეულებრივ, „სხვის კვნესა არა გვაწუხებს, სხვისა არ გვესმის ტკივილი“ (გრ. ორბელიანი). უფრო მეტიც: ზოგჯერ სხვისი დარდი ჩიტის მხიარული გალობა გვგონია. რა მსუბუქი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, ყოფა, უფრო მეტად რომ ვეფერებოდეთ ერთურთს, უფრო მეტ კეთილ სიტყვას ვეუბნებოდეთ სიცოცხლეშივე. არადა, ეს ხომ ძნელი არ არის. რა კარგად უთქვამს სერვანტესს: „არაფერი ისე იაფი არ უჯდება ადამიანს, როგორც თავაზიანობა და არაფერი ისე ძვირად არ უფასდება, როგორც თავაზიანობაო“.

ახლა კი ორიოდე სიტყვა ეთერის ერთ შთამომავალზე უნდა მოგახსენოთ, ვისი სიცოცხლეც, ასე მგონია, ჩემი საყვარელი მეგობრის სულის კიდევ ერთი გამონათებაა.

ეთერს ჰყავს შვილიშვილი, ვახტანგ კოდანაშვილი, პიანისტი, კლასიკური მუსიკის შესანიშნავი შემსრულებელი. სექტემბრის მშვენიერი დღეა. ჯ. კახიძის სახელობის სამუსიკო ცენტრის დიდ დარბაზში კონცერტი მიმდინარეობს. ჟღერს ჩაიკოვსკი. ახალგაზრდა პიანისტმა ერთგვარი აღმაფრენითა და შემართებით შეასრულა ნაწარმოები. ჩანდა, რომ ნაწარმოების ამგვარი ფაქიზი, ფილიგრანული ოსტატობით შესრულება მყარ ნიადაგზე იყო დაფუძნებული, ხოლო ეს ნიადაგი საქმისადმი ფრიად სერიოზული დამოკიდებულება და პროფესიის სიყვარული იყო. მე კი, ერთ რიგით მსმენელს, ასე მომეჩვენა, რომ გარდა ზემოთქმულისა, მის შესრულებაში ჩანდა სამშობლოს სიყვარული, წინაპართა დაფასება და პატივისცემა გარდასული ადამიანებისადმი.

მართალია, ვახტანგ კოდანაშვილი მოსწყდა სამშობლოს, უცხო ქვეყანაში მოღვაწეობს, მაგრამ იქაც ქართველი მასწავლებელი ჰყავს, დიდი ხელოვანი ლექსო თორაძე, ვისი ხელდასხმითაც გამოდის იგი ფართო აუდიტორიის წინაშე.

დიახ, ხსენებული კონცერტი 21 სექტემბერს გაიმართა. უცნაური თარიღია, ტკბილ-მწარე მოგონებას რომ აღძრავს. ის ეთერ ჭრელაშვილის გარდაცვალებისა და მისი შვილის ჩიტო-მიხეილის დაბადების დღეა... და კიდევ წარმატებული კონცერტის, წარმატებული გამოსვლის დაბადების დღეც! ამ დღისათვის სოფლიდან საგანგებოდ ჩამოვედი. ყველაზე მეტად ის მინდოდა – ჩემი მეგობრის შვილიშვილისათვის მომესმინა, კიდევ ერთხელ შემეგრძნო გარდასული ჟამის მონატრება, ეთერის სახე მომეგონებინა, კვლავ დამედასტურებინა მისთვის ერთგულება.

ეს ყმაწვილი, ვინც ასე გაგვაოცა თავისი ხელოვნებით, დარწმუნებული ვარ, მშობელი ქვეყნის კულტურის ელჩი იქნება უცხოეთში, ხოლო როდესაც საბოლოოდ

დახელოვნებული სპეციალისტი საქართველოში დაბრუნდება, საშემსრულებლო ხელოვნების განვითარებას მიუძღვნის თავის ცოდნა-გამოცდილებას, რამეთუ მაღალი პროფესიონალიზმი ერთადერთი გზაა, რომელიც კრიზისიდან გამოგვიყვანს.

კიდევ ერთი სიურპრიზი მელოდა, თურმე.

„კაცთა ვერ დასდვან სახელი“ (ნ. ბარათაშვილი) იმ გრძნობას, რომელიც მაშინ დამეუფლა, როდესაც აგვისტოს ერთ მშვენიერ დღეს გამდლისწყაროში კარზე მომადგა თვალებგაცისკროვნებული ყმანწვილი, ეთერის შვილიშვილი ვახტანგი. მას გვერდს უმშვენებდნენ მეუღლე და მათი ახლობლები. დღეს ბევრს საკუთარი, ღვიძლი ბებიაც აღარ ახსოვს, მომეჩვენა, თითქოს ახალშეძენილი შვილიშვილი მესტუმრა ამერიკიდან. გრძნობები ამეშალა.

ეთერის შთამომავლებთან მეგობრობით ისევ ვაგრძელებ ჩემს მეგობართან ურთიერთობას. მე და ჩიტო-მიხეილი დიდი მეგობრები ვართ, იგი თითქმის დედობრივ მოპყრობას გრძნობს ჩემგან, ან კი როგორ შეიძლება არ იმეგობრო და არ გიყვარდეს ადამიანი, რომელიც თითქმის 50 წლის წინათ გარდაცვლილი მშობლის მეგობარს არ ივიწყებს? მისი ამერიკაში მცხოვრები შვილიც, თუკი საქართველოშია, უსათუოდ გამონახავს დროს, „ბებია“ რომ მოინახულოს.

სათუთად ვინახავ ჩემი მეგობარი ქალის კუბოდან აღებულ წითელ ვარდს, ჩადებულს იმ წიგნში, რომელიც ეთერმა მამამისის ბიბლიოთეკიდან წამოიღო და უნივერსიტეტში ჩემი შესვლის აღსანიშნავად მაჩუქა.

მაგრამ არის კიდევ სხვა – გულის წიგნი, რომელშიც ნაღვლიან მოგონებასთან ერთად ინახება წრფელი განცდა, საოცრად ამაღლებული, რასაც, ალბათ, სხვა, ზეგარდმო ნიჭი თუ გამოხატავს, თორემ მე სად მაქვს ამის შეძლება?

პროკოფი რატიანი

პროკოფი რატიანი გამორჩეული ინდივიდუალური ხელწერისა და აზროვნების მქონე შემოქმედია. მას ემარჯვებოდა და ხელეწიფებოდა ელეგანტურად წერა, ამასთანავე ხედვის განსხვავებული მანერა ახასიათებდა. ყოველი მისი გამოსვლა დაუვიწყარი იყო. განსაკუთრებით პოპულარული გახდა მისი ნაშრომი „ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი" (1975 წელი).

ჩემი ყურადღება თავისი მნიშვნელობით მიიპყრო მისმა წერილმა – „ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხისათვის". კარგად მახსოვს მოხსენება, რომელიც მან 1956 წელს წაიკითხა სამეცნიერო სესიაზე. აქ მან ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის მნიშვნელოვანი საკითხები განიხილა, შეეხო იდეოლოგიურ ბრძოლას, მაშინ, როდესაც ვულგარული ნიჰილისტები ყველაფერს და, მათ შორის, თვით ივ. ჯავახიშვილის მოღვაწეობასაც რეაქციული პოზიციებიდან აფასებდნენ. ეს ის დროა, როდესაც დიდ მეცნიერსა და მამულიშვილს ნაციონალისტობა და რეაქციონერობა დასწამეს. პროკოფი რატიანმა სწორედ მაშინ მოიხსენია აუგად გიორგი სოსელიას 1931 წელს დაბეჭდილი ნაშრომი „ქართველ ტომთა სახელმწიფოდ ჩამოყალიბების საკითხისათვის" და კარლო ორაგველიძის მოხსენება „საქართველოს ისტორიის საკითხისათვის", რომელიც წაკითხულ იქნა თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სხდომაზე 1936 წლის 23 მარტს და იმავე წელს დაიბეჭდა უნივერსიტეტის შრომებში; სხდომას ჩემი და ელენე რუხაძე ესწრებოდა. მან აღშ-

ფოთებით გვიამბო მოსმენილის შესახებ: გ. სოსელია ცდილობდა მკითხველი დაერწმუნებინა, თითქოს ივ. ჯავახიშვილი მარქსიზმის წინააღმდეგ იბრძოდა, ხოლო სახელმწიფოს წარმოშობის საკითხზე წვრილბურჟუაზიული შეხედულება ჰქონდა. ამავე აზრს კიდევ უფრო მკვეთრად ანვითარებდა კ. ორაგველიძე.

პროკოფი რატიანმა ამხილა ისინი. იმ ავადსახსენებელ დროს თავისი ვაჟკაცური სიტყვა თქვა და ტირანიის პირობებში არა მარტო ივ. ჯავახიშვილი, არამედ მთელი ჩვენი ისტორიოგრაფიული მეცნიერება დაიცვა.

ბატონი პროკოფი უზნეობის წინააღმდეგ იბრძოდა. იმედის თვალით შეჰყურებდა ახალ თაობას. მისთვის სიტყვა და საქმე განუყოფელი გახლდათ. მისი ყოველდღიური ცხოვრება დაძაბული და აქტიური იყო. არიან ადამიანები, მხოლოდ ფიზიკურად რომ არსებობენ. ასეთი ყოფა მისთვის წარმოუდგენელი იყო. ამქვეყნად ყოფნა მისთვის აზროვნებას და მოქმედებას ნიშნავდა. სხვაგვარად არსებობა შეუძლებლად მიაჩნდა.

მკვლევარს პირველწყაროზე მუშაობა უყვარდა. შესაძლოა ეს მასალები უკვე ყოფილიყო სხვათა მიერ შესწავლილი, მაგრამ რა გასაოცარიც არ უნდა იყოს, განსაკუთრებული უნარი ჰქონდა ისეთი რამ შეემჩნია, რასაც სხვა ვერ აღიქვამდა, რაც მის კვლევას განსაკუთრებულ ელფერს მატებდა.

მეცნიერის ფუნდამენტური გამოკვლევა ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიურ და საციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებზე 1949 წელს დაისტამბა. ამ ნაშრომში ავტორის მეცნიერული კვლევის სიღრმე გამოვლინდა. თავად ეროვნული იდეით გატაცებულს, მართლაც რომ შეეფერებოდა საკვლევად დიდი ილიას ნააზრევი. ილია ჭავჭავაძის სამყაროს რატიანი დიდხანს ვეღარ გაშორდა და მეორე, ასევე ფრიად დიდმნიშვნელოვანი გამოკვლევაც

ილიას მოღვაწეობას მიუძღვნა. ეს ნაშრომი „ილია ჭავ-ჭავაძის პოლიტიკურ-ეკონომიკური შეხედულებანი“ წიგნად 1957 წელს გამოვიდა. 1965 წელს ილიასადმი მიძღვნილი მონოგრაფია გამოქვეყნდა – „ილია ჭავჭავაძე, მოღვაწეობა და აზროვნება“; მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს კვლევისას ი. ჭავჭავაძე მუდამ თავისებურ, ილიასებურ ზემოქმედებას ახდენდა ჩვენს ავტორზე. ვინ იცის, იქნებ, სწორედ მისი შემოქმედების კვლევისას მიღწეულმა ნარმატებებმა შეაგულიანა პროკოფი რატიანი, როდესაც უდიდესი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის, შოთა რუსთაველის, თემაზე მუშაობას შეუდგა და შექმნა ნაშრომები – ცალკეული სტატიები, რამაც აღიარება მოუტანა. 1969 წელს გამოქვეყნდა მისი წერილი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობისათვის“. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ის დრო იყო, როდესაც რუსთველოლოგთა ვიწრო წრეში გარე ავტორთაგან არვის იკარებდნენ. ამთავითვე უნდა ითქვას: ე. წ. ოფიციალური რუსთველოლოგები გარედან მისულ რუსთველოლოგებს ცინიკურად ეპყრობოდნენ, არ აძლევდნენ აზრის გამოთქმის საშუალებას, ყოველმხრივ ზღუდავდნენ. ჯერ კიდევ ნოე ჟორდანია მიუთითებდა: „პოემა თავიდანვე არქეოლოგ-ისტორიკოსთა მონოპოლიად იქცა; სხვები აზრის გამოთქმასაც ვერ ბედავდნენ. ერთმა აკაკიმ გაბედა ამ ტრადიციის დარღვევა და კიდევაც მიიღო საზოგადოების წყრომაო“ (იხ. ნოე ჟორდანია, „ვეფხისტყაოსანი“, პარიზი, 1930 ნ.). ჟორდანიას ეს წერილი მე ლევილში ვნახე, წავიკითხე და ძალიან გავიხარე.

ბატონი პროკოფის რუსთველოლოგიურ იდეებსაც მკაცრი ოპონენტები გამოუჩნდნენ. გაიმართა პოლემიკა პერიოდულ პრესაში. ჩვენ, კარგად ვხედავდით, რომ გამარჯვება, რაც დრო გადიოდა, ბატონი პროკოფის მხარეს იხრებოდა. მისი პოლემიკა რუსთველოლოგიის საკითხებზე სამეცნიერო წყაროებით გამყარებული, იოლად გასაგები და ჭეშმარიტი იყო.

ამ კამათმა გამოაწრთო ახალბედა რუსთველოლოგი და ისტორიკოსი. ამის შედეგად 1975 წელს გამოჩნდა ახალი რუსთველოლოგიური მონოგრაფია – „ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი". შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს საეტაპო წიგნი იყო არა მარტო პროკოფი რატიანის შემოქმედებაში, არამედ მთლიანად რუსთველოლოგიაშიც. აქ საკმაო დამაჯერებლობით არის გადაწყვეტილი მრავალი რუსთველოლოგიური პრობლემა. ამჯერად ამ ახალი ნაშრომის გამო ატყდა დავა. ბატონი პროკოფი კვლავაც მარჯვედ ეპაექრებოდა ოპონენტებს და მისი მოსაზრებები სულ უფრო დამაჯერებლად გამოიყურებოდა, „არაპროფესიონალი" თამამად პასუხობდა სახელმოხვეჭილ „რუსთველოლოგებს". მე და ჩემი მეუღლე ავთანდილ ბენდუქიძე სისტემატურად ვესწრებოდით ამ დისკუსიებს.

უნდა ითქვას, რომ ე. წ. „კანონიერ" რუსთველოლოგიას ამა თუ იმ ეტაპზე გამოუჩნდებოდა ხოლმე რომელიმე თავდადებული მკვლევარი. 1930-იან წლებში ასეთი კაცი გახლდათ კონსტანტინე ჭიჭინაძე, 1960-1970-იან წლებში – პროკოფი რატიანი, 1990-იან წლებში – მურმან თავდიშვილი. მათ რუსთველოლოგია, ასე თუ ისე, გამოჰყავდათ სტაგნაციის მდგომარეობიდან, აფხიზლებდნენ რუსთველოლოგებს და თავიანთი წვლილი შეჰქონდათ ამ დარგის განვითარებაში.

პროკოფი რატიანი წარმატებით იკვლევდა არა მარტო ილია ჭავჭავაძის, არამედ თერგდალეულთა მთელი დასის მოღვაწეობას. ამის დასტურია 1962 წელს გამოცემული წიგნი „თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან", მოგვიანებით, 1968 წელს, ამავე ნაშრომის გადამუშავებული ვარიანტი რუსულ ენაზე გამოიცა.

პროკოფი რატიანის გარდაცვალება მართლაც რომ სრულიად მოულოდნელი იყო ყველასთვის და მისი წასვლა დიდი დანაკლისია საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისათვის.

დავით ხახუტაიშვილი

ჩემი მოგონება იმ პიროვნების არდავიწყებას ეძღვნება, რომლის ნათელი სახე, როგორც კეთილშობილი ადამიანისა და მეცნიერისა, მარად დარჩება ქართველი საზოგადოების ხსოვნაში.

მართალია, ბატონ დავითთან ახლო ურთიერთობა არ მაკავშირებდა, მაგრამ ჩემი გადასახედიდანაც კარგად ჩანდა მისი შრომისმოყვარეობა, მოკრძალებული ხასიათი; მეხსიერებაში ჩამრჩა, რა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა სამსახურეობრივ მოვალეობას.

ისტორიის ინსტიტუტში, ძერჟინსკის ქუჩაზე, სადაც ერთად ვმუშაობდით, განყოფილება, რომელსაც აკად. გიორგი მელიქიშვილი ხელმძღვანელობდა, ძლიერი სამეცნიერო კადრებით გამოირჩეოდა. აქ მოღვაწეობდნენ ლაშა ჯანაშია, ედუარდ მენაბდე, არჩილ ბარამიძე, გრიგოლ გიორგაძე, ნანა ხაზარაძე, მერი ინაძე, რუსუდან რცხილაძე და დავით ხახუტაიშვილი. ამ განყოფილებაში ძველი აღმოსავლეთის ისტორიის შემსწავლელი ძლიერი ცენტრი ჩამოყალიბდა, რომელმაც სახელი გაითქვა არა მარტო ყოფილ საბჭოურ სივრცეში, არამედ მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაშიც. განყოფილების ყოველდღიურ შეკრებაზე კამათსა და აზრის ურთიერთგაზიარებაში იკვეთებოდა ძველი ისტორიის საყურადღებო საკითხები.

ჩემი და ბატონი დავითის განყოფილებები ერთმანეთისაგან გამიჯნული იყო დერეფნით (დირექტორის მოადგილის დავით თალაკვაძის სამუშაო ოთახის გაყოლებაზე),

სადაც ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს და ვსაუბრობდით მის მიერ აღმოჩენილ ახალ მეცნიერულ მონაპოვარზე. განსაკუთრებით, ეთნოგრაფიისათვის ღირებულ მასალაზე. სწორედ ერთ-ერთი შეხვედრისას მიამბო გათხრების დროს აჭარაში ნაპოვნი ორი თანატოლი სწორი ჯოხის შესახებ, რომელიც შესაძლებელია შნაკვის ადრეული სახეობა ყოფილიყო.

მაგონდება, ერთ-ერთი შეხვედრისას ჩვენი საუბარი უფლისციხის გათხრებს შეეხო. „თქვენ მიერ უფლისციხეში ამ ბოლო დროს მოპოვებული მასალა ძალიან მნიშვნელოვანია, – მივმართე მე, – განსაკუთრებით კი უფლისციხის ერთ-ერთ ნამოსახლარში მიგნებული თიხის მეჩანგის ნიღბიანი ქანდაკება, რომელიც ყაზბეგის ქანდაკების მსგავსად მიგიჩნევიათ, ძვ. წ. აღ. VIII-VI სს-ით ათარიღებთ და იმ ხანის ქართლის (იბერიის) სახვითი ხელოვნების ერთ-ერთ საყურადღებო ძეგლად თვლით.“ იქვე ვესაუბრე ნამოსახლარზე, რომლის ერთი ნაგებობაც მას ჰქონდა აღწერილი ძვ. წ. აღ. III-II სს-ის ძეგლებში. მადლობა გადავუხადე; (ეს მასალა დიდად გამომადგა, ჩემი საკვლევაძიებო თემის ერთ-ერთი ბუნდოვანი ადგილის გასარკვევად). ბატონმა დავითმა ბევრი ისეთი ახალი მასალაც მომანოდა, რომელზეც წიგნში არაფერი ჰქონდა ნათქვამი, რადგან ეს საკითხები სათანადოდ დაზუსტებულად არ მიაჩნდა.

ბატონმა დავითმა მართლაც რომ საყურადღებო მასალა მოიპოვა მონათმფლობელური ხანის ქალაქების შესახებ შალვა ამირანაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული გათხრების დროს. კერძოდ, ექსპედიციამ უფლისციხეში ეთნოგრაფიული თვალსაზრისით უნიკალური მასალა აღმოაჩინა. ამ თემაზე საგულისხმო მოსაზრება სწორედ დ. ხახუტაიშვილმა გამოთქვა. მან დაასაბუთა, რომ მოპოვებული მასალა ადრეელინისტური ხანის მასალაა და, რომ ადრეელინისტური ხანის ქართლის ქალაქების ეკონომიკაში

მევენახეობა-მეღვინეობას ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. მეცხოველეობიდან ამ დარგზე გადასვლა უკვე დიდ კულტურულ წინსვლას ნიშნავდა. ამიტომაც ეს დასკვნა უმნიშვნელოვანესი იყო საქართველოს ისტორიისათვის.

ბატონი დავითი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, მრავალი არქეოლოგიური ექსპედიციის მონაწილე და ხელმძღვანელი გახლდათ: უჯარმა, ვაშნარი, ხოვლე, უფლისციხე, გონიო და სხვა ადგილები ზედმიწევნით იცოდა. იქ ყოველი ქვა და ლოდი საკუთარი თვალით ნანახი და ხელშეხებული ჰქონდა. იგივე ითქმის სხვა ექსპედიციებზეც.

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი არა მარტო სამეცნიერო კადრების აღზრდაზე ზრუნავდა, არამედ აქვეყნებდა პირველხარისხოვან გამოკვლევებს. უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია 1980 წელს გამოცემული „გონიოს განძი"; უფრო ადრინდელია ნაშრომი „კლდეში ნაკვეთი ქალაქი" და ამ მონოგრაფიის ბუნებრივი გაგრძელება – „უფლისციხე" (1964-1970) ორ ტომად; ამავე რიგის გამოკვლევაა „იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები", თბ., 1966. ანტიკური ხანის იბერიაში ქალაქურ ყოფაცხოვრებას ეხებოდა მისი მრავალი ცალკეული ნარკვევი თუ საგანგებო წიგნი. ზოგიერთი ნაშრომი მან სხვა მკვლევართა თანაავტორობით შექმნა.

დღევანდელი გადასახედიდან მოჩანს აღნიშნული ფუნდამენტური გამოკვლევების მნიშვნელობა. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ეს ისტორიკოსებისათვის სამაგიდო წიგნებია.

ბატონი დავითი წლების მანძილზე თავდავიწყებით შრომობდა, როგორც მეცნიერ-ისტორიკოსი, არქეოლოგი. დღითიდღე იზრდებოდა მისი როლი ჩვენს ისტორიულ მეცნიერებაში. ის ინტერესდებოდა დიდი, მასშტაბური პროექტებით და პრობლემური საკითხებით. ამაზე მეტყვე-

ლებს მისი თანაავტორობით დაწერილი წიგნი „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია“ (1971).

ბათუმის სამეცნიერო წრეებში ბატონმა დავითმა დიდი ღვაწლი დასდო ქართველოლოგიის, საერთოდ ქართული მეცნიერებისა და საკუთრივ, ისტორიოგრაფიის მეცნიერული კვლევა-ძიების გამოცოცხლებასა და განვითარებას.

იგი აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ტარდებოდა სამეცნიერო სესიები, კონფერენციები.

ბატონი დავითი ყოველთვის სათანადო პატივს მიაგებდა მეცნიერთა ხსოვნას. როდესაც ალექსი რობაქიძის გასახსენებლად ბათუმს ვეწვიეთ, სადაც საღამო უნდა გამართულიყო, და სხდომაზე ბატონი დავითი ვერ ვიხილეთ, ყველას გული დაგვწყდა. მაშინ არავის მოსვლია აზრად, რომ იგი ამ დროს თავს ძალიან ცუდად გრძნობდა.

ბატონი დავითი მრავალი უხილავი და ხილული ძაფით იყო დაკავშირებული ხალხთან, განსაკუთრებით ბათუმელებთან და თბილისელებთან. იგი მარად დარჩება ნათელი მოქალაქის, პატრიოტის სიმბოლოდ, რომელიც საკუთარ თავში მეცნიერს, საზოგადო მოღვაწესა და აღმზრდელს აერთიანებს.

ამას წინათ მშვენიერი ქალიშვილი მომიახლოვდა, თავი დამიკრა, სიყვარულითა და მოკრძალებით მომიკითხა. დიდად მესიამოვნა, ხოლო ეს გრძნობა აღტაცებად გადამექცა, როცა მისი ვინაობა გავიგე, – ის ბატონი დავითის უფროსი ქალიშვილი აღმოჩნდა. ამ დახვეწილმა, ფაქიზი ბუნების არსებამ კვლავ გამახსენა მეცნიერი... პოეტი ქალის შარლოტა კვანტალიანის ეს ლექსიც მომაგონდა:

„შენს მზეს სხივად შევემატო, შენს ხატებთან ვისანთელო,
მინდა, მამა დამილოცონ, ისე კარგად ვიქართველო,
მინდა, ფუძე გაგიმაგრო, ყველა ბზარი გაგიმთელო,
ქართველობა დამილოცონ – ისე კარგად ვიქართველო!“

ჩემო კარგო, მშვენიერო ქალბატონო! მწამს, თქვენ და თქვენი ოჯახი ხართ ამ ლექსის ჭეშმარიტი ადრესატები, მამას, ხალხს, სამშობლოს ასახელებთ და დიახაც, რომ კარგად იქართველებთ.

გიორგი მელიქიშვილი

ზოგჯერ ასეც ხდება: ამა თუ იმ კოლეგასთან პიროვნულად ახლოს არა ხარ, მასთან მეგობრული ურთიერთობები არა გაქვს, მაგრამ მთელი შენი სიცოცხლე გრძნობ, რომ ამ ადამიანთან სულიერი ახლობლობა გაკავშირებს. მისი ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ კი ასე გგონია, თითქოს უახლოესი მეგობარი დაკარგე. ამგვარი დამოკიდებულება გამიჩნდა აკად. გიორგი მელიქიშვილის მიმართ.

აკად. გიორგი მელიქიშვილმა პირნათლად მოიხადა ვალი ქვეყნის წინაშე. ის დიდად განათლებული, ფართო დიაპაზონის მქონე მეცნიერი გახლდათ. ფრიად საინტერესო მოსაუბრეც, თუმცა მისი სასაუბროდ გამონვევა იოლი როდი იყო. ცხარე და ემოციური პოლემიკის დროსაც კი ოლიმპიურ სიმშვიდეს ინარჩუნებდა. შესაძლოა, დავის საგანი სცოდნოდა, მაგრამ მხოლოდ იმ პრობლემის თაობაზე იტყოდა რამეს, რომელშიაც თავდაჯერებული იყო.

მკვლევარს განსაკუთრებით ღრმად ჰქონდა გააზრებული ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია. ამის მკაფიო დასტურია მისი ცნობილი სამეცნიერო შრომები. გიორგი მელიქიშვილი საქართველოში ძველი აღმოსავლეთის შემსწავლელი სკოლის ერთ-ერთი მესაძირკვლე იყო.

როგორც უნივერსიტეტში სწავლისას სემინარებზე შევიტყვე, მთლად ახალგაზრდა წარმართავდა სტუდენტთა სამეცნიერო წრის საქმიანობას. ამ შეკრებებზე სიამოვნებით ისმენდნენ და განიხილავდნენ თანამედროვე გამოკვლევებს. სამეცნიერო წრე საკვლევაძიებო მუშაობის

ცენტრი იყო, ხოლო გ. მელიქიშვილი – მისი ერთ-ერთი სულისჩამდგმელი. მოგვიანებით ხშირად გამიგონია, რომ არ ყოფილა საკითხი, რომლის შესახებაც გ. მელიქიშვილს სემინარზე თავისი საგულისხმო მოსაზრებები არ გამოეთქვა და მის მუშაობაში დიდი წვლილი არ შეეტანა.

როგორც პიროვნება, ის ერთობ მშვიდი და მორიდებული გახლდათ. ბოლო კურსზე რომ იყო, მასზე ამბობდნენ: დიდად ნიჭიერიაო, კალამი უჭრისო, მეცნიერული ალღო აქვსო და ა. შ. სწორედ იმ ხანებში ქება-დიდებით მოიხსენიებდნენ მიხეილ გეგეშიძესაც, რომელმაც მოგვიანებით ასევე პირნათლად მოიხადა ვალი ხალხისა და დროის წინაშე. მალე ისინი სამეცნიერო ცხოვრების ორმოტრიალში მოექცნენ. მათ სასახელოდ უნდა ითქვას: არც ერთ მათგანს არ უვლია იოლი გზით, მუდამ რთული და შრომატევადი საკითხების დასმაში, კვლევა-ძიებასა და გადაწყვეტაში იყვნენ.

გარდა მშვიდი და მოკრძალებული ბუნებისა, გ. მელიქიშვილს სხვათა მიმართ კეთილგანწყობა გამოარჩევდა. ყველას ჭეშმარიტებისა და მოკრძალებულობის გაკვეთილს აძლევდა. ამიტომაც იყო, რომ ბ-ნი გიორგის გარდაცვალებისას ქართველ ისტორიკოსთა საზოგადოება, კოლეგები, მონაფეები, მეგობრები, ღრმა მწუხარებით გამოეთხოვნენ მას. გ. მელიქიშვილმა განსაკუთრებული კვალი დატოვა აღსაზრდელებსა და ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლებში. ისინი დღესაც გულნრფელი სიყვარულითა და მოწიწებით იხსენებენ ღვაწლმოსილ პედაგოგსა და მეცნიერს.

გ. მელიქიშვილის სტატიებზე, წიგნებზე, მონოგრაფიებზე უსასრულოდ შეიძლება საუბარი. ამ დიდი თვალსანიერის შემოქმედს არა მხოლოდ ფაქტების ახსნა შეეძლო, არამედ თეორიულ მოსაზრებათა დასაბუთებაც, მეცნიერული კვლევის მეთოდების შერწყმა და მათი გონივრული მონაცვლეობა. მან მრავალი ნაშრომი მიუძღვნა „ძველი

დროის“ საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ეთნოლოგიურ ნარმონაქმნთა პოლიტიკის, ეკონომიკის, ისტორიის, გეოგრაფიის საკითხებს, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის, კულტურისა და სხვა მნიშვნელოვან პრობლემებს. როგორც თავად აღნიშნავდა, მისი მუდმივი ინტერესის საგანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის საკითხები გახლდათ. გარდა ზემოთქმულისა, გიორგი მელიქიშვილი ემსახურებოდა ეროვნული კულტურის საგანძურის შეკრების საშვილიშვილო საქმეს, მის დაცვასა და მოვლა-პატრონობას, კვალიფიციურ შესწავლას. მისმა ფუნდამენტურმა ნაშრომებმა ძველი აღმოსავლეთის ისტორიის დარგში ახალი ეტაპი შექმნა ურარტოლოგიაში. მან მკაფიოდ გვიჩვენა ხურიტების, ხეთების, ასურების ვინაობა; დიდი დამაჯერებლობით დაადგინა კოლხასა და დიაოხის – ამ უძველესი ქართული სახელმწიფოების ისტორიის ბევრი ბუნდოვანი საკითხი. მკვლევარს ყოველთვის უფრო კარდინალური, დიდი პრობლემები იზიდავდა. სწორედ მან დაამუშავა კლასობრივ საზოგადოებათა ტიპოლოგიური მოდელები და ეს იმ დროს, როცა ტიპოლოგიური პრობლემების კვლევა ახალი დაწყებული იყო.

1965 წლიდან გ. მელიქიშვილი სათავეში ჩაუდგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს. ამ ინსტიტუტისა და მისი პერსონალის ყველა წარმატებაც სწორედ ამ ხანიდან იწყება, რადგან, როგორც ითქვა, იგი თანამშრომლებსა და თანამოაზრეებს მაგალითს აძლევდა არა ოდენ სამეცნიერო თავდადებითა და ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობითა და კეთილსინდისიერებით, არამედ კარგი კაცობითაც. ამის ნიმუშად ორი ეპიზოდი მინდა გავიხსენო. ბ-ნი გიორგი თავის ახალ წიგნს გამოსვლისთანავე წარწერას უკეთებდა, ჩვენს განყოფილებაში მობრძანდებოდა და ისეთი მორიდებით გადმომცემდა

ხოლმე, თითქოს დიდი დანაშაული ჰქონოდა ჩადენილი. ეს მისი კეთილშობილებისა და თავმდაბლობის ნიშანი იყო.

როდესაც გამოჩენილ მეცნიერს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა, ამ თარიღთან დაკავშირებით გამართულ ბანკეტზე ბატონ გიორგის და ქალბატონ ელენეს არც ჩემი მინვევა დავიწყებიათ, რაც კონკრეტულ შემთხვევაშიც დიდებულად ახასიათებს ამ დიდბუნებოვან პიროვნებებს.

კარგა ხნის წინათ ჩვენი ინსტიტუტიდან მეცნიერებათა აკადემიაში წარსადგენი ხალხის დასახელება დაიწყო. ყველა განყოფილება საკუთარ კანდიდატს ასახელებდა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად ან წევრად გაყვანის მიზნით. ეთნოგრაფებმა თინა ოჩიაური დაასახელეს, შემდეგ რატომღაც საერთო კრება მოიწვიეს და წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატად მე დამასახელეს. თავზარი დამეცა, ამის სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი. ჩემი პროტესტი არ გაითვალისწინეს. მაშინ დირექტორთან შევედი და მოვახსენე: ბატონო გიორგი, უმორჩილესად გთხოვთ, სამეცნიერო საბჭოზე კანდიდატად ნუ დამასახელებთ-მეთქი! მან გაკვირვებულმა მკითხა: – რატომ არ გინდათ, რატომ გგონიათ, რომ არ ბრძანდებით ღირსი, რატომ იხევთ უკან, განა ვინმე უკეთესი გეგულებათ? მე ვუპასუხე: – ბატონო გიორგი, ქალბატონები – ვერა ბარდაველიძე და რუსუდან ხარაძე – აკადემიის წევრები არ არიან და ვერც კი წარმომიდგენია, მე რატომ უნდა ვიყო თუნდაც წევრ-კორესპოდენტი?!

ჩემმა პასუხმა ბატონი გიორგი გააკვირვა. მირჩია, უკან მაინც არ დამეხია. მალე სამეცნიერო საბჭოს სხდომა გაიმართა. მან კანდიდატთა გვარები გამოაცხადა. მე არ დავუსახელებივარ, მაგრამ იქვე საგანგებოდ აღნიშნა ჩემი მოკრძალებული საქციელის თაობაზე. დამთავრდა თუ არა მეცნიერთა ეს თავყრილობა, კეთილი სიტყვებისათვის დიდი მადლობა მოვახსენე. მეცნიერის ასეთმა გულისხ-

მიერებამ დიდი სიხარული განმაცდევინა. გასაგებია, რომ ამის შემდეგ ბატონ გიორგის კიდეე უფრო დიდ პატივს მივაგებდი. ადამიანი პატივისცემას პატივისცემითვე უნდა პასუხობდეს. მეც ყოველთვის მენადა, რაიმე სიკეთით გადამეხადა მისთვის და ერთხელ, თითქოს, ასეთი შესაძლებლობა მომეცა, თუმცა არ გამიმართლა.

მოსკოვს ერთდროულად ვიმყოფებოდით, თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს ბიბლიოთეკაში. ჩემთვის მოულოდნელად რამდენიმე დღე ისე გავიდა, თვალიც ვერსად მოვკარი. შევწუხდი, ავად ხომ არ არის-მეთქი? მისი მისამართი ვიცოდი და მოსანახულებლად გავეშურე, ოპერის ბილეთები შევიძინე, ვიფიქრე, თუ ჯანმრთელადაა, მაშინ ოპერაში დავპატიჟებ-მეთქი. მნოლიარე დამხვდა, თავს შეუძლოდ გრძნობდა. ძლიერ შევწუხდი, წამლის მიტანა შევთავაზე, მაგრამ თავაზიანად მიპასუხა, რომ, რაც საჭირო იყო, ყველაფერი ჰქონდა და დიდი მადლობა გადამიხადა გულისხმიერებისათვის. ჩემი კეთილი სურვილების მიუხედავად, ისე გამოვიდა, რომ არც ოპერის ბილეთები გამომადგა და არც წამლის ფული, ჯიბეში რომ მედო. პირიქით, უდროო დროს მისვლით, ალბათ, კიდეც შევაწუხე.

ჩვენს სახელოვან მეცნიერს, ქართველი ხალხის საამაყო შვილს, აკად. გიორგი მელიქიშვილს მართლაც რომ შეეფერება პოეტ თემურ ჩალაბაშვილის ეს მშვენიერი სიტყვები:

„საქართველოში ნმინდანივით
იცხოვრე, რადგან
შენ თავზე უფლის ნაბოძები
გვირგვინი გადგას“...

ელენე ვირსალაძე

მოგონებების წერისას ყველაზე ძნელი პირველი ფრაზის დაწერაა... ყოველთვის ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ვერ დავწერ ყველაფერ იმას, რაც მინდა.

ქალბატონი ელენე ვირსალაძის შესახებ ბევრი რამ დაწერილა, მაგრამ ამ მეცნიერის პიროვნული თვისებები, მისი შინაგანი სამყარო იმდენად მრავალფეროვანია, რომ, ალბათ, ეს წერილიც ვერ ამოწურავს სათქმელს.

ქალბატონი ელენე არა მხოლოდ ფოლკლორის ნაყოფიერი მკვლევარი, არამედ ფართოდ განათლებული ლიტერატორი იყო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ლენინგრადის ენისა და ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში განაგრძო სწავლა. 1936 წელს იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქართული ზღაპრის გენეზისის პრობლემა". ამავე წელს დაბრუნდა საქართველოში და მუშაობა დაიწყო შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სხვადასხვა ინსტიტუტში.

ახალგაზრდობის აღზრდას იმდენ დროს უთმობდა, რომ, თითქოს, სხვა საქმისათვის ვეღარ უნდა მოეცალა, მაგრამ ამოუწურავ ენერგიას ფლობდა, რომელსაც ხელგაშლილად ხარჯავდა. მისთვის უცხო იყო სნობობა და კარჩაკეტილობა, ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა, პატივს სცემდა და უყვარდა საქართველოს „ცოცხალი" ტრადიციები.

ქალბატონ ელენეს საოცრად ტრაგიკული ბედი ჰქონდა... თავის დროზე რეპრესირებული პიროვნება თბილისში დაბრუნდა, სულით არ დაცემულა, სულ ზევით-ზევით მიიწევდა. არაჩვეულებრივი პოპულარობით სარგებლობდა, ყველა მიისწრაფოდა მისი მოხსენებებისა და საჯარო გამოსვლების მოსასმენად. ეს კოლორიტული პიროვნება XX საუკუნის ქართული მეცნიერების ერთ-ერთ მშვენებად დარჩა. ქალბატონი ელენე თავისი საქმის ჭეშმარიტი პროფესიონალი გახლდათ, გამოქვეყნებულმა ნაშრომებმა მას წარმატებული მეცნიერის სახელი დაუმკვიდრა. იგი უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა პოეზიის კვლევას, სწავლობდა ქართული ფოლკლორის აქტუალურ საკითხებს – ეპიკურ ტრადიციათა თავისებურებას ფოლკლორში, მითოლოგიურ პრობლემას, ზედიზედ აქვეყნებდა საინტერესო და მნიშვნელოვან სტატიებს. მისი ნაშრომები თარგმნილია ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე.

ქალბატონ ელენეს თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ქართული ზეპირსიტყვიერი ნიმუშების შეკრებისა და გამოქვეყნების საქმეში. მან მოამზადა და გამოსცა „ქართული საისტორიო ეპოსი“, „ქართული ხალხური ზღაპრები“, მონაწილეობა მიიღო ქართული ხალხური პოეტური შემოქმედების კრებულის შედგენაში, 1950 წელს გამოაქვეყნა წიგნი „ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება“ და სხვ. იყო ნარატიული ფოლკლორის საერთაშორისო საზოგადოების წევრი. მისი სახელი კარგად არის ცნობილი საქართველოს ფარგლებს გარეთ.

მისი ხელმძღვანელობით არაერთი ექსპედიცია მოეწყო მთიულეთ-გუდამაყარში, რაჭაში, ქართლსა და კახეთში, გურიასა თუ იმერეთში.

მგონი, 1946 წელი იყო. ფასანაურში შევხვდი ქალბატონი ელენეს მეუღლეს, ბატონ შალვა ხიდაშელს და მის პატარა, მშვენიერ გოგონას, მანანას (რომელსაც თავზე

შინდისფერი შალისაგან ხელით ნაქსოვი ქუდი ეხურა). ბავშვს თავზე ხელი გადავუსვი, მივუალერსე (გამახსენდა ჩემი შვილი, რომელიც მასზე უფრო პატარა იყო და რომლის დარდიც მქონდა). როგორც გავიგე, ქალბატონი ელენე ველზე მუშაობდა, მამა-შვილი კი სეირნობდა. მე ყოველთვის მიკვირდა, როგორ უვლიდა ბატონი შალვა მანანას ქალბატონი ელენეს გადასახლებაში ყოფნის დროს. უდედოდ დარჩენილი ბავშვისთვის მას მზრუნველობა არ მოუკლია.

დინჯი და აუჩქარებელი ქალბატონი ელენე არასოდეს კარგავდა წონასწორობას, უკიდურეს შემთხვევაში ზომიერად იტყოდა იმას, რაზეც სხვა დროს თავს შეიკავებდა.

ელენე, რომელსაც ახლობლები ლოლოტას ეძახდნენ, დღეს რომ ცოცხალი იყოს, ძალზე თანამედროვე და დიდად წარმატებული მეცნიერი იქნებოდა...

ამ წერილის წერისას ერთი ამბავი გამახსენდა: ინსტიტუტიდან მიმავალს გზად ქალბატონი ელენე შემხვდა, ცოტა ხანს ვისაუბრეთ. მკითხა: სად მიგეჩქარებათო? ვუპასუხე, რომ ჩემს კოლეგას, თამარ მამალაძეს, ცუდი დიაგნოზი დაუსვეს და მის მოსანახულებლად მივდიოდი. მან უყოყმანოდ გადაწყვიტა, ჩემთან ერთად მოენახულებინა ქალბატონი თამარი. მე გამიკვირდა და მესიამოვნა მისი საქციელი. თამარი რკინიგზის საავადმყოფოში იწვა... ძნელია იმის გადმოცემა, თუ როგორ გაახარა ავადმყოფი ქალბატონი ელენეს მოულოდნელმა მისვლამ, მისმა დამამშვიდებელმა სიტყვებმა. ახლაც თვალწინ მიდგას თამარის გაბრწყინებული სახე.

ლოლოტა სიცოცხლის ბოლო წლებში თვითონაც ავადმყოფობდა. ერთხელ რკინიგზის საავადმყოფოში მოვინახულე. ჩემი მისვლა ძალიან გაუხარდა. მარტონი ვიყავით და ბევრ რამეზე ვისაუბრეთ. ორივენი ძალიან კმაყოფილები დავრჩით. გარკვეული ხნის შემდეგ ლოლოტა ისევ მოათა-

ვსეს საავადმყოფოში, შემდეგ შინ გადაიყვანეს... უამრავი მნახველი ჰყავდა. იგი ყველას უყვარდა. ასე იყო მის სოცოცხლეში და დღესაც იგივე გრძელდება.

რა დიდი ღირსებაა ადამიანისათვის ჭეშმარიტი ინტელიგენტობა. ძვირფას ლოლოტას ეს თვისება უხვად ჰქონდა მომადლებული. მისი უპირველესი საზრუნავი საქართველო იყო. სამშობლოს ღირსეულად ემსახურებოდა თვითონაც და მისი მეუღლეც. ელენე ვირსალაძემ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობასა და ფოლკლორში ღრმა და მნიშვნელოვანი კვალი დატოვა.

მრავალი ნელი გავიდა მისი გარდაცვალებიდან. სიკეთისა და მადლის შუქით მოფენილი ცხოვრება მან სამშობლოს ერთგულ სამსახურს შეალია...

დავწერე ეს ბნკარები და კიდევ ერთხელ მწარედ მეტკინა გული, რომ ასეთი სწორუპოვარი ადამიანი ჩვენს გვერდით აღარ არის.

ნიკოლოზ სტურუა

იშვიათად შეხვდებით ისეთი ყოველმხრივი სიკეთით შემკულ პიროვნებას, როგორიც ბატონი ნიკოლოზ სტურუა იყო. ზენაარსმა მისთვის არ დაიშურა არც სულიერი და არც ფიზიკური სილამაზე. ამ ბუნებით კეთილშობილ ადამიანს მომადლებული ჰქონდა გამჭრიახი, სხარტი გონება, პრაქტიკული მოქმედების უნარი, ფიზიკური ძალა და უშრეტი ენერგია. მიუხედავად იმისა, რომ ხანგრძლივად მუშაობდა მნიშვნელოვან პარტიულ და სახელმწიფო თანამდებობებზე, ხალხს არასოდეს მოსწყვეტია, მუდამ ახსოვდა, „ვისი გორისა" იყო.

ვიდრე ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში გადმოვიდოდა სამუშაოდ, ნიკოლოზ სტურუამ რთული და საინტერესო ცხოვრებისეული გზა განვლო. 1939 წელს დაამთავრა ინდუსტრიული ინსტიტუტი ჰიდროტექნიკოსის დიპლომით. იმ დროიდან 1954 წლამდე პარტიულ სამუშაოზე იმყოფებოდა. ამავე წელს ჩვენს ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა. 1962 წლიდან ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო დარგში დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე გადაიყვანეს. მალე სადოქტორო დისერტაცია დაიცვა, მიენიჭა პროფესორის წოდება. 1983 წელს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა.

...ერთხელ იმერეთის მშვენიერ კუთხეში, კულაშის მიდამოებში, ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში ვიმყოფებოდი. იმხანად ბატონ ნიკოლოზს ჯერ არ ვიცნობდი. გამაოცა იმ პატივისცემამ და სიყვარულმა, რომლითაც მოიხსენიებდა

ხალხი ივანე სტურუას, მის ვაჟკაცობასა და საქმიანობას. მოგვიანებით შევიტყვე, რომ იგი ბატონი ნიკოლოზის მამა იყო. ივანე სტურუა – პროფესიონალი რევოლუციონერი და პარტიული მუშაკი – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, რევოლუციის შემდეგ ხელმძღვანელობდა სამტრედიის ბოლშევიკურ ორგანიზაციას, 1918-1920 წლებში იყო ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის წევრი.

ისტორიკოსად ბატონი ნიკოლოზი ჩვენი ინსტიტუტის კედლებში ჩამოყალიბდა. მან მამის მონათხრობის და უმდიდრესი არქივის წყალობით დიდძალი მასალა შეისწავლა, ისტორიული ხასიათის ნარკვევები დაწერა და 1956 წელს გამოაქვეყნა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ თუ არა ბატონი ივანეს მონათხრობი და სათანადო დოკუმენტური მასალა, რომელიც ბატონმა ნიკოლოზმა მოიპოვა, დღეს ჩვენთვის ბევრი ისტორიული ფაქტი და მოვლენა უცნობი იქნებოდა.

ნიკოლოზ სტურუას უაღრესად ჰქონდა გამახვილებული პასუხისმგებლობის გრძნობა, ნუხდა, რომ ბევრი ადამიანი მოკლებული იყო ამას. იგი ადამიანის უღირსს საქციელს ვერანაირ ახსნას ვერ უძებნიდა. ხშირად უთქვამს: პასუხისმგებლობის გრძნობის დაქვეითება ყოველი ჩვენთაგანის ნაკლია, ჩვენ თავად ვქმნით სახელს ან თავადვე ვარცხვენთო. ადამიანმა ნებისმიერი ისტორიული, პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული ვითარების პირობებში ადამიანობა არ უნდა დაკარგოს, ჩვენ ერის სახე ვართ და ეს არ უნდა გვავიწყდებოდესო.

იმ პერიოდში საქართველო რუსეთის იმპერიისგან ჩამოსაშორებლად ემზადებოდა. გაჩნდა მრავალი პარტია. ხალხში იყო მითქმა-მოთქმა და მსჯელობა, თუ რა გზას უნდა დავდგომოდით. ბატონი ნიკოლოზი ფრთხილი, გონივრული მოქმედებისაკენ მოგვიწოდებდა. ხშირად გვი-

მეორებდა ჩვენთვის მაშინ ნაკლებად დამაჯერებელ სიტყვებს: მოსალოდნელი გადატრიალება საზოგადოების ყველა წყლულს გააღრმავებს, შესაძლოა საქმე იქამდეც კი მივიდეს, საკუთარი თავიც კი გვეჯავრებოდესო. სამწუხაროდ, მისი წინასწარმეტყველება ახდა, 1991-1992 წლის მოვლენებმა დაადასტურა ბატონი ნიკოლოზის ნათქვამი.

როდესაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ერთობ დაიძაბა, ინსტიტუტის საერთო კრებაზე სიტყვით გამოსულმა ბატონმა ნიკოლოზმა მოგვახსენა (ტექსტი, რომელიც მაშინ ჩავწერე, მომაქვს მიახლოებით):

„ვართ თუ არა მზად თავისუფლებისათვის?

აი, ეს არის პირველი კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს. ნაწილობრივ, რა თქმა უნდა, მზად ვართ. ყოველ შემთხვევაში, დღეს ის მაინც ვიცით, რა დავკარგეთ. დაგვიკარგავს თურმე დრო, დრო კი ყველაფერზე ძვირფასია. დღეს უკვე ვიცით, რომ 70 წელი „სხვა სოციალიზმი" გვიშენებია და ახლა ვუბრუნდებით საბაზრო ეკონომიკას. მეორე კითხვაა: შევძლებთ თუარა თავისუფლებისათვის ბრძოლას? შევძლებთ თუ არა ეროვნული დაუმორჩილებლობის განხორციელებას, რისკენაც მოგვიწოდებენ სხვადასხვა პარტიები?" გარდა ამისა, ბატონმა ნიკოლოზმა სხდომაზე სხვა პრობლემებზეც ისაუბრა: „გვიყენებენ მოთხოვნას, რომ მესხეთში ჩავასახლოთ ნახევარი მილიონი ადამიანი. განა ეს მხოლოდ ქართველთა საქმეა? რატომ არ ვფიქრობთ იმაზე, როგორ მოვიმხროთ ამ საქმეში ახალციხელი და ახალქალაქელი სომხები?" აქციების მოწყობის თაობაზე კამათის შესახებ შემდეგი მოგვახსენა: – „მიმაჩნია, რომ საჭიროა ერთობლივი საზოგადოებრივი აქციების მოწყობა და ამის დასაბუთებასაც შევეცდები. ჯერ ერთი, ეს იმიტომ არის საჭირო, რომ ყველამ დაინახოს და გაიგოს (ვისაც საქართველო თავის სამშობლოდ შეურაცხავს და არა სასტუმროდ), რომ ხალხს არაფერს ვუმალავთ,

რომ გვინდა საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების ხალხთან ერთად ვიზრუნოთ ჩვენს ქვეყანაზე; მეორეც, ერთიანი და მრავალეროვანი საქართველოსათვის ბრძოლა უნდა გამორიცხავდეს დაპირისპირებას ისეთ საკითხებში, რომლებსაც მტრები ახორციელებენ. მაგრამ არის პრობლემები, რომლებიც უნდა გადავწყვიტოთ. ავიღოთ ერთი მათგანი. აფხაზურ ენასა და კულტურას საქართველოს გარდა პატრონი არა ჰყავს. შეუძლია თუ არა რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, დაეხმაროს აფხაზეთს ამ საქმეში? მოსთხოვა მას ეს ვინმემ? არა, არ მოუთხოვია. რატომ არ მოვთხოვეთ ჩვენ, აფხაზებმა და ქართველებმა ერთობლივად, აფხაზური საშუალო სკოლების გახსნა? ხომ კარგად ვიცით, რომ ეს გადაარჩენს აფხაზეთს, აფხაზებს და ამ თვალსაზრისით გამართული ერთობლივი აქცია ხომ ნიღაბს ახდიდა ყველას, ვისაც აფხაზთა გარუსება უნდა? ვიცი, ქართული გულარხეინობის ბრალია, რომ არ ვზრუნავთ მოძმე ერისათვის და აქამდე პრესის საშუალებითაც კი არ დავაყენეთ ეს საკითხი.

შევეხოთ სხვა პრობლემას: რა ვითარებაში ვართ, რაზეა შეთანხმებული ჩვენი ქვეყანა ხელმოწერებითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით? 1921 წელს მოხდა საქართველოს ოკუპაცია, რასაც ანექსია მოჰყვა. საბჭოთა არმია არ მოუწვევია არც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, არც საქართველოს მოსახლეობას და არც საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ რომელიმე პარტიას, მათ შორის, სოციალ-დემოკრატიულსაც, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია. 1921 წლიდან მოყოლებული დღემდე ოკუპაციის პირობებში ვართ. ამ ხანებში მიღებული ყველა დეკრეტი თუ დადგენილება იურიდიულად დაუსაბუთებელია, ასე რომ, შესაძლებელია ყოველი მათგანის გაუქმება."

როდესაც ზვიად გამსახურდია პრეზიდენტი გახდა, ბატონი ნიკოლოზი გულისყურით ადევნებდა თვალს მის მოღვაწეობას. მის მიერ გადადგმული ბევრი ნაბიჯი მოსწონდა, ზოგი მცდარად მიაჩნდა და ამის თაობაზე ყოველთვის გამოთქვამდა საკუთარ პოზიციას. ის მცოდნე, დაკვირვებული ადამიანი იყო, ზედაპირული ლაპარაკი არ უყვარდა, აზრს მხოლოდ ბევრი ფიქრის, ფაქტებისა და მოვლენების ანალიზის შემდეგ გამოთქვამდა.

ალბათ, ბევრს ახსოვს ბატონი ნიკოლოზის გულწრფელი თანადგომა. ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო, რომელმაც შეიძლება ღიმილიც მოგგვაროთ, მაგრამ ჩემთვის ის მეტად კეთილმოსაგონარია... ერთხელ ჩვენი ინსტიტუტის არქივიდან სასწრაფოდ გახდა საჭირო მასალების გამოტანა. იმ კარადის საკეტი, სადაც ეს მასალები იყო განთავსებული, მოიშალა. კარადა ვერაფრით ვერ გავაღე და დავიწყე ინსტიტუტის ხელოსნის ძებნა, რომელიც არსად არ ჩანდა. ავედი დირექციაში, მისაღებ ოთახში მდივანს ვკითხე, ხომ არ იცოდა ხელოსნის ასავალ-დასავალი. ამ დროს ბატონი ნიკოლოზი შემოვიდა. მომიკითხა. ჩემი გასაჭირი რომ შეიტყო, დამამშვიდა, მე დაგეხმარებიო. ჩემთვის მოულოდნელად, საკუთარი კაბინეტიდან გამოიტანა იარაღი, განყოფილებაში ჩამომყვა და კარადა გამიღო. დაუვიწყარია ის ყურადღება და სიკეთე, რომელიც ბატონმა ნიკოლოზმა ჩემ მიმართ მაშინ გამოიჩინა. დღესაც დიდი მოწიწებით და სიყვარულით ვიხსენებ მას, როგორც უაღრესად თავმდაბალ და კეთილ ადამიანს, რომლის სიცოცხლე ტრაგიკულად დასრულდა. მისი ოჯახის ნევრებიდან დღეს ცოცხალია მხოლოდ მისი ქალიშვილი.

საუკუნო ხსოვნა იყოს ამ დიდებული ადამიანის!

ანა ხარაძის და მიშა სახოკიას გახსენება

(ბოტანიკის ინსტიტუტში გამართულ მკვლევართა მოგონების დღისადმი მიძღვნილ საღამოზე წარმოთქმული სიტყვა)

ჩვენი ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო საზოგადოება დღეს იხსენებს და პატივს მიაგებს ორ თვალსაჩინო ბოტანიკოს მეცნიერს, პირნათელ მოქალაქეებს, ქალბატონ ანა ხარაძეს და ბატონ მიხეილ სახოკიას (ახლობლები და მეგობრები მიშას ეძახდნენ). ამ მოღვაწეთა სულში მკაფიოდ იკვეთება მთელი კავკასიური ბუნების სიმშვენიერე და საქმის დიდი სიყვარული. სამწუხაროა, რომ ადრე წავიდნენ ამ წუთისოფლიდან.

ზოგჯერ უცნაური რამ ხდება ამქვეყნად – „დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან", მართალია, ამას ვერ ვიტყვით ქალბატონი ანას და ბატონი მიშას შესახებ, მაგრამ უნდა აღინიშნოს: ისინი უხმაუროდ იღვწოდნენ. ყოველი მათი ნაშრომი საქმის დიდი სიყვარულით იქმნებოდა, ყოველ მათგანში ჩანს უსაზღვრო ცოდნა, მეცნიერული სიღრმე. ისინი ჩვენი ბოტანიკური სკოლის ღირსეული წარმომადგენლები იყვნენ. ეს არც არის გასაკვირი. ქალბატონი ანა და ბატონი მიშა ლუკა ხარაძისა და თედო სახოკიას ოჯახების წევრები იყვნენ, იქ აღიზარდნენ. ისინი დაჯილდოებულნი იყვნენ ერის საწუხარის ხედვის უნარით, მუდამ ერის წარმატებასა და წინსვლაზე ფიქრობდნენ.

ეს მკაფიოდ გამოავლინეს მაშინ, როდესაც საქართველო დამოუკიდებლობის გზას დაადგა.

სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ჩანს მეცნიერ-მკვლევართა დაუფასებლობა. ეს რა თქმა უნდა, ხელს ვერ შეუწყობს მეცნიერებზე მართებული პროფესიული აზრის შემუშავებას. არადა, უნინ სულ სხვაგვარი დაფასება ჰქონდა მეცნიერს, ლექტორს. მაგონდება, ბიოლოგიის ფაკულტეტის ერთ-ერთმა სტუდენტმა ხმამაღლა გამოხატა თავისი აზრი ბოტანიკის ლექტორის შეფასებისას: „ესეც რა, მიშა სახოკია ხომ არ არისო!" სტუდენტს მიშა სახოკია ლექტორის ნიმუშად მიაჩნდა და ეს მაშინ, როცა ბატონ მიშას არავითარი ხარისხი არა ჰქონია. მაშასადამე, სტუდენტმა ხარისხიანი და წოდებიანი მეცნიერი კი არა, არამედ უბრალოებით შემკული თავისი დარგის ნიჭიერი სპეციალისტი აღიარა. ვფიქრობ, იმ სტუდენტის აზრი უფრო კარგად ახასიათებს ბატონ მიშა სახოკიას, ვიდრე ჩემ მიერ წარმოთქმული ათობით დითირამბი.

ბატონმა მიშამ, როგორც ჩვენში გეობოტანიკური მეცნიერების ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, თავის დროზე შექმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის შირაქისა და ყაზბეგის განყოფილებები. მის შემოქმედებას დაუვიწყარს ხდის საგანგებო მნიშვნელობის გამოკვლევები ფლორისტიკაში; მანვე მოგვცა ჩვენი მცენარეული სამყაროს სურათი, დაამუშავა ქვიანი ქვეყნების გეობოტანიკური დარაიონების გზები და საშუალებანი, პრინციპები. მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შრომას პრემიაც მიენიჭა. ეს გახლდათ ავტორთა კოლექტივთან ერთად შექმნილი საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის მცენარეულობის რუკა, რომელიც ისე მნიშვნელოვანი გამოდგა, რომ ორჯერ გამოიცა (1950, 1980).

ბატონი მიშა ერთობ კომუნიკაბელური და გულთბილი პიროვნება გახლდათ. მახსოვს ერთი შემთხვევა: მცენარე-

თა ბოტანიკური სახელების ქართული დასახელებანი (და მათი ვარიანტები) დამჭირდა. ისინი ლექსიკონ-სიტყვარებში ვერაფრით ვერ მოვიძიე. ამიტომ, იძულებული გავხდი ბატონი მიხეილი შემეწუხებინა. დახმარება ვთხოვე. დამიბარა, საჭირო ტერმინ-ცნებათა განმარტებაც მომცა და თანაც გაოცებულმა დასძინა: – „თქვენ იმდენი ახალი ფორმა და სახელი მითხარით, მიკვირს, რატომ არ არის ისინი ლექსიკონში შეტანილიო". შემდეგ კი ჩემი მიტანილი მასალის სადაურობით დაინტერესდა...

ანა ხარაძის ღვაწლიც ისევე მრავალფეროვანია, როგორც მისი კოლეგისა და მეგობრისა. მან ბოტანიკის გეოგრაფიაში მნიშვნელოვანი შრომები დაგვიტოვა. მარტო ის რად ღირს, რომ უნიკალური გამოკვლევა დაწერა კავკასიის ფლორის ისტორიის შესახებ და რედაქტორია ისეთი ფუნდამენტური შრომისა, როგორც არის „საქართველოს ფლორა". „საქართველოს წითელი წიგნის" ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და მნიშვნელოვანი ავტორიც სნორედ ის გახლავთ. მან არა მარტო საკუთარი ნაშრომები შესძინა ქართულ მეცნიერებას, არამედ ბევრი წიგნის, გამოცემის, სტატიის რედაქტორი გახლდათ. ქ-მა ანამ ბევრ მაძიებელ ახალგაზრდა მკვლევარს გაუკვალა გზა მეცნიერებისაკენ. ამ მხრივ იგი განსაკუთრებით 1952-1977 წლებში აქტიურობდა, როდესაც ბოტანიკის ინსტიტუტის მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიული განყოფილების გამგე გახლდათ.

აი სულ ეს არის, რისი თქმაც მინდოდა ამ ორი შესანიშნავი მკვლევრისა და დიდბუნებოვანი პიროვნების შესახებ. აქ მხოლოდ ის გადმოვეცი, რაც უფრო მეტად ჩამებეჭდა მეხსიერებაში. მათი მეცნიერული ღვაწლის სრულად შეფასება და გააზრება მე არ შემიძლია. ამ საქმეს ბოტანიკოსი მკვლევრები განახორციელებენ.

ANDRIA APAQIZE

„gadaivlian ɣrublebi,
daxyrian oqros qeiSasa;
wava leqsi da wailebs
axalgazrdobis niSanisa“.

giorgi leonidze

batoni andria apaqidze mTeli TavisiI cxovrebis manZilze eris kulturuli warsulis SesWavla-gamokvlevis saPatio saqmes emsaxurebodaI. is maRalkvalificiuri, eruDirebuli, farTo TvalsaWieris istorikos-arqeologi gaxldaT. TavisiI SromebiT man saqarTvelos istoriis araeriTi saDavo saqiTxi gaaSuqa da axleburad axsna. igi malE CamoyalibDa saqarTvelos istoriis mkvlevarTa saukeTesoI tradiciebze aRzrdil specialisad. dRes misi saxeli moixsenieba iseTi saxelganTqmuli mecnierebis gverdiT, rogorebic arian iv. javaxiSvili, s. janaSia, g. CiTaia, g. melikiSvili da sxv.

arqeologiuri muSaobaI a. apaqidzem jer kidev studentobis wlebSi daiwyo. 1935 wels profesori g. niorazis rekomendaciiT igi ganaTlebis saxalxo komisariatTan arsebul arqeologiis samecniero-kvleviT institutSi umcros mecnier TanamSromlad CairicxaI. aqedan moyolebuli 60 wlis ganmavlobaSi a. apaqidze warmatebiT ganagrZobda arqeologiur kvleva-ZiebasI.

მან თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართული არქეოლოგიის განვითარებაში. იგი პირველი გახლდათ, ვინც არქეოლოგიის განხრით დაიცვა მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო დისერტაცია. 1936 წლიდან იგი არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ბაკურციხეში, ბაგინეთში, არმაზისხევში, ნინამურში და სხვაგან. ა. აფაქიძის მოღვაწეობის აღწერისას მრავალჯერ მოგვიწევს მომარჯვება სიტყვისა „პირველი". როგორც აღვნიშნეთ, არქეოლოგიის განხრით მან პირველმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია; ასევე იგი ამავე დარგის პირველი დოქტორია (1959). ს. ჯანაშიას სახელობის პრემიის პირველი ლაურეატიც ის ბრძანდება. მანვე მოახდინა კლასიკური ნყაროების „ჰარმოზიკეს" და „სევსამორას" ლოკალიზაცია; პირველად მისი თანაავტორობით გამოვიდა არმაზისხევის არქეოლოგიური გათხრების სამეცნიერო ანგარიშები (მცხეთა, I), რომელმაც მსოფლიოში სახელგანთქმული არქეოლოგების ყურადღება მიიპყრო; ანდრია აფაქიძემ ჯერ კიდევ 1953 ნელს პირველმა წამოიწყო ნყალქვეშა არქეოლოგიური სამუშაოები შავი ზღვის სანაპიროებზე. ეს გათხრები ანტიკური ხანის ქალაქებს (ბიჭვინთა და სხვ.) უკავშირდებოდა; ამ დროიდან მისი სამეცნიერო ინტერესები საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქებს დაუკავშირდა. ა. აფაქიძე მონაწილეობდა იტალიაში, საფრანგეთსა და სირიაში (1953, 1963, 1969) გამართულ კლასიკური არქეოლოგიის VII, VIII და IX საერთაშორისო კონგრესებში. მისი ინიციატივით დაარსდა სერია „მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის". ჩვენ გახსენება და ჩამოთვლაც კი გაგვიჭირდება ყველა იმ ღირსეული საქმისა, რაც ბატონმა ანდრიამ გააკეთა.

მე მოწმე და დამსწრე ვარ მისი ასევე პირველი საზოგადოებრივი რეზონანსის გამომწვევი მოხსენებისა. ეს გამოსვლა ეხებოდა მცხეთა-ბაგინეთის გათხრების მონაპო-

ვარს. საჯარო განხილვა-მოხსენება სახელმწიფო მუზეუმის სააქტო დარბაზში მოეწყო. პატარა დარბაზში ტევა აღარ იყო. მე და ჩემი თანაკურსელი და მეგობარი ნათელა ჯავახიშვილი ცოტა ადრე მივედით და კარგ ადგილებზე მოვთავსდით. მოხსენება, მასალათა ეკრანიზაცია დიდხანს გაგრძელდა. ლექტორს მთხრობლის განსაკუთრებული ნიჭი აღმოაჩნდა. სხვადასხვა პროფესიის ადამიანები მისმა სიტყვამ ერთი განცდით – პატრიოტიზმის გრძნობით დამუხტა. როდესაც მოხსენება დასრულდა, ხალხმა მომხსენებელს ოვაცია გაუმართა. დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა. აღტაცებული მსმენელი არ ცხრებოდა. ფურორი აშკარა იყო. იქვე, აუდიტორიაში, მსმენელთა შორის ივანე ჯავახიშვილიც გახლდათ. ყველას მისი აზრი აინტერესებდა, მას კი ისე მოსწონებოდა მოსმენილ-ნანახი, რომ სხდომაზევე თქვა: „ეს ყმაწვილი ნამდვილი ოქროპირიაო". ანდრო აფაქიძეს ამის შესახებ 2000 წელს, ჩვენს ინსტიტუტში მისი თანამშრომლად არჩევის დროს ვუთხარი, გაუხარდა, დიდი მადლობა გადამიხადა და მითხრა, რომ ეს არ იცოდა.

ივ. ჯავახიშვილის მიერ ამგვარად შეფასებულმა მოხსენებამ უდიდესი როლი შეასრულა ქართული მეცნიერების ისტორიაში. მოხსენებას ისეთი რეზონანსი მოჰყვა, რომ მის ირგვლივ სჯა-ბაასი დიდხანს არ შეწყვეტილა, ხოლო ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება იმ ხანებში ყველაზე მნიშვნელოვანი გამოდგა. მცხეთის გათხრებისას აღმოჩენილმა მასალამ, მისმა სწორმა და მწყობრმა გააზრებამ სრულად გამოამზეურა ქართველი ხალხის ნიჭიერება.

ანდრია აფაქიძის მეცნიერული კეთილსინდისიერება, დაუღალავი მუშაობა და სხვა გასაოცარი უნარი ყველას აკვირვებდა. მას შეეძლო ღამითაც არ დაეძინა და დილის ექვს საათზე მცხეთაში გათხრებზე ყოფილიყო.

მინდა გავიხსენო ერთი შემთხვევა. ბატონ ანდრიასთან გიორგი ჩიტაიას დავალებთ გამოვცხადდი. დიდხანს ვე-

ლოდი, მაგრამ ვერ ვნახე. ივნისის მიწურული იდგა, ცხელი ზაფხული იყო. ვიფიქრე, რომ შესაძლოა, დასასვენებლად იყო წასული. მეორე დღეს მაინც დავურეკე. ყურმილი თვითონ აიღო. მოკრძალებით მოვახსენე: – გუშინ ბატონი გიორგის დავალებით მოგაკითხეთ, არ ბრძანდებოდით, შვებულებაში მეგონეთ-მეთქი. მან მეც და ბატონი გიორგიც გულითადად მოგვიკითხა, მერე დასძინა: „არ ვიცი, რა არის შვებულება, რადგან ერთი დღეც ვერ ვძლებ ველისა და ინსტიტუტის გარეშე. ან იქ ვარ, ან – აქ. დღესაც მივაშურე მცხეთას. მიხარია, როდესაც რაღაცა კეთდება. ცოცხალი თავით არ მინდა, რომ გარდაცვლილი ქართული არქეოლოგიის ჭირისუფალი ვიყო, ჯერ კიდევ მაქვს რაღაცის იმედი“. ვუსმენდი და ვფიქრობდი, რა კარგია, საკუთარ საქმეზე ასე შეყვარებული ადამიანები რომ არსებობენ. თავს ბედნიერად ვთვლი, რომ ანდრია აფაქიძის თანამედროვე ვარ, რომ იმ დროს მომიწია ცხოვრება, როდესაც მისი შემოქმედება ზენიტში იყო. სიმბოლურია, მისი სამუდამო სამკვიდრებელიც რომ მცხეთაშია. მისი მაშინდელი ნათქვამი მოგვიანებით ხშირად გამხსენებია. მან მართლაც არ იცოდა, რა იყო შვებულება. უინსტიტუტოდ ვერა და ვერ ძლებდა; ან ინსტიტუტში იყო, ან – გათხრებზე. დიახ, მეორე ინსტიტუტი იქ, ველზე, ჰქონდა მოწყობილი. იქ აღმოჩენილს აქ, ინსტიტუტში, აანალიზებდა და მასალების კლასიფიკაციას ახდენდა. განმაცვიფრებელი იყო მისი ასეთი შრომისმოყვარეობა და შრომისუნარიანობა. ანდრია აფაქიძე და მისი თანამოაზრენი ალ. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, გ. გობეჯიშვილი მზად იყვნენ, დღე და ღამე გაეწორებინათ, რათა არქეოლოგიური მეცნიერების მრავალფეროვანი სურათი აღედგინათ.

მაგონდება მეორე შემთხვევაც: 1946 წელია. ჩვენს სამუშაო ოთახში, ძერჟინსკის ქუჩაზე (ამჟამად პ. ინგოროყვას ქუჩა), ირაკლი ციციშვილი შემოვიდა და გვითხრა: ხვალ

ბაგინეთის გათხრებზე წამოსვლას თუ შეძლებთ, კარგი იქნება, დაგვეხმარებითო. თინა ოჩიაურს, თალიკო თოფურიას და მე ძლიერ გაგვიხარდა. მეორე დღეს ჩვენთან ერთად სხვებიც შეიყარნენ და ირაკლის მანქანაში მოვთავსდით. მან აგვიხსნა, რა უნდა გვეკეთებინა: ნათხარი მიწის დარჯაკში გაცხრილვა გვევალებოდა. ბატონი ანდრია ღიმილით მოგვიახლოვდა და გვითხრა: დიდად გამახარეთ, ჩვენი დახმარება რომ გადაგინყვეტიათო. ვცრიდით ნაშალ ნიადაგს, საცერ-დარჯაკში ოქროს ბუზმენტები რჩებოდა, მათ ერთ ჭურჭელში ვათავსებდით. რაღაც არაჩვეულებრივი გრძნობა გვეუფლებოდა. გვეამაყებოდა, რომ მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენებში ჩვენც ჩვენი წილი დავიდეთ. ბატონი ანდრია და ბატონი ირაკლი ჩვეული გულისხმიერებით დაგვტრიალებდნენ თავს და ჩვენთვის მადლობის სიტყვებს არ იშურებდნენ. ეს ჩვენი პირველი გასვლა იყო არქეოლოგიურ ველზე. მოსაღამოებულზე იქვე იმდროინდელი პირობების შესაფერისი პატარა ნადიმიც მოვაწყვეთ, სურათებიც გადავიღეთ. ახლა კარგად ვხვდები: ეს უხარისხო სურათები, ეთნოლოგ-ისტორიკოსთა და არქეოლოგთა ხარისხიანი ურთიერთობის დასტურია... ჩვენი „მსვლელობა" ბაგინეთის გათხრების მასალების „გადასარჩენად" რამდენიმე დღე გაგრძელდა.

2004 წელს, სექტემბრის 3 რიცხვში, ბატონ ანდრიას 90 წელი უსრულდებოდა. მაშინ მის აღმოჩენებზე, დიდი რეზონანსის მქონე მიღწევებზე დავწერე მცირე მოგონება, რომელიც არ გამომიქვეყნებია. სამწუხაროდ, იუბილეს ვერ დავესწარი, მაშინდელი ნაწერი კი დღემდე შემომრჩა. ვწერდი, რომ ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი წარმატების, ქართული არქეოლოგიისათვის სასიხარულო დღეების გახსენება შევძელი. ამ დამსახურებულ თარიღს ვულოცავდი იუბილარს, ღმერთს შევთხოვდი, რომ დიდი ხნის სიცოცხლე ჰქონოდა, თავის შესანიშნავ შვილებთან

და შვილიშვილებთან ერთად. ვუსურვებდი, კვლავაც ახალი სიურპრიზებით გაეოცებინა ჩვენი საზოგადოება, გამოევლინა და ცხადი გაეხადა ჩვენი ერის ისტორიულ ქარცეცხლში გამოტარებულ-გამონრთობილი ნიჭიერება. ბოლოს დავძენდი: ანდრია აფაქიძე, როგორც ერის საყვარელი შვილი, საქვეყნოდ აღიარებული და პოპულარული პიროვნება ქვეყნის ინტელექტუალური ცხოვრების ცენტრში დგას, ეროვნულად განწყობილი ინტელიგენციის ლიდერია და მამული, ასეთი შვილების შემყურე, უფრო მტკიცედ მიაბიჯებს მომავლის გზაზე-მეთქი.

მართალიც ვიყავი.

ანდრია აფაქიძე და მისი მსგავსი შემოქმედნი კვებავენ ერის ინტელექტუალურ აზრს, ურომლისოდაც არათუ მყარად სიარული და წინსვლა, ადგილზე დგომაც კი შეუძლებელია.

წლებმა ჩაიქროლა. რთულმა, მაგრამ აღმაფრენის ნიშნით აღბეჭდილმა წლებმა თან წაიღეს ნიშანი ახალგაზრდობისა, მიუხედავად ამისა, დიდ საქმეთა ძეგლები უბერებელია. ასევე უბერებელია ანდრია აფაქიძის – მხცოვანი მეცნიერის – დიდი, ლამაზი და მარად უჭკნობი შემოქმედება.

ჯონდო გვასალია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ჯონდო გვასალიას მეცნიერული და საზოგადოებრივი ინტერესები ფართო და მრავალმხრივია არა მარტო თანამედროვე და ისტორიული გეოგრაფიის შესწავლისათვის, არამედ ჩვენი ქვეყნის გუშინდელი და დღევანდელი საზოგადოებრივი საკითხების ახლებურად, მეტად საინტერესოდ დანახვისა და გაგების მხრივაც. ალბათ, ამიტომ იყო, რომ მასში კარგ ისტორიკოსს, სულით ფაქიზ მეგობარს, მზრუნველ პედაგოგს და სპეტაკ ადამიანს ვხედავდით, რაც განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ბოლო ათწლეულში.

იგი, ბატონი ნიკო ბერძენიშვილის მადლიერი და ნიჭიერი მოწაფე, მუდამ მოწიწებით და სიყვარულით იხსენებდა თავის მასწავლებელს და მისი შეგირდობით ამაყობდა.

ჯონდო გვასალიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ისტორიული გეოგრაფიის შესწავლისა და კვლევის საქმეში და თავისი მნიშვნელოვანი კვალი დატოვა. მისი ნაშრომები საქმის ღრმა ცოდნით და დიდი სიყვარულით არის დაწერილი.

ჯონდოს ნაშრომმა ოსებისა და ოსეთის შესახებ გააცოცხლა ის საკითხები, რომელიც აუცილებელი იყო, როგორც ქართული, ისე ოსური ისტორიის შესავსებად. ჯონდო პრინციპულად და დაუფარავად ამბობდა მხოლოდ იმას, რაც ნამდვილად იცოდა და რაც ნამდვილად სწამდა.

ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის საქმეში ჯონდო გვასალიას დამსახურება მასთან გამოთხოვების დროს კარგად აღნიშნა ბატონმა დავით მუსხელიშვილმა, უკეთესად მის შესახებ ვერავინ ვერაფერს იტყოდა.

ჯონდო გამორჩეული პიროვნება გახლდათ თავისი მოქალაქეობრივი პოზიციით, თავდადებით, სიყვარულისა და სიკეთის დაფასების უნარით. იგი გულუხვად და დაუყვედრებლად უზიარებდა ყველას თავის ცოდნასა და გამოცდილებას. იშვიათად ერეოდა საჯარო პოლემიკაში, არასოდეს დაჰკარგვია სულიერი სიმშვიდე. თავშეკავებული მეცნიერი იყო, მაგრამ პრინციპულ პოზიციებს არასოდეს თმობდა. მისაბაძი იყო ჯონდოს არასტანდარტული აზროვნება, საოცარი ურთიერთობა მეგობრებთან და საერთოდ ადამიანებთან. მან სიკეთის დაფასება, ერთგულება, სიყვარული იცოდა და უწესობას არავის აპატიებდა.

ჯონდოს სტილის ელეგანტურობა პიროვნულ ბუნებაშიც მეღავნდებოდა. შორიდან ხშირად არტისტული, განონასწორებული და მშვიდი ჩანდა, მაგრამ მისთვის უცხო არ იყო არც მღელვარება, არც გულთბილობა, არც იუმორი. მისი ცხოვრების წესი დღეს ბევრისთვის მისაბაძია.

ჯონდოს უსაყვარლესი გასართობი თუ დასასვენებელი ადგილები ოპერის თეატრი და კონსერვატორია იყო. ამიტომაც „ოპერის მეგობრებმა" პრესაშიც აღნიშნეს მისი კლასიკური მუსიკის ცოდნის მასშტაბი... ჯონდო გვასალია ხომ ამით სულდგმულობდა.

მეცნიერებისა და კულტურის სფეროში თავისი დაუღალავი მოღვაწეობით ჯონდო ახალგაზრდობას კარგ მაგალითს აძლევდა. მისი სიცოცხლე მოულოდნელად იმ დროს შეწყდა, როდესაც იგი მზად იყო ახალი გამოკვლევით გაემდიდრებინა ქართული ისტორიული მეცნიერება.

დავკარგეთ უპრეტენზიო ინტელიგენტი, კაცური კაცი, სითბოსა და სიყვარულს უხვად და უშურველად რომ

აფრქვევდა. ღირსეული ადამიანი, რომელსაც ყველას არსებობა და წარმატება უხაროდა, ყოველთვის თბილ სიტყვას შეაწევდა მეგობარს, პოეტს, მეცნიერს. ის გამორჩეული ადამიანი იყო, არავის უნახავს მოწუწუნე, პირიქით, ყველას ამხნევებდა და აიმედებდა ხოლმე. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებშიც კი არავინ შეუწუხებია.

ჯონდოსთან შეხვედრა და საუბარი სულიერად ამდიდრებდა ადამიანებს. მან იცხოვრა ისე, როგორც ნამდვილ სნავლულს შეშვენოდა. საოცარია, ჯონდო გრძნობდა, რომ მისი სიცოცხლე დასასრულს უახლოვდებოდა და ინსტიტუტის წიგნების ბედი აწუხებდა. წიგნები ჩასაბარებელი მაქვსო, მითხრა და მიმითითა, სად ეწყო. დავამშვიდე, ვუთხარი, რომ წიგნებს თავად მივიტანდი ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ეს წერილი მხოლოდ იმიტომ არ დამიწერია, რომ მრავალი წლის ახლობლობა გვაკავშირებდა. კიდევ ერთხელ მინდოდა შევხებოდი იმ დიდ სამყაროს, საიდანაც იღებდა სათავეს მისი სიახლოვე პოეზიასთან და მუსიკასთან. სამყაროს, რომელსაც უშურველად გვიზიარებდა ახლობლებსა და მეგობრებს.

მახსოვს მისი ახალი გატაცება ნინო ანანიაშვილით. ამბობდა, ჭაბუკიანის შემდეგ ასეთი დემონური ცეცხლი ჩვენი ოპერის სცენაზე არავის დაუნთიაო – ნინოს „მიწიერ ჰაეროვანს“ უწოდებდა.

სხვა კარგ თვისებებთან ერთად მას გამძაფრებული ჰქონდა სილამაზის შეგრძნებისა და მისი თავისებურად გადმოცემის უნარი. სხვისი სიხარულის გაზიარება იცოდა, ეს ხომ იშვიათი ნიჭია, რომლითაც იგი უხვად იყო დაჯილდოებული.

ჯონდოს ამ ქვეყნიდან წასვლა მისი მეგობრებისთვის აუნაზღაურებელი დანაკლისია... მისი წასვლის შემდეგ

თითქოს სიცარიელე დარჩა, რომელიც კარგა ხანს იქნება საგრძნობი.

სამწუხაროა, რომ ჯონდო დღეს ჩვენთან არ არის. მისი ცხოვრება მაშინ დასრულდა, როცა ჯერ კიდევ ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეეძლო.

დიდია ჩვენი გულისტკივილი, ჩვენი მწუხარება.

5 ნოემბერი, 2005 წ.

ირაკლი სურგულაძე

მძიმე შემოდგომა დაუდგა ქართულ ეთნოლოგიას, მძლავრი ბურჯი გამოეცალა – ირაკლი სურგულაძე – ისტორიკოს-ეთნოლოგი, მაღალი ნიჭით დაჯილდოებული, ერუდირებული, კომუნიკაბელური, სიცოცხლითა და ხალისით სავსე პიროვნება; გატაცებული ეთნოლოგიით, ლიტერატურით, არქეოლოგიით, ხელოვნებით. განათლებით და ენამზეობით გამორჩეული იზიდავდა გარშემომყოფთ. მრავალმხრივია ამაგი, რომელიც მან დასდო ქართული ხალხური კულტურის კვლევას, მდიდარია მისი მთარგმნელობითი და ლიტერატურული მემკვიდრეობა.

ირაკლის შესახებ იმდენი რამ არის სათქმელი, ჩამოთვლა გამიჭირდება. მე მხოლოდ მისი პიროვნების იმ მხარეებზე მინდა ვისაუბრო, მის მიერ გადადგმულ იმ ნაბიჯებზე, რომელიც სიამოვნებას მგვრიდა.

ირაკლი სურგულაძე არაჩვეულებრივი პიროვნული მაგნეტიზმით იყო დაჯილდოებული. თითქმის ყოველთვის მის ირგვლივ იკვრებოდა წრე, სადაც მის სიტყვას გულდასმით უსმენდნენ. ირაკლის მრავალმხრივი განათლება და ერუდიცია არა მხოლოდ ეთნოგრაფთა წრეში გამოარჩევდა მას, არამედ ყველგან და ყოველთვის. მაგონდება გერონტი ქიქოძის ნათქვამი სიტყვები: „მისი მომხიბვლელობის ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ქართული კულტურის ტრადიციების გრძნობას ის აერთებდა ახალი ეპოქის შეგნებასთან“.

ირაკლიმ კარგად იცოდა, რომ ეთნოგრაფია არის ჩვენი ხალხის წარსულის მართებული აღიარების საშუალება და მისი მეცნიერული სისტემატიზაცია, რის შედეგადაც მომავალ თაობებს სწორი წარმოდგენა შეექმნებათ ხალხის ყოფასა და კულტურაზე, აუცილებელი და დიდი სამუშაოა, რომელიც საგანგებო შრომას მოითხოვს. ირაკლი სურგულაძემ იცოდა, რომ ამ დარგში წარმატების მოსაპოვებლად ნიჭი არ კმარა, რომ აქ საჭიროა მომიჯნავე დარგების ღრმა ცოდნა. ეთნოლოგი ლიტერატურის, ისტორიის და ხელოვნების სხვადასხვა დარგში უნდა იყოს ზედმიწევნით განსწავლული (უნდა იცოდეს ყველაფერი, რასაც აკად. გ. ჩიტაია გვასწავლიდა); მაგრამ არც ეს არის საკმარისი ამ დარგში მომუშავე ადამიანისთვის, აუცილებელია შრომისმოყვარეობა, დაკვირვებული თვალი, ხასიათის სიმტკიცეაი, ამგვარ მოთხოვნებს უყენებს ეთნოლოგია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, პიროვნებას.

ირაკლი მკაცრ პირობებსა და მოთხოვნებს არა მარტო ცალკეული მკვლევრის, არამედ მთელი სამეცნიერო საზოგადოების წინაშე აყენებდა. ამის დასტურია მისი საყურადღებო გამოსვლა ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე, სადაც მან განაცხადა, რომ, მიუხედავად ქართული ეთნოლოგიის საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებისა, აუცილებელია იმ დროისათვის არსებულ ხარვეზთა გამოსწორება, რომ: „...საჭირო იყო დაგვესრულებინა საქართველოს ეთნოგრაფიულ ატლასზე მუშაობა და გამოგვეცა იგი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე (ერთ-ერთი ჩვენი კერძო საუბრისას მითხრა, რომ აუცილებელია აგრეთვე ინგლისურენოვანი ჟურნალის დაარსება, სადაც ჩვენი მიღწევები, ეთნოლოგიური სიახლენი აისახება). გავიხსენოთ გ. ჩიტაიას ნათქვამი: „იგი დაგვეხმარება, უკეთ გავაცნოთ მსოფლიოს ჩვენი მდიდარი წარსული და მისი კულტურული მემკვიდრეობა. დიდ ერებს ჩვენ ვერ გავეჯი-

ბრებით, ვთქვათ, პურეულის უხვი მოსავლის მიღებაში, ქვანახშირის ამოღებაში, ნავთობის მოპოვებაში, მაგრამ ძალგვიძს, წარმატებით გავუწიოთ კონკურენცია მეცნიერებაში, იქ, სადაც რაოდენობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომ საჩქაროდ უნდა წამოვწიოთ და გადავჭრათ ყველა ის პრობლემა, რომელიც ხელს გვიშლის, კერძოდ კი, არა გვაქვს ეთნოლოგიური პუბლიკაციები უცხოურ ენებზე". სამწუხაროდ, არც ერთი ეს მნიშვნელოვანი საქმე დღემდე არ დაგვიწყია. არადა, საშურია ეთნოგრაფიული კოლექციების სისტემაში მოყვანა, ამის გამოცდილება გვაქვს ბრაილოვსკაიას ალბომებიდან – „ასეთი მახსოვს საქართველო".

გამოსვლის ბოლოს ირაკლიმ თქვა: „კარგი იქნებოდა, ჩვენი საუკუნის მაღალი გადასახედიდან ეთნოლოგებს საქართველოს უმდიდრესი წარსული რომელიმე უცხო ენაზე გაეშუქებინათ, მსოფლიოს უნდა გავაცნოთ ქართველი ხალხის კულტურული მონაპოვარი, მისი უნიკალური როლი მსოფლიო პროცესების განვითარებაში. მერედა როგორ, რა საშუალებებით უნდა გაკეთდეს ყოველივე ეს? ჩვენ ზოგჯერ ისიც კი არ ვიცით, სად და რა საკითხზე იმუშავებენ ჩვენი ექსპედიციები, როგორ ცხოვრობენ და მუშაობენ ველზე გასული ეთნოლოგები. იყო დრო, ქვეყანას ძლიერ უჭირდა, მაგრამ ტრადიციული კომპლექსური ექსპედიციები ქართლში, კახეთში, ხევსურეთში, სვანეთში მაინც ენყობოდა. სამუშაოთა ძირითადი ცენტრი გადატანილი იყო იმ ზონაში, რომელსაც შესასწავლად ამოვირჩევდით. ამჟამად თითქოს უკეთესი პირობებია, ინტერნეტშიც ვართ ჩართული, უნდა გვქონდეს და გვაქვს კიდეც ელექტრონული ფოსტა; ვაწყობთ ადგილობრივ და საერთაშორისო სიმპოზიუმებს, სამეცნიერო კონფერენციებს, გვეძლევა გრანტები; თითქოსდა დავიწყეთ კიდეც ეთნოლოგიურ განმარტებით ლექსიკონზე მუშაობა, მაგრამ როდესაც

საქმე საქმეზე მიდგა, შევფერხდით. მაშ, ისე აღარ ვმუშაობთ, როგორც წინათ; მით უფრო, რომ ამ საქმეში ნაცადი და უღლის გამწევი ჩვენი მასწავლებლები აღარ გვყვანან. გარდა ამისა, მსოფლიო ეთნოლოგიურ სიახლეებზეც ბევრი არაფერი ვიცით...“

მისი ეს გამოსვლა იყო კრიტიკული, სამართლიანი და დიდი ცოდნით აღბეჭდილი. ამგვარი „მკვახე შეძახილით“ (აკაკი ბაქრაძის ტერმინია) მკვლევარი აფხიზლებდა „ზემდგომთაც“ და „ქვემდგომთაც“, ერთი სიტყვით, მთელ ისტორიულ-ეთნოლოგიურ საზოგადოებას.

ირაკლი სურგულაძე თავის ნაშრომებში განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა წარმართული რელიგიისადმი, რაც კეთილად დაეტყო არაერთ მის წერილს, რომელიც ყოფის საკითხებს ეხება, და მის პოეტურ, მხატვრულ ფრაზასაც.

შემთხვევითი როდია, რომ ჩვენი დარგის დიდი წარმომადგენლები, ჩვენი მასწავლებლები, დიდ იმედს ამყარებდნენ ირაკლი სურგულაძეზე. ზოგჯერ ხდება, რომ კაცისთვის წინასწარ გაცემული დივიდენდები მასვე უწევენ ცუდ სამსახურს; პიროვნება თამამდება, იმდენს აღარ მუშაობს, რამდენიც საჭიროა, მაგრამ ირაკლის შემთხვევაში ასე არ ყოფილა – ის ყოველთვის შედეგიანი და აქტიური სპეციალისტი გახლდათ. სამწუხარო არის, რომ ადრე დაგვტოვა. მთელი თავისი შემოქმედებით და ხასიათით ის ჰგავდა რომანტიკოს პოეტებს, მათსავით ბოლომდე დაიწვა, მათსავით ადრე დაიღუპა!

ირაკლი ყველას დააკლდა. დიახ, დაგვაკლდა მისი განსწავლულობა, გულწრფელი და გადამდები შემართება, მჭევრი საუბარი. პირადად ჩემთვის კი მისი ამ ქვეყნიდან წასვლა დიდი ტკივილის მომგვრელია.

ამასთან დაკავშირებით მინდა ერთი ამბავი გავიხსენო, მით უფრო, რომ ამ ფაქტში ჩანს მისი ობიექტურობა და პატიოსნება.

იყო შემთხვევა, როცა, სხვადასხვა მიზეზთა გამო, პატიოსანმა და სამართლიანმა ადამიანებმა პირში წყალი ჩაიგუბეს და იოლად შეეგუენ ჩემს შეურაცხყოფას. მაშინ ერთადერთი კაცი, ირაკლი სურგულაძე, გამომესარჩლა, ხმამაღლა და პირდაპირ იცავდა ჩემს სიმართლეს. დიახ, მხოლოდ მან შეძლო ის, რაც მავანთ და მავანთ გაუჭირდათ.

მახსენდება მეორე შემთხვევაც.

ერთ-ერთ სამეცნიერო სესიაზე ჩვენმა თანამშრომელმა მოხსენება წაიკითხა. თემა საგაზაფხულო დღესასწაული გახლდათ. ნაშრომი ჩემი მასალით და მასთან დაკავშირებული დასკვნებით იწყებოდა, ჩემი აზრებით გრძელდებოდა და ჩემივე მასალით თავდებოდა. ერთი სიტყვით, ეს გახლდათ ცინიკური პლაგიატის კლასიკური ნიმუში. ირაკლი სურგულაძე სხდომაზე დაგვიანებით მოვიდა. თუმცა მოხსენება ვერ მოისმინა, მაგრამ ჩემს გამოსვლას გულისყურით მოეკიდა. მე ყველა ჩემი შენიშვნა არ გამომითქვამს, აუიოტაჟს მოვერიდე. თანაც, შენიშვნები კატეგორიული ტონით არ მიმიცია. ჩემი გამოსვლის შემდეგ ტრიბუნა ირაკლი სურგულაძემ დაიკავა. ის არტისტული ბუნებისა გახლდათ, მაგრამ იმ დღეს ეს თვისება განსაკუთრებულად წარმოაჩინა. მან მხარი დამიჭირა, მკვახე გამოთქმებით ამხილა მომხსენებელი და, რაც მთავარია, აუდიტორია სრულიად სხვაგვარად განაწყო.

გასაგებია, რომ პირში მთქმელ კაცს, ცხენი მუდამ შეკაზმული უნდა ჰყავდეს, ამიტომაც იყო, რომ ირაკლის მერანმა მოსვენება არ იცოდა. ვინ იცის, რამდენ უსიამოვნებას გადაჰყრია ამის გამო. მან მუდამ იცოდა პირუთვნელი ადამიანის ვალი ერის წინაშე და ისე მოქმედებდა, როგორც ქვეყნისთვის საჭიროდ და სასარგებლოდ ჩათვლიდა.

ირაკლის ბევრი არა მარტო კარგი, არამედ კარგზე უკეთესი თვისება ახასიათებდა. ამიტომ ის თბილისის ბომონ-

დის თავკაცი გახდა. ადამიანებთან, ხალხთან მას ბევრი ხილული თუ უხილავი ძაფი აკავშირებდა. ის ყოველთვის გამოირჩეოდა უშუალობით და ბუნებრიობით, მაშინაც, როდესაც ვინმეს შენიშვნას აძლევდა, მაშინაც, როცა მავანის პლაგიატობას ფარდას ხდიდა და მაშინაც, როცა ცხარე კამათში ენერგიულად ჩაერთვებოდა. ეს ბუნებრიობა მას ბოლომდე შერჩა. მრავალმხრივი ცოდნით აღჭურვილს, დინჯად არც მოსმენა შეეძლო, არც მსჯელობა, ერთი სიტყვით, ფეიერვერკული ბუნების კაცი გახლდათ. იგი ძირითადად სამ მთავარ თემას უკმევდა გუნდრუკს: ეთნოლოგიას, პოეზიას და პოლიტიკას. მაგრამ, მიუხედავად სიფიცხისა, თვით ცხარე კამათის დროსაც არ ივიწყებდა, რომ მის წინაშე დგას მისივე თანამოძმე, კოლეგა, ზოგჯერ კამათში მაგარ-მაგარ გამოთქმებსაც ჩაურევდა, მაგრამ ისე ეპაექრებოდა მოწინააღმდეგეს, რომ ის შეურაცხყოფილი არასოდეს რჩებოდა. დიახ, მას ყველაფერი უხდებოდა, მოფერებაც, გაფიცხებაც, დუმილიც.

იყო და აღარ არის.

მაგრამ ჩემს მაგიდაზე დარჩა მისი კრებული, სადაც განხილულია ქართული, კავკასიური და ევრაზიული ცივილიზაციები, წამოყენებულია ეთნოგრაფიულ-ისტორიული საკითხები და ბევრი სხვა თემაც არის მიმოხილული. წიგნში სასიამოვნო და საყურადღებო მსჯელობაა მითოლოგიაზე, რელიგიურ პრობლემებზე. აქვეა მოცემული მოსაზრებები მიცვალებულთა შესახებ ძველი რწმენა-წარმოდგენების თაობაზე. განსაკუთრებით საინტერესოა ერთ-ერთი ქვეთავი – „რიტუალები და მათი სოციალური ბუნება", სადაც წარმოდგენილი არის ორი სამყარო: რეალური და წარმოსახვითი. პირველი მოიცავს ყოფით-სამეურნეო სივრცეს, რაც უზრუნველყოფდა საზოგადოების ფიზიკურ-მატერიალურ არსებობას, ხოლო მეორე გახლავთ საკრალური სივრცე, რომელიც რიტუალურ საქმიანობას მოიცავს. წიგნში გან-

საცვიფრებლად მკაფიოდ ჩანს ის გრძელი გზა, რომელიც ქართულმა კულტურამ განვლო, ვიდრე ქრისტიანული ზნეობრიობითა და წარმოდგენებით შეიმოსებოდა, ერთმანეთისაგან რიტუალით გამიჯნული ურთიერთშეუღწევადი ყოფითი და საკრალური სივრცეები საერთო ზნეობრივ სივრცეში გაერთიანდებოდა და გამთლიანდებოდა.

ავტორმა წიგნში გამოავლინა და დაასაბუთა კულტურის სხვადასხვა დონის შესატყვისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მნიშვნელობები, ნათელი გახადა ჩვენი განცდილი გრძნობები, რასაც სამეცნიერო დისკურსის მომარჯვებით ვერ ვასაბუთებდით: ყოფაში დაცული მოვლენა ხომ ხშირ შემთხვევაში გაცილებით უფრო შორეული დროიდან მომდინარეობს, ვიდრე ამას ზოგიერთი მიიჩნევს.

ამ მოგონების წერისას მახსენებდოდა მიხეილ ქვლივიძის ერთი ლექსი, რომელიც თითქოს ირაკლი სურგულაძეზეა დაწერილი და ჩემთვის ხმადაბლა ვამბობ და ვწერ:

„რამდენი ჩვენგან წასული კაცის
ვერ გადავიხდით ვერასდროს ამაგს,
მაგრამ ის ერთი სხვა იყო მაინც,
კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს,
და თითქოს ვითვლი ისევ და ისევ
გულში დაგროვილ სიკეთის მარაგს
და ღმერთს ვთხოვ,
ღმერთო, გვაცოცხლე ისე,
რომ ჩვენც ოდესმე დავაკლდეთ ქალაქს!"

იგი მართლაც დიდად დააკლდა ქალაქს, მეგობრებს, ჩვენს საინტერესო დარგს – ეთნოგრაფიას და ეთნოლოგებს.

ფიქრია მაკალათია

დიდი ხანია მინდა მოგონება დავწერო, ჩემი საყვარელი მეგობრის, ფიქრია მაკალათიას შესახებ. ვერა და ვერ შევძელი. ძალიან მიჭირს მასთან განშორება და ჩვენი ურთიერთობის გახსენებაც აუნაზღაურებელი დანაკლისის განცდას მგვრის.

ვიცი, რომ ყველანი „სიკვდილის შვილები" ვართ; ვიცი, ადამიანის დაბადებასთან ერთად ჩნდება სიცოცხლეც და სიკვდილიც, მაგრამ ხშირად ეს საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტება გვავიწყდება. ამიტომ სიკვდილს, რა დროსაც არ უნდა მოგვადგეს კარს, საშინელი განცდა ახლავს...

მოულოდნელად, გულის შეტევით გამოგვეცალა ფიქრია. მისი გარდაცვალების ამბავი მე და თინა ოჩიაურმა, მისმა დეიდაშვილმა, ქუთაისში, სამეცნიერო სესიაზე შევიტყვეთ... არადა, რა ენერგიული, სიცოცხლით სავსე, ხალისიანი, მშრომელი და თავდადებული ადამიანი იყო. ისე მიყვარდა, თითქოს მთელი ცხოვრება მასთან გამეტარებინოს.

ფიქრია სტუდენტობიდანვე გამორჩეული იყო... მწერლური ნიჭი, დახვეწილი გემოვნება, უტყუარი კრიტიკული ხედვა ჰქონდა... ესეისტური ხასიათის მოგონებებს წერდა... მისი დაკვირვებანი და შენიშვნები ახალგაზრდებს ნინსვლაში ეხმარებოდა, ხელს უწყობდა მათ ზრდას...

ბოლო ხანებში ფიქრია თავს კარგად ვერ გრძნობდა... რომ ვნახე, შეცვლილი, ფერმკრთალი მეჩვენა... სევდიანი გამოხედვა ჰქონდა...

ყველანი ვგრძნობთ, თუ რა დიდი დანაკლისია ჩვენი მეცნიერებისათვის, ჩვენი კულტურისათვის მისი გარ-

დაცვალება... ჩვენს წრეს გამოაკლდა ნიჭიერი, ქართული ენისა და ლიტერატურის მცოდნე, განათლებული, საქმის ერთგული, ენერგიით აღსავსე, ოჯახის და მეგობრების მოყვარული და სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი. მახსოვს, როგორ განიცდიდა ნაცნობ-მეგობრების დაღუპვას ჩვენი ფიქრია. ჩემი მეუღლის, ავთანდილის, გარდაცვალების დროს ერთგულად მედგა მხარში. სიყვარულით და სითბოთი სავსე წერილი დანერა, რომელიც ავთანდილის ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებულში გამოქვეყნდა.

ვინ იცის, იქნებ, უკვე მაშინ გრძნობდა საკუთარი აღსასრულის მოახლოებას... მუდამ ცდილობდა შეემსუბუქებინა ჩემთვის მძიმე წუთები, ხშირად მოდიოდა და მანუგეშებდა. მისი „წასვლა" უმძიმესი დანაკარგია ჩემთვის. ახლობლებს დიდი შინაგანი კულტურისა და ღირსების მქონე ადამიანი გამოგვაკლდა. თავს მხოლოდ იმით ვინუგეშებ, რომ განგებამ ასეთი თვისებებით დაჯილდოებულ პიროვნებასთან მეგობრობა მარგუნა. მინდა მივუსამძიმრო მის შვილებს, რომლებმაც დედ-მამის ღირსეულ შვილებად წარმოაჩინეს თავი.

ფიქრიას ადამიანის მთავარ ღირსებად კეთილშობილება მიაჩნდა. ის ვერ იტანდა სიყალბეს და არასოდეს უცდია დაეფარა ანტიპათია დაბალი ზნეობის მქონე ადამიანთა მიმართ. იყო მიუკერძოებელი და ობიექტური, მეგობრების ერთგული, მათთან ურთიერთობის ბედნიერ წუთებს სათუთად უფრთხილდებოდა. ბოლო ხანებში ველარ იცლიდა, ჩქარობდა... მას განუხორციელებელი დარჩა ბევრი ჩანაფიქრი. ხშირად გათენებას დაღლილ-დაქანცული ეგებებოდა... შრომობდა იმდენს, რამდენსაც ვაჟკაციც ვერ აიტანდა...

ფიქრია უაღრესად ინდივიდუალური, საზოგადოებრივად აქტიური პიროვნება იყო. XX ს-ის მიწურულს, საქართ-

ველოში ზნეობის დეფიციტის ჟამს, ჩვენმა მეცნიერებამ, მწერლობამ, ყველა განათლებულმა ადამიანმა დიდად განიცადა მართალი სიტყვისა და უტეხი სულის დანაკლისი.... სწორედ ასეთ დროს გრძნობ, რაოდენ მნიშვნელოვანია მთელი საზოგადოებისთვის ფიქრიას მსგავსი ადამიანების მოღვაწეობა... ის არ იყო ცნობილი ტრიბუნი, არ ნარმოთქვამდა პათეტიკით აღსავსე სიტყვებს სხვათა გულის მოსაგებად, მით უმეტეს, არაფრით ჰგავდა იმ „ოპონენტებს", საკუთარი საქმიანობისთვის დიდ ანაზღაურებას რომ ელიან. ფიქრია განსაკუთრებული მონდომებით ახალგაზრდობის აღზრდას უთმობდა დროს. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ტაციტუსის სიტყვა, ძველი რომის უზნეობის ჟამს ნარმოთქმული, რომელიც ჩვენს დროსაც კარგად ესადაგება: – „დაე იცოდნენ მათ, ვინც აღფრთოვანდება ხოლმე ხელისუფლების მიმართ გამოთქმული თამამი აზრებით, რომ უვარგისი იმპერატორების დროსაც კი ცხოვრობენ ღირსეული ადამიანები და, რომ წესრიგი და კანონზომიერება, თუკი ის შრომისმოყვარეობასა და ენერგიას ერწყმის, არანაკლებ დიდებას იმსახურებს, ვიდრე ის დიდება, რომელიც მრავალმა ქცევის სითამამითა და შთამბეჭდავი, მაგრამ ქვეყნისთვის უსარგებლო სიკვდილით მოიპოვა" (ტაციტუსი, „აგრიკოლას ცხოვრება").

ფიქრია მაკალათია მარადისობას შეერწყა უდიდესი შემოქმედებითი აღმავლობის დროს. საზოგადოებაში დღემდე ცარიელია ის ადგილი, რომელსაც ფიქრიამ ასეთი ღირსებით შესწირა მთელი სიცოცხლე. ჩემთვის ცხადია, რომ ბოღმა, ღვარძლი, მტრობა, შური ძველდება და ბერდება, დროის სვლას არ ემორჩილება მეგობრობა, სიყვარული და სიკეთე...

გემშვიდობები, ჩემო ძვირფასო ფიქრია.

2007 წ. 14 მარტი

P. S. ჩემო ფიქრია, შენ მეგულებოდი პირუთვნელ მეგობრად, ჭირისა და ლხინის გამზიარებლად, დამტირებლად... შენ, რომ იტყვიან, მზესავით გვჭირდებოდი, შენგან ყველანი „დიდთა საქმეთა ქმნას" ველოდით. შენ ღვაწლი დასდე ქართულ სიტყვიერებას, სიდარბაისლეს და ზნეობას. ერთგული ადამიანი მეგობრობას სათუთად უფრთხილდებოდი. ძვირფასო, მწარედ განვიცდით შენს დაკარგვას, შენთან განშორების სიმწვავე დღემდე არ განელებულა.

ჯუმბერ ოდიშელი

არიან ადამიანები, რომელთაც წერა ეხერხებათ... მათთვის, ალბათ, ძალზე ადვილია ახლობელი ადამიანის მოგონება. მე კი ვგრძნობ, რომ წერა მიჭირს (განსაკუთრებით ახლა... ალბათ, ხანდაზმულობის გამო), ახლობლის თუ შორეულის შრომის შეფასებას დიდი ოსტატობა სჭირდება... მიუხედავად ამისა, მაინც მინდა მცირე მოგონება ვუძღვნა ჯუმბერ ოდიშელს, რომლის ხსოვნამ დიდი ხანია დაისადგურა ჩემს გულში.

ჯუმბერთან ახლო ურთიერთობა არასოდეს მაკავშირებდა, მაგრამ ერთმანეთს უდიდეს პატივს ვცემდით. შეიძლება ითქვას, რომ „შორეული ახლობლები" ვიყავით... დახვეწილობა და არისტოკრატულობა გამოსჭვიოდა ჯუმბერ ოდიშელის საუბრისა და ადამიანებთან ურთიერთობის მანერიდან. მისი აღზრდა და განათლება მშობლებმა და პიროვნულმა ღირსებებმა განაპირობა... მოგვიანებით კი მან საკუთარი შრომისმოყვარეობით გაიკაფა გზა. ეს ნიჭიერი, ერუდირებული და სათუთი ბუნების კაცი უდიდეს სიყვარულს იტევდა და ამას ყველანი გრძნობდნენ, მისი მეგობრები, თანამშრომლები თუ ნაცნობები... ჯუმბერს ურთიერთობის საოცარი უნარი გააჩნდა. თავის ახლობლებს არასოდეს ივიწყებდა, არც ჭირში, არც ლხინში; ალბათ, ამიტომ იყო, რომ ისინიც მუდამ მის გვერდით იდგნენ...

ჯუმბერი შესანიშნავი თამადა იყო. ის დიდებულად უძღვებოდა სუფრას. ყოველი მისი სადღეგრძელო დიდი ცოდნით, სიყვარულით, გულწრფელი მოკრძალებით იყო

გამსჭვალული იმის მიმართ, ვისაც ეხებოდა, და მუდამ სუფრის წევრთა დიდ ინტერესს ინვევდა.

ჯუმბერი არ იყო ვიწრო სპეციალობით შეზღუდული პროფესიონალი. მას ფართო განათლება ჰქონდა მიღებული და მრავალ საკითხში ღრმად ერკვეოდა, ამიტომ მასთან კამათი საკმაოდ ძნელი, ამასთან ერთად, ძალიან სასიამოვნოც იყო. თუმცა მასთან პაექრობას ერიდებოდნენ... ჯუმბერი არასოდეს მალავდა თავის შეხედულებებს, სიყალბეს ვერ იტანდა, პირდაპირ გამოთქვამდა აზრს, რაც ნამდვილად სწორი და გასათვალისწინებელი იყო...

ჯუმბერის სახეს, განსაკუთრებით მშვენიერ თვალებსა და ღიმილს, მიმზიდველობა სიცოცხლის ბოლომდე არ დაუკარგავს...

ხსოვნა იყოს ამ კეთილშობილი და თავმდაბალი ადამიანისა. სიკეთე, რომელსაც იგი უხვად და უშურველად გასცემდა, დაუვიწყარია... დღეს მის ოჯახს ერთგულად უძღვება მისი მეუღლე... ოჯახი, ნიჭიერი შვილები და შთამომავლები წარმატებულ ცხოვრებას ეწევიან.

მშვიდობით, ძვირფასო ჯუმბერ, ალალია შენთვის მშობლიური მიწა.

ანა წერეთელი-ტაბლიაშვილი

მახსოვს, გაზეთ „ქნარში“ დაიბეჭდა ქალბატონი ანა წერეთლის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი წერილი, რომლის ერთი შთამბეჭდავი წინადადება ჩამრჩა მეხსიერებაში: „გმადლობთ, ჩვენო ნიუცინუს, რომ ასეთი კარგი ხართ“. ამ იუბილეს შემდეგ დიდი დრო გავიდა. ძალიან ძნელია სპეციალისტების მიერ გაზეთში გამოქვეყნებული წერილის მერე რაიმე ახლის თქმა... მე ეს მიზანი არ მამოძრავებს. ვწერ, როგორც რიგითი მაყურებელი და მისი ტალანტის ერთგული გულშემატკივარი...

ქალბატონ ანას ცეკვის სიყვარული დედისგან მემკვიდრეობით დაჰყვა. მისი პირველი სპექტაკლი 1940 წელს შედგა, როდესაც მან ქორეოგრაფიული სასწავლებელი დაამთავრა და თბილისის ოპერის თეატრის დასში ჩაირიცხა.

„გედების ტბა“, „აიდა“, „დაისი“, „გორდა“, „ბახჩისარაის შადრევანი“, „დონ-კიხოტი“ – ის ყოველთვის სიყვარულით იხსენებს ამ დადგმებში განსახიერებულ როლებს, მაგრამ გამორჩეულად უყვარს „ჟიზელში“ ვილისების მბრძანებლის, მირტას, სახე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია „მძინარე მზეთუნახავში“ ქალბატონ ანას მიერ განსახიერებული კარაბოსი. ამ როლს, ჩვეულებრივ, მამაკაცები ასრულებდნენ, ვახტანგ ჭაბუკიანმა კი ეს პარტია ანა წერეთელს მიანდო და ძალიან კმაყოფილი იყო მისეული შესრულებით. სწორედ ამ

როლით დაიწყო ქალბატონი ანას წინსვლა... საზოგადოება მოიხიბლა მის მიერ შესრულებული კარაბოსით...

ყოველ ახალ როლს ანა წერეთელი უდიდესი სიყვარულით ამზადებდა. დაუღალავად მუშაობდა თითოეულ მოძრაობაზე, რადგან მისი ღრმა რწმენით, „თუ თავდავიწყებით არ გიყვარს შენი საქმე, ვერაფერს მიაღწევ“... მან ბალეტის რთულ და ფეერიულ სამყაროში გრძელი და საინტერესო გზა განვლო...

თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული, ღვაწლმოსილი ქალბატონი საცეკვაო კანონთა წვდომის და მათი სრულყოფის მუდმივ ძიებაშია... იგი დღესაც წარმატებით გადასცემს ახალგაზრდებს ცოდნასა და გამოცდილებას. ის ვერასოდეს გახდება ბალეტის მხოლოდ მაყურებელი, სცენაზე მოცეკვავე მსახიობები უდიდესი ყურადღებით ისმენენ მის მოსაზრებებს ამა თუ იმ როლის შესრულებასთან დაკავშირებით

ეს კეთილშობილი ქალბატონი წლების მანძილზე ერთგულად ეწეოდა ცხოვრების ჭაპანს თავის მეუღლე ვახტანგ ტაბლიაშვილთან ერთად, რომელიც ქართული კულტურის დიდი მოღვაწე გახლდათ.

მეამაყება, რომ ვიყავი და ვარ მათი ოჯახის მეგობარი.

დღეგრძელი იყოს თქვენი სიცოცხლე.

2007 წ. 5 ივნისი

P. S. სამწუხაროდ, ქალბატონმა ანამ ვერ წაიკითხა მისდამი მიძღვნილი ეს მცირე წერილი... მან სულ რამდენიმე დღე იავადმყოფა და ყველასათვის მოულოდნელად გარდაიცვალა.

ეკა პრივალოვას ხსოვნას

ეკა პრივალოვას დიდი და საინტერესო ტრადიციული ქართული ოჯახის სამი თაობა ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა თბილისში: ეკას ბებია – პიანისტი თამარ ერისთავი, რომელიც კონსერვატორიაში მოღვაწეობდა და მისი მეუღლე – ცნობილი ინჟინერი ბრაილოვსკი, რომელმაც საქართველოში ბევრ კარგზე კარგ საქმეს ჩაუყარა საფუძველი, მათი ორი ქალიშვილი – ნინო და ეკატერინე და შვილიშვილები, ნინოს ქალ-ვაჟი – ეკა და პეტრე პრივალოვები და ეკატერინეს ვაჟები – ნიკა და გოგა ბრაილოვსკები. თითოეული მათგანი დაჯილდოებული იყო გარესამყაროს ინდივიდუალური, გამორჩეული ხედვით...

ნინო ბრაილოვსკაიამ, მისმა შვილებმა – ეკამ და პეტრემ, ისევე როგორც ეკატერინემ და მისმა შვილებმა – ნიკამ და გოგამ, შესამჩნევი კვალი დატოვეს მსოფლიო კულტურაში. მათმა თავდადებულმა შრომამ შემოგვინახა არცთუ ისე შორეული, მაგრამ დღეს უკვე გამქრალი ჩვენი წარსული ყოფა-ცხოვრების ამსახველი მხატვრული სახეები. ამ დიდი ოჯახის წევრებს, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, თბილისში, მოსკოვსა თუ ამერიკაში, ყოველთვის უყვარდათ და უყვართ საქართველო. მათთვის ძვირფასია ის საქმე, რასაც ემსახურებოდნენ და ემსახურებიან. ამ დიდი ოჯახის წინსვლა და მიღწევები ცალკე საუბრის თემაა. ამჯერად მხოლოდ ეკა პრივალოვას ღვაწლს შევეხები...

მან, ისევე როგორც მისი ოჯახის სხვა წევრებმა, ქართულ კულტურას დიდი ამაგი დასდო. 1937 წლის ცნობილი ტრაგიკული მოვლენების მიუხედავად, დედამ

და ბებიამ ისე აღზარდეს ბავშვები, რომ შრომა მათთვის ბედნიერების უშრეტ წყაროდ იქცა. ეკამ საშუალო სკოლა ოქროს მედლით დაამთავრა. ასევე წარმატებით ისწავლა თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტზე. პარალელურად სწავლობდა მუსიკას. იგი მუსიკალურ სასწავლებელშიც მუშაობდა პედაგოგად. მოგვიანებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურა დაამთავრა. აქვე გააგრძელა საქმიანობა ჯერ უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, შემდეგ კი წამყვან მეცნიერ თანამშრომლად. მუშაობდა საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოში ძეგლთა კვლევის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე, სადაც მისი მაღალი პროფესიონალიზმი მალე შეამჩნიეს. მან საფუძველი ჩაუყარა თავისი დიდი მასწავლებლის, გიორგი ჩუბინაშვილის, სახელთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საქმეს – ეკა ჩაება ეროვნული კულტურის ძეგლების გადასარჩენად წამოწყებულ საქმიანობაში. აღსანიშნავია მისი მკაფიოდ ჩამოყალიბებული ეროვნული მრწამსი. იგი დარწმუნებული იყო ეროვნულ ფასეულობათა საკაცობრიო მნიშვნელობაში. მან ჩვენი კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლების გადასარჩენად ფინანსების მოზიდვის მიზნით მსოფლიო ბანკს მიმართა.

ეკა და მისი ოჯახის სხვა წევრები იყვნენ გაწონასწორებულები, საღად აფასებდნენ მოვლენებს, არ უყვარდათ ზედმეტი პათეტიკა და ამპარტავნობა. ეს თვისებები ძალზე თვალშისაცემი იყო და განარჩევდა მათ სხვათაგან.

მიუხედავად ჩემი დიდი სიყვარულისა ეკას მიმართ, ბევრი რამ დამრჩა უთქმელი...

ეკა პრივალოვა იყო საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, რომლის გარდაცვალება აუნაზღაურებელი დანაკლისია ქართული საზოგადოებისთვის.

არკადი კიპნისი

არკადი ისაკის ძე კიპნისი და მისი მეუღლე – ასია აბრამის ასული – ჩვენი კეთილი მეზობლები იყვნენ. ერთად ვცხოვრობდით არაყიშვილის ქუჩაზე, მე-13 ნომერში, ერთსა და იმავე სადარბაზოში, ერთსა და იმავე სართულზე, ჩვენი ბინების კარები ერთიმეორეს უყურებდა (ცოტა ხნის შემდეგ ისინი საცხოვრებლად მეორე სართულზე გადავიდნენ). გაცნობიდან სულ მალე დავმეგობრდით, შესანიშნავი ურთიერთობა დავამყარეთ. სხვათა შორის, ებრაელებზე უკეთესი სამეზობლო ხალხი იშვიათად შემხვედრია. განსაკუთრებით უყვარდათ ჩვენი ბიჭუნა – პატარა კახა. ხშირად მიიწვევდნენ ხოლმე შინ, ათასგვარი ნუგბარით უმასპინძლდებოდნენ, ათამამებდნენ და ქართულად ემუსაიფებოდნენ, რუსულს ასწავლიდნენ და, როგორც ამბობდნენ, ბავშვი თურმე მისთვის უცნობ ენას იოლად ითვისებდა.

როდესაც კახა მათ დაუახლოვდა და რამდენადმე დაეჩვია რუსულ მეტყველებას, შეამჩნია, რომ ბატონი არკადი ქართულს ცუდად ფლობდა. ერთხელ უთხრა: – ძია არკადი, თქვენ ნულოსანი ხართ. რატომაო? – იკითხა ბატონმა არკადიმ. – იმიტომ რომ, ამდენი ხანია, საქართველოში ცხოვრობთ და ქართული არ იცით, ვერ ისწავლეთო. მასპინძელს მოეწონა ბავშვის ასეთი პირდაპირობა და შეჰპირდა, ქართულს მალე ვისწავლიო. ეს სიტყვები ბატონ არკადის დიდი გაჭირვებით ქართულად უთქვამს, კახა კი თურმე გაოცებული უყურებდა.

ჩვენს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა დამყარდა. ბატონმა არკადიმ მატერიალური დახმარების განევაც კი შემოგვთავაზა. საქმე ასე იყო: ჩვენ კარგა ხანს მოგვიწია გაურემონტებელ ბინაში ყოფნა. ჩემი ახლო მეგობრები, რომელთაც ჩვენთან მოსვლა და ყოფნა სიამოვნებდათ, წამდაუწუმ მეუბნებოდნენ: შეგიგროვებთ თანხას რემონტისთვისო, მაგრამ ვერაფერი გადაგვეწყვიტა. ერთხელ ბატონი არკადი შემოვიდა და მითხრა: ასე გავაკეთოთ, ბინის სარემონტო თანხას მე მოგცემთ, გაარემონტეთ, ვალი კი მაშინ გადამიხადეთ, როცა ფული გაგიჩნდებათო. რაკი ვალის ასე იოლად გასტუმრების საშუალება მოგვეცა, ასე ვარჩიეთ და ამ კეთილი პიროვნების წყალობით ჩვენი ბინა გამშვენიერდა. ურთიერთობა ჩვენ შორის ძველებურად გრძელდებოდა. მოგვიანებით ვალი პირნათლად გავისტუმრეთ.

მალე არკადის შვილმა, მარკმა, სკოლა დაამთავრა და უნივერსიტეტში რუსული ლიტერატურის ფაკულტეტზე შესვლა გადაწყვიტა. ის ქართულის სასწავლებლად ენათმეცნიერ ევგენი ჯეირანაშვილს მივაბარეთ. მშვენივრად ისწავლა ქართული და დღეს, როდესაც ისრაელიდან ტელეფონით გვესაუბრება, უდიდეს სიამოვნებას მგვრის მისი ქართული მეტყველება. ერთ-ერთი ასეთი საუბრისას ოჯახური საიდუმლოც გამიმხილა – აქ, ისრაელში, ჩვენს ოჯახში, როცა კი საქართველო ძალიან მოგვენატრება ან ისეთი რამის თქმა გვინდა, რომელიც ოჯახის სხვა წევრებმა არ უნდა გაიგონ, ქართულად ვსაუბრობთო. როცა ეს სიტყვები მოვისმინე, თვალები ცრემლით ამევსო...

ბატონი არკადი მოულოდნელად გარდაიცვალა. ის თბილისში, ებრაელთა სასაფლაოზეა დაკრძალული. გარკვეული დროის შემდეგ მისი ოჯახი ისრაელში წასასვლელად მოემზადა და სულ მალე გაემგზავრა კიდეც.

რამდენიმე წლის წინათ ბატონი არკადის საფლავი მოვინახულე. მესაფლავე ვნახე და საფლავი გავაწმენდინე.

შემდეგ საფლავს სურათი გადავუღე და ისრაელში გავგზავნე. ისრაელიდან უდიდესი მადლობით გამომეხმაურნენ. შემდეგ მოულოდნელად შევიტყვე, რომ კიპნისის საფლავის ქვა აღარ არის. გული ჩამწყდა: საფლავი მოვინახულე, იქიდან კი პირდაპირ მერიაში მივედი და მოვითხოვე ქვის აღდგენა. დამპირდნენ. ხელოსნებიც მოვძებნე. მითხრეს, ქვას ისეთი სამაგრი უნდა გაუკეთდეს, რომ ვეღარ მოხსნანო. 2000 წლის 11 ივნისს „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა ნერილი, სადაც ნათქვამია, რომ ქალაქის მერიამ არკადი კიპნისის საფლავის ქვა აღადგინა. ამ საქმეში დიდი დახმარება გამიწია ქალაქის მაშინდელმა მერმა, ბატონმა ვანო ზოდელავამ, რომელიც დიდი გულისხმიერებით მოეკიდა საქმეს; აგრეთვე სათანადო ყურადღება გამოიჩინეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჰერმესის" დირექტორმა ვალერი დონდუამ და მისმა მოადგილემ თენგიზ გუდაძემ.

სადღაც გავიგონე, შემდეგ ამეკვიატა და აღარ მშორდება ეს სიტყვები: „მას არ დაჰკლებია არცა ნგრევა, არცა შენება". დიახ, ჩემს მეგობარ არკადი კიპნისს არ დაჰკლებია არცა შენება და არცა ნგრევა – საკუთარი იყო თუ ჩემი, ორივე სახლის გამშვენიერებაში თავი არ დაუზოგავს, მერე კი, მისი სამუდამო ძვალშესალაგი არაკაცებმა ხელყვეს. ცხოვრება ბევრ უცნაურობას გვთავაზობს, მაგრამ სიყვარული, ურთიერთგაგება და პატივისცემა გრძელდება ადამიანის სიკვდილის შემდეგაც, ანუ მარადის!

არკადი კიპნისის საფლავს უყურადღებოდ არასოდეს ვტოვებ, ყოველ გაზაფხულზე და ებრაული დღესასწაულების დროს ამ საფლავის ერთგული ჭირისუფალი ვარ.

მარკმა, არკადის ვაჟმა, 20 აპრილს, კახას დაბადების დღეს, მისი 50 წელი გაიხსენა და ისრაელიდან დამირეკა, მომილოცა და კახას ბედნიერება და კარგად ყოფნა უსურვა. ჩვენი მეგობრული ურთიერთობა გრძელდება. ის-

რაელში ყოფნისას კიპნისების ოჯახს შევხვდით. ძნელია იმ სიხარულის განცდის გადმოცემა, რაც ჩვენმა შეხვედრამ გამოიწვია. თავს დაგვტრიალებდნენ, გვეფერებოდნენ, გვესიყვარულებოდნენ. მარკის შვილებმა იმდენი რამ იცოდნენ ჩვენი ურთიერთობების შესახებ, რომ გავოცდი. როცა გავიკვირვეთ, გვითხრეს რომ, ბებია სულ გვიყვებოდაო თბილისზე და იქაურ მეგობრებზე. თქვენი ოჯახი კი გამორჩეულად უყვართ ბებოსაც და მამასაც. მაშინ ასია აბრამოვნა ცოცხალი იყო.

ახლა მხოლოდ მარკი და მისი ოჯახია... მარკი არ გვივიწყებს, არ მახსოვს ისეთი შობა ან ახალი წელი, რომ არ დაერეკოს. ჩვენი ურთიერთობის სითბო თაობიდან თაობას გადაეცემა.

აპრილი, 2006

დევი კაჭარავა

დევი სკოლის მოსწავლე იყო, როცა გავიცანი. მისი მამა, შესანიშნავი ისტორიკოსი და მოქალაქე, იური (იურიკო, როგორც მას შინაურები უწოდებდნენ) და მე ერთ ინსტიტუტში ვმუშაობდით. იური, მისი მეუღლე – ქ-ნი მერი (აგრეთვე ისტორიის შესანიშნავი სპეციალისტი) და მე ვმეგობრობდით. მეგობართა საერთო წრე გვქონდა და ხშირად მესმოდა საუბარი დევის ნიჭზე.

დევი, მიუხედავად მისი მრავალმხრივი ნიჭისა, მშობლების გზას გაჰყვა, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და დამთავრებისთანავე უნივერსიტეტში დატოვეს, როგორც იმედის მომცემი სტუდენტი. ძვირფას დევის კარგი მომავალი ჰქონდა. გულწრფელობითა და სიკეთით გამორჩეული პიროვნება, ჩვენი უნივერსიტეტის აქტიური თანამშრომელი, დიდად გონიერი და მრავალმხრივი ისტორიკოსი იყო. მის ნაშრომებსა და საჯარო გამოსვლებში ჩანდა ნიჭი და სიყვარული საქმისადმი – საქართველოს წარსულისა და აწმყოს კვლევისადმი, სამშობლოსადმი.

დევი ისტორიოგრაფიის საკითხებს სწავლობდა, ქართული დიპლომატიის საკითხებს იკვლევდა... ამ საკითხებით დაინტერესებული ვერც ერთი ისტორიკოსი ვერ აუვლის გვერდს მის შრომებს.

ფართო იყო დევის თვალსაწიერი, ის მუშაობდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხებზე, ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკურ მდგომარე-

ობაზე. XVI, XVII, XVIII საუკნეების ქართული დიპლომატიის საკითხებზე...

დევის თანაავტორობით გამოიცა ქართული დიპლომატიის ისტორიის ქრესტომათია, ქართული დიპლომატიური ლექსიკონი, ივ. ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი და სხვა.

დევი ბრწყინვალე ორატორი იყო. ხშირად ძალიან კარგი ისტორიკოსი კარგი ლექტორი ვერ არის. დევის საჯარო გამოსვლები, მისი საუბრები საქართველოს ისტორიის საკითხებზე, თუნდაც საქართველოს ტელევიზიით, დაუვიწყარია. ამ საუბრებს ერთგული მსმენელი ჰყავდა.

არ დამავიწყდება, ერთხელ ჩემ მეგობართან სტუმრობისას (არა ისტორიკოსთან), ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „დღეს დევი კაჭარავა იქნება ტელევიზიით, განმეორებით, ვისაც არ მოგისმენიათ აუცილებლად უყურეთ, ძალიან საინტერესოდ საუბრობს".

დევიმ მშვენიერი ოჯახი შექმნა, მეუღლე ელა, აგრეთვე ისტორიკოსი, მას მუდამ მხარში ედგა და მასთან ერთად ერთგულად ეწეოდა ცხოვრების ჭაპანს. ორი მშვენიერი ქალიშვილიც ისტორიკოსები გახდნენ. უფროსი, ეკა, ძალიან სერიოზულად და საინტერესოდ მუშაობს საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებზე.

მაგონდება ვახუშტისეული დახასიათება ჩვენი ხალხისა: „ზნენი აქვნდათ პირმტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათვის მხნედ ბრძოლა, მაგრად დგომა მისთვის გარნა თუ სძლია ვინმე მძლავრთაგანი, არა დაემორჩილიან".

მე ამ ხასიათს დევის პიროვნებაში, მის სახეში ვხედავ.

ძალიან ვწუხვარ, რომ ჩვენი დევი ასე ადრე წავიდა ჩვენგან, ბედისწერამ უცბად დაუსვა წერტილი მის ლამაზ შემოქმედებით სავსე ცხოვრებას.

ანა გვენცაძე

ჩვენი ძვირფასი მეგობარი, ანა, ნიჭით, განათლებით, თავისი ცოდნის მრავალმხრივობით გამოირჩეოდა. მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის სპეციალობით. პროგრამისტად მუშაობდა სხვადასხვა გამოთვლით ცენტრებში, ბოლოს კი მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში იღვწოდა.

ანა მეტად გულისხმიერი, თავმდაბალი, მშვიდი, თბილი, უდიდესი პასუხისმგებლობითა და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით გამორჩეული ადამიანი იყო, ყველასთვის საიმედო ლხინსა თუ ჭირში, მშობლებისა და ოჯახის სხვა წევრებისთვის კი, განსაკუთრებით თავდადებული, შეიძლება ითქვას, შენირული.

ძალიან უყვარდა ბავშვები, ყველა ახლობლისა და მეგობრის ბავშვებზე დიდი ამაგი ჰქონდა, საკუთარი შვილებივით ეფლებოდა თავს; იშვიათია ადამიანი, რომელსაც ამდენი ახლობლისა და მეგობრის ბავშვებისთვის ჩვილობიდანვე მოევლო დედობრივი მზრუნველობით... შეიძლება ითქვას, რომ ანა ყველა ამ ბავშვის მეორე დედა იყო...

საკუთარ თავს მუდამ უკანა პლანზე აყენებდა და სხვათა დასახმარებლად დროსა და ენერგიას არ იშურებდა. ეს ამაგდარი ადამიანი, ყველასთვის იმედის მიმცემი და გვერდზე მდგომი, თვლიდა, რომ „ყოვლისშემძლე" იყო, როდე-

საც ვინმეს მისი დახმარება და თანაგრძნობა სჭირდებოდა. ის ნაკლებ ყურადღებას უთმობდა პირად სატკივარს, საკუთარ პრობლემებს თავს არავის ახვევდა, არავის აწუხებდა...

ჩვენი ნაცნობობა, სამწუხაროდ, ხანმოკლე გამოდგა. უკანასკნელად, ჩემთან, სოფელ გამდლისწყაროში ჩამოვიდა. დიდი ხალისით, სიყვარულით უვლიდა ყვავილებსა და ნარგავებს. დროსა და ენერგიას არც მეგობრების კარმიდამოს მოვლა-გალამაზებისთვის იშურებდა.

საოცარი კვალი დატოვა ამქვეყნად ჩვენმა გაუხარელმა ანამ. მან კარგად იცოდა ავისა და კარგის გარჩევა, მუდამ კეთილი და მართალი, მოყვასისათვის თავდადებული იყო. ძალიან დასანანია, რომ დიდი შრომა და ნიჭი საკუთარი თავისათვის ყველაზე ნაკლებად გამოიყენა... გულთან ძალიან ახლოს მივიტანეთ მისი სატკივარი და გარდაცვალება...

ანას ჰქონდა არაჩვეულებრივი სმენა და განსაკუთრებულად გამორჩეული ხმა, რითაც პროფესიონალი მუსიკოსებიც არაერთხელ მოხიბლულან, მაგრამ თავმდაბალი, მორცხვი, მიუხედავად არაერთი შეთავაზებისა, თავს უფლებას არ აძლევდა, რომ სცენაზე ემღერა. აკი მოგვნერა ჩვენმა გერმანელმა მეგობარმა ეკეჰარდ მაასმა, მისი გარდაცვალების ამბავი რომ შეიტყო: – „ეგ რომ მღეროდა, თითქოს დედამინა ბუბუნებდაო“...

ამ წერილს უდიდესი მოწიწებით ვნერ. ასეთი კეთილი, გონიერი და ერთგული ადამიანის მარადისობაში გადასვლა დიდ ტკივილს მგვრის. მასთან მეგობრობა ყველას გვესახელებოდა...

ჩემო ძვირფასო, უწყინარო, მომთმენო, მაგრამ ქედუხრელო, მშვენიერო ანა, ძალიან მენატრება შენი საშემსრულებლო რიტუალი – გიტარაზე დაკვრა და სიმღერა... ასე მგონია, შენ არა ხარ ჩვენგან შორს... თვალწინ

მყავხარ და არც არასოდეს დაგივიწყებთ არც მე და არც ის ადამიანები, ვინც გიცნობდა, ვისი სატკივარიც გათავისებული გქონდა...

მენატრება ის წუთები, რომლებიც ერთად გაგვიტარებია, როდესაც შენი საამო ხმით დავმტკბარვართ... შეუძლებელია შენი დავიწყება... ძლიერი მუხტით იყავი დატვირთული და საოცარ სითბოს ტოვებდი, ახალგაზრდა ქალბატონო, ჩვენო ანა, კეთილო, საყვარელო და დიდი გულის მქონე ადამიანო, ნამდვილო მეგობარო!

დავით სეფიაშვილი

დავით სეფიაშვილის, ჩვენი დათიკოს ცხოვრება თანადგომისა და გულითადობის ნიმუში იყო. ქვეყნად არც თუ ისე ბევრია ადამიანი, რომელიც მხოლოდ საკუთარი კი არა, სხვისი სატკივარითა და სიხარულით ცხოვრობს. ჩემს მეხსიერებაში არც ერთ ადამიანს, ალბათ, იმდენი სიკეთე არ დაუთესავს, რამდენიც ჩვენს დავითს და, იქნებ, გადაჭარბებული არც იყოს იმის თქმა, რომ მან სიცოცხლეში არაჩვეულებრივი, გონიერი და კეთილი ვაუკაცი კაცის სახელი დაიმკვიდრა.

დავითი ათეული წლების მანძილზე მოქალაქეობრივი პატიოსნებით, ადამიანური გულისხმიერებით მხარში ედგა ყველას, ვისაც რაიმე სატკივარი აღელვებდა. ადრეული ასაკიდან გამოსცადა ცხოვრების მთელი სიმძიმე, შრომას პატარაობიდანვე შეეჩვია. მიუხედავად დიდი დატვირთვისა, წარმატებით დაამთავრა უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილება და კიდევ უფრო გაიღრმავა ცოდნა. დათიკოს გაუტეხელ ნებისყოფასა და თავიდანვე მტკიცედ ჩამოყალიბებულ შეხედულებებზე მეტყველებს ის, რომ მას ცხოვრებაში უკან არასოდეს დაუხევია, თავისი ნიჭი მრუდე საქმისთვის არ დაუხარჯავს. თავდადებული შრომა მას საზეიმო განწყობას უქმნიდა და აღაფრთოვანებდა. ხშირად მიფიქრია, რომ დავით სეფიაშვილი ჩვენი დროის გმირი იყო, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით... გმირი, რომელიც უჩინრად და დაუღალავად იღვწოდა სხვათა საკეთილდღეოდ...

დავითმა სანაქებო ოჯახი შექმნა. მისი მეუღლე, მშვენიერი და გონიერი ადამიანი, მთელი ცხოვრება ერთგულად ედგა მხარში. მათ შესანიშნავი შვილები აღზარდეს, გერმანისტი ნათელა სეფიაშვილი და არქიტექტორი თენგიზ სეფიაშვილი. მათი ოჯახის სიძე გახდა ბრწყინვალე ქართველი მწერალი გურამ დოჩანაშვილი. ოჯახის წევრთა ურთიერთობა ნარმოუდგენელი სიყვარულით იყო გაჯერებული.

სიცოცხლის ბოლოს დათიკო თავისი ვაჟის ბედ-იღბალზე ნუხდა, მის დაოჯახებას მოუთმენლად ელოდა. მე იმ დროს მათი ოჯახის ხშირი სტუმარი ვიყავი და, თუ მეხსიერება არ მღალატობს, მან თავისი მომავალი რძალი, მშვენიერი ახალგაზრდა ქალი, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე გაიცნო. ეს მისი დიდი სურვილის ასრულება იყო...

აი ახლაც, ჩემი დათიკოს ნაჩუქარ პატარა მაგიდას ვუზივარ და ჩვენი ურთიერთობის დაუვიწყარ დღეებს ვიგონებ... მიჭირს ყველაფრის აღნუსხვა... მოსაგონარი კი ძალიან ბევრია...

დავითი სიცოცხლეს ეტრფოდა. ბედი სწყალობდა ცხოვრებაში და იმედი ჰქონდა, რომ არც მომავალში უმტყუნებდა...

იგი არა მარტო ჩვენთვის, ახლობლებისთვის, არამედ, შეიძლება თამამად ითქვას, უბრალოდ ნაცნობებისთვისაც ყოველთვის გულითადი, ერთგული და დაუზარელი ადამიანი იყო. ყველას, ვისთანაც დავითს ურთიერთობა ჰქონია, გულწრფელად უყვარდა ის და მისი ოჯახი. ასე, სიყვარულით სავსე გულით, უჩუმრად, მშვიდად წავიდა დათიკო ჩვენი ცხოვრებიდან.

მისი მეუღლე ჩემი მეგობარია და ვხედავ, რომ ის, თავის დასთან ერთად, დღესაც ახალგაზრდული შემართებით იღვწის პატარა ოჯახში და დათიკოს სახელს დავიწყება არ უწერია.

თამაზ ელკანიშვილისა და დათო მუსერიძის ხსოვნას

წლები გავიდა, რაც აღარ არიან ჩვენი კეთილი და ერთგული მეგობრები – თამაზ ელკანიშვილი და დათო მუსერიძე. ვიგონებ ამ ძვირფას ადამიანებს, თუმცა, სანახევროდაც ვერ გამოვხატავ ჩვენი ოჯახის სულიერ წუხილს, რომელიც მათი დაკარგვით განვიცადეთ.

თამაზი და დათო გამოირჩეოდნენ გულისხმიერებითა და ჰუმანურობით, რასაც ისინი ახლობელთა და ნაცნობ-მეგობართა მიმართ იჩენდნენ. ისინი, კეთილი და სინდისიერი ადამიანები, რომელთაც ახასიათებდათ მოკრძალება და ფაქიზი სიყვარული, ცხოვრებისადმი სერიოზული დამოკიდებულება, დაჯილდოებულები იყვნენ ადამიანებთან ურთიერთობის ნიჭით, რაც ჩვენი ოჯახისადმი მათი დამოკიდებულებიდანაც იგრძნობოდა. ბევრს წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ როგორ იხარჯებოდნენ, ინვოდნენ სხვათათვის. მათი ქცევა ყველას ამშვიდებდა. ეს ჭეშმარიტად ქედუხრელი და თბილი პიროვნებები არასდროს აყენებდნენ საკუთარ კეთილდღეობას პირველ ადგილზე. მათ გულებში ღვიოდა ისეთი სითბო, სიცოცხლის და სიყვარულის იმედი, რომელიც ხშირად სიზმრებთან გვაახლოვებს.

თამაზ ელკანიშვილისა და დათო მუსერიძის ყოფა არ იყო ია-ვარდით მოფენილი, მაგრამ ამის მიუხედავად, უამრავ კეთილ საქმეს აკეთებდნენ. ჩემი გულისტკივილი, ალბათ, დიდხანს არ განელდება. ეს მხოლოდ სიტყვები არ არის, ვერ დავივინყებ მათ, მოულოდნელად ნასულთ ამ

ქვეყნიდან. ვწუხვარ, რომ მათ არასოდეს გამოუთქვამთ საკუთარი სატკივარი. ჩვენ თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს, (ვერც წარმოვიდგენდი, თუ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით რამე პრობლემები ჰქონდათ...) დაუვიწყარია ერთად გატარებული დღეები. რატომ გვიყვარდით? იმიტომ, რომ არაჩვეულებრივი ადამიანები იყავით: ერთგულნი, მოსიყვარულენი, სანდონი.

ნახვამდის, ჩემო ახლობელო და დაუვიწყარო მეგობრებო. მსუბუქი იყოს თქვენთვის თქვენი კუთვნილი მიწა. გაუნელებელია თქვენი და ჩემი ოჯახების წუხილი. იმის გაფიქრებაც, რომ თქვენ აღარ ხართ, გულს მტკენს, მაგრამ საშველი არ არის... გემშვიდობებით, ძვირფასო, ერთგულო და კეთილშობილო ადამიანებო.

ტარიელ ბენდუქიძე

ტარიელი ჩემი მეუღლის, ავთანდილის, უმცროსი ძმა იყო. იმ დროს, როდესაც მე მათ ოჯახში შევედი, ტარიელი, ძალიან თბილი და საყვარელი ყმაწვილი, სკოლაში სწავლობდა. იმთავითვე დავმეგობრდით. უყვარდა პოეზია, დაჯილდოებული იყო მუსიკალური ნიჭით და არაპროფესიონალის კვალობაზე მშვენივრად უკრავდა ფორტეპიანოზე. საბოლოოდ, ტექნიკური საგნების სიყვარულმა მაინც სძლია და სწავლა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გააგრძელა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ ბელორუსიაში მოუხდა წასვლა (ეს სწორედ სამამულო ომის შემდგომი უმძიმესი წლები იყო); მოგვიანებით სსრკ-ის სხვადასხვა ქალაქში მრავალ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა და წარმატებით ართმევდა თავს საქმეს. განსაკუთრებით მინდა გავიხსენო ქ. კიევში მისი ცხოვრების წლები. ტარიელი, მთელ სსრკში თავისი მნიშვნელობით II საავიაციო ქარხნის მთავარი მეტალურგი იყო და როგორც მისი კიეველი თანამშრომლებისა და მეგობრებისაგან ვიცი AH (ანუ ანტონოვის) თვითმფრინავების გამოშვებისა და მთლიანად ქარხნის წარმატებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა, რისთვისაც უამრავი ჯილდო ჰქონდა მიღებული.

ტარიელი კიევში აღარ ცხოვრობდა, როდესაც ჩემი მუღლე (სამსახურეობრივი მივლინებით) და მე კიევში ჩავედით. ტარიელის მეგობრებმა არაჩვეულებრივი სით-

ბოთი მიგვიღეს; ის სიყვარული, რასაც ტარიელი იმსახურებდა, ჩვენ გვიწილადეს. ბევრს გვიყვებოდნენ თავიანთ ურთიერთობებზე, ტარიელის ნიჭსა და ინტელექტზე, შრომისმოყვარეობასა და საქმისადმი მისი პასუხისმგებლობის გრძნობაზე, იგონებდნენ ერთად გატარებულ დღეებს... ეს სითბო და სიყვარული დრომ და მანძილმა ვერ გაანელა. ამას მოწმობს ისიც, რომ ტარიელის მეგობრები, მიუხედავად ხანდაზმული ასაკისა, ოჯახებიანად ჩამოვიდნენ თბილისში მისი საფლავის მოსანახულებლად; ამით სცეს პატივი მის ხსოვნას... ტარიელის ეს მეგობრები დღემდე ხშირად ურეკავენ მის მეუღლეს და სითბოს არ აკლებენ. ეს ყველაფერი ტარიელმა დაიმსახურა თავისი ცხოვრების წესით.

ტარიელი არც სულით, არც აზროვნებით არ დაბერებულა, ხანში შესულ ასაკშიც კი ახალგაზრდა იყო. სხვასთან ერთად, ამაზე ისიც მეტყველებდა, რომ თავისი მეგობრების შვილებთან საოცრად თბილი და ახლო ურთიერთობა აკავშირებდა, ყოველი მათგანი მას სახელით მიმართავდა. ტარიელის ასეთი სიახლოვე მეგობრების შვილებთან, ხანდახან მშობლების „ეჭვიანობასაც" იწვევდა. როცა ტარიელის მეგობრებს რაიმე პრობლემა გაუჩნდებოდათ ხოლმე შვილებთან ურთიერთობაში, ტარიელს მიმართავდნენ – მოსკოვში ცხოვრობდა, კიევში თუ თბილისში, მნიშვნელობა არ ჰქონდა. ბევრი ასეთი შემთხვევა ვიცი, ყველაფერი აქ სათქმელი არ არის, მაგრამ ამას იმიტომ ვიხსენებ, მამის ტოლი კაცის ურთიერთობა რომ დაგიხატოთ ახალგაზრდა მეგობრებთან.

თბილისში რომ გადმოვიდა საცხოვრებლად, ტარიელი დაოჯახდა. შექმნა ლამაზი, თბილი ოჯახი, შეეძინა ქალიშვილი, ანა, რომელიც მშობლებივით ნიჭიერი და კეთილშობილია.

ვნუხვარ, რომ ჩვენ შორის აღარ არის ტარიელი, ეს ერ-უდირებული, საღად მოაზროვნე ინტელიგენტი, უაღრესად ზრდილი, ახლობელთა და ნაცნობ-მეგობართა მოყვარული და ერთგული ადამიანი.

მისი ოჯახი იმავე წესით განაგრძობს ცხოვრებას. ამ ოჯახში ულევი სიკეთეა და ასე იქნება მუდამ. ვუსურ-ვებ მის წევრებს – ჩემს საყვარელ რძალს, ვანდას და მის შვილს, ანა ბენდუქიძეს – ბედნიერ ცხოვრებასა და წინ-სვლას.

ანა კალანდაძე

ძალიან განვიცდი ანას ამქვეყნიდან წასვლას. თავს უფლება მივეცი, ეს ჩემეული სიტყვა მაინც მეთქვა. უპირველესად ჯონდო გვასალიას გამოქვეყნებული წიგნიდან – „მრწამსი“ – მინდა მოვიტანო უნიჭიერესი, სასიქადულო პოეტის, ანა კალანდაძის, დახასიათება: „ეს იყო საოცრება. ანა – ლექსებში საოცრად პოეტური და ცხოვრებაში – ასეთი სადა, ჩვეულებრივი.“

ქალბატონ ანას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ პოეტურ აზროვნებაში. მისი მრავალმხრივი შემოქმედება იპყრობს მსმენელს და მისი მუსიკად ქცეული განცდების თანაზიარად ხდის. ანა კალანდაძე ქართულ პოეზიაში ერთ-ერთ კოლორიტულ პიროვნებად არის მიჩნეული, სიყვარულის მფარველ ადამიანად წარმოჩნდება და ეს მთელ მის ცხოვრებას მოიცავს, რომელიც დიდი ტკივილით, მაგრამ მხნედ გაატარა.

იშვიათად თუ ღირსებია ვინმეს სიცოცხლეში ისეთი სიყვარული და აღიარება, როგორიც ანა კალანდაძეს; მის ლექსებში გვიზიდავს ჰარმონია და მელოდიურობა, ლექსთა სილრმე. მისი პოეზია, მისი წარმატება ამოუწურავია, ის ყველას უყვარს, ყველასთვის ახლობელია, მისი ლექსები ნათებასავით არის, ამიტომ ხვდა მას ასეთი დიდი წარმატება. ანა ის პოეტია, რომლის ლექსებმა საოცარი ზემოქმედება მოახდინა ქართულ ლიტერატურაზე, იგი მსმენელზე დიდ ემოციურ ზეგავლენას ახდენს... ანა კალანდაძე არაჩვეულებრივად კითხულობდა თავის ლექსებს.

პოეზია ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ, როდესაც ანას ლექსები აღმოვაჩინე, თითქოს ყველა ლექსი დაიბინდა, ჩემთვის მაშინ მხოლოდ ანა და მისი ლექსები არსებობდა.

მაგონდება ჩემი ეთნოგრაფიული მივლინება აღმოსავლეთ საქართველოში, მგონი მთიულეთში, სადაც სრულიად შემთხვევით შევხვდი შესანიშნავ პიროვნებას და მეცნიერს, ბატონ ივანე გიგინეიშვილს, რომელიც აგრეთვე სამეცნიერო მივლინებით იყო იქ ჩასული. ანას ლექსებით ისიც აღტაცებული იყო და ბევრი მათგანი ზეპირად იცოდა, შესანიშნავად კითხულობდა და ბედნიერად გრძნობდა თავს, როდესაც მე დიდი ხალისით და სიყვარულით ვუსმენდი და ანას ლექსითვე ვპასუხობდი.

თითქოს ახლაც ჩამესმის:

„ლამის სახლში შემოიჭრას თუთა,
ლამის თავზე გადამისვას ხელი,
დამიძახებს, თვალს ჩამიკრავს მუდამ
ხე მაღალი, ხე ზურმუხტისფერი.

რა ჩურჩული ესმით ჩემთა ყურთა?
რა ჩურჩული!.. დამდაგველი, მწველი,
ლამის სახლში შემოიჭრას თუთა,
ლამის წელზე შემომხვიოს ხელი.“

2008 წ.

თინა ყაუხჩიშვილი

დროთა ვითარებაში არ იქნეს დავიწყებული ადამიანთა საქებარი საქმიანობა.

(ჰეროდოტე)

თინას 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით წერილი ვუძღვენი. მას მერე ორივეს ასაკი მოგვემატა, სურვილი გამიჩნდა ისევ მივმართო მას და ჩემი სიყვარული და აღფრთოვანება მისი პიროვნებით კიდევ ერთხელ გამოვხატო.

ამ გამოჩენილ მეცნიერს, კარგად იცნობენ მთელ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც. ჩამოთვლაც კი ძნელია, რამდენი სასიქადულო საქმე გააკეთა მან მეცნიერებაში. აკადემიკოსების სიმონ ჯანაშიას და სიმონ ყაუხჩიშვილის მითითებით თინამ, სრულიად ახალგაზრდამ, დაიწყო საქართველოს ბერძნული წარწერების გამოვლენა და შესწავლა და დიდი წარმატებითაც. იგი დღესაც დიდი მონდომებით მუშაობს ბერძნულ წარწერებზე, რაზეც მეტყველებს 2004 წელს დაბეჭდილი მეორე შევსებული გამოცემა საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსისა.

1981-89 წწ. თინა ხელმძღვანელობდა ექსპედიციებს, რომელიც ადგილზე ავლენდა და ამოწმებდა ბერძნულ წარწერებს, იღებდა მათ ასლებს და ფოტოპირებს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მანამდე ნაკლებად ცნობილი ავტორების ცნობებსაც, რომელთა გათვალისწინება

დღეს აუცილებელია (გამოქვეყნდა 6-ტომიან სერიაში Scriptores graeci), პირველად თინამ მიაქცია ყურადღება.

თ. ყაუხჩიშვილის მიერ გაშიფრულმა არქეოლოგიურმა მასალამ დიდი როლი შეასრულა არა მარტო დამწერლობის ისტორიის შესწავლაში, არამედ სხვადასხვა სახის კულტურულ-ისტორიულ პრობლემასაც მოჰფინა ნათელი. ძალიან საინტერესო იყო აკად. ანდრია აფაქიძის 85 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე წაკითხული მისი მოხსენება, რომელიც ეხებოდა ბიჭვინთის მოზაიკის ბერძნულ წარწერას, წილკნის აკლდამის ფრესკულ წარწერასა და მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტში დაცულ ქვიშაქვის სტელაზე გამოყვანილ წარწერას (რაც 1997 წლის ნოემბერში ანტიოქიის ეკლესიის რესტავრაციისას მის ზღუდეზეა აღმოჩენილი). ეს უკანასკნელი თექვსმეტსტრიქონიანი ბერძნული ასომთავრული წარწერაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბერძნულ ენასა და დამწერლობას საერთაშორისო ხასიათი ჰქონდა ანტიკურ ხანაში. წარწერები, ავტორის აზრით, მნიშვნელოვანია ისტორიული პირების მოხსენიების თვალსაზრისით და იმითაც, რომ IV-V საუკუნეების იბერიაში ხდება საფორტიფიკაციო თუ რელიგიური ხასიათის ძეგლების აგება.

არ შეიძლება, არ აღვნიშნო თ. ყაუხჩიშვილის ერთერთი ნაშრომის „სტრაბონის გეოგრაფიის“ მნიშვნელობა, რაც აკად. ნიკო ბერძენიშვილმა ასე გამოხატა: „ეს ნაშრომი მნიშვნელოვანი წვლილია ისტორიათმცოდნეობისა, ხოლო ყოველი ქართველი ისტორიკოსისათვის — სამაგიდო წიგნი“.

თ. ყაუხჩიშვილის გამოკვლევებს დრომ ვერაფერი დააკლო. დიდი შრომა, ენერგია და ცოდნა ჩადო მეცნიერმა ამ საქმეში და დაუფასდა კიდეც.

თინას პიროვნულ თვისებებზეც მინდა გითხრათ. ისაა ერთგული ადამიანი, უშურველი და გულისხმიერი, დაუზა-

რელი, თავისი ცოდნისა და გამოცდილების გამზიარებელი... ამის ნათელი მაგალითია მისი ურთიერთობა სტუდენტებთან, ასპირანტებთან, დისერტანტებთან თუ მეცნიერებთან.

თინას დიდი სიყვარული და თანადგომა მეგობრების მიმართ მისაბაძია. ამის არაერთი მაგალითი ვიცი, მაგრამ თინას არ უყვარს ამაზე საუბარი, რადგან თვლის, რომ ეს თვისება ბუნებრივია და ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს.

გასაოცარია თინას ერთი თვისება, დღეს ძალიან იშვიათი — მოსმენის დიდი კულტურა.

თინას განუმეორებელი პიროვნული ხიბლი, სითბო, ხალასი ნიჭი, საქმისადმი ერთგულება, გულისხმიერება, მართლაც გასაკვირია!

ჩემ საყვარელ თინას, საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერს, ბერძნული ეპიგრაფიკის (და არა მარტო) ბრწყინვალე მცოდნეს, მომხიბვლელ პიროვნებას, ერთგულ მეგობარს, უბადლო დედას, ბებიასა და დიდ დიდედას ვუსურვებ ჯანმრთელ სიცოცხლეს, შემოქმედებით წარმატებას და ბევრ ახალ ნაშრომს.

მოკლე სიტყვა მეცნიერ ქალბატონებს: დარეჯან მეგრელიძეს, მანანა ქიქოძეს, ანა ბაქრაძეს, ლეილა ჩიქოვანს

ჩვენს ეროვნულ მეცნიერებას დიდი გატაცებითა და თავდადებით ემსახურებიან მკვლევარი ქალბატონები. ისინი სხვადასხვა დარგში, სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობენ და მრავალმა მათგანმა საქვეყნო სახელი და დიდება მოიხვეჭა. ქართველ ისტორიკოსთა წრეშიც ბევრი ასეთი სასახელო ქალბატონი გვყავს, მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ მკვლევრები: დარეჯან მეგრელიძე, მანანა ქიქოძე, ანა ბაქრაძე და ლეილა ჩიქოვანი.

ამ მეცნიერი ქალბატონების ნაღვაწი, მათი საკვლევაძიებო მიღწევები მრავლისმეტყველი და ხელშესახებია. ისინი ძველ ეტრატებსა თუ ჟამთა მსვლელობისაგან გაყვითლებულ ფოლიანტებში ეძიებენ წინაპართა ისტორიის ამსახველ ფაქტებს... მათ მიერ წამოჭრილი პრობლემატიკა გხიბლავთ, ხოლო ამ პრობლემათა გადაწყვეტის ხერხები და ოსტატობა გაოცებთ. მათი კვლევა მრავალმხრივია: მათ გულმოდგინედ შეისწავლეს ჩვენი ხალხის საშინაო თუ საგარეო ურთიერთობების ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი, დაადგინეს ის მრავალფეროვანი კონტაქტები, რაც წარსულში ჰქონია ჩვენს სახელმწიფოს და საზოგადოებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მეზობელ ქვეყნებთან.

ეს ქალბატონები ღირსეული მკვლევრები, ჩვენი ეროვნული ისტორიის შესანიშნავი პუბლიცისტები, ფართო პროფილის ისტორიკოსები არიან — მათ შესწავლილი

აქვთ ჩვენი ერის ყოფის და განვითარების ყოველი ეტაპი, წლების განმავლობაში აკვირდებოდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის ნიშნებს, იკვლევდნენ და დღესაც იკვლევენ გარდასული კულტურის ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხს, მატერიალური კულტურის ძეგლებს, საზოგადოების სოციალ-ეკონომიკურ თუ ეთნო-პოლიტიკურ პრობლემებს ისტორიის ამა თუ იმ ეტაპზე. მათ ნაშრომებში გაცოცხლებულია ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ერის წარსული ცხოვრების მრავალი საყურადღებო მხარე... ამ მხრივ მათი პუბლიკაციები ფართო საზოგადოების ყურადღებას იპყრობს.

ამ მეცნიერთა ნაშრომებს ახასიათებს ელეგანტურობა. ისინი გაბედულად, გატაცებით მუშაობენ, მაგრამ ყოველთვის ფაქიზად და ფრთხილად ეპყრობიან ფაქტებს. პირველწყაროებთან მუშაობისას ყოველთვის მეცნიერული სიდინჯითა და ჩაკვირვებით სწავლობენ საკვლევ მასალას. მათ გამოკვლეული აქვთ, თუ როგორ ფუნქციონირებს ერთი და იგივე რიტუალი, წესი, ნივთი თუ საგანი სხვადასხვა დროსა და ვითარებაში. ყოველივე ეს მათ მიერ დასაბუთებულია, როგორც საარქივო მონაცემებით, ისე სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზითა და მომიჯნავე დარგების მეცნიერთა დასკვნების მომარჯვებით. სწორედ ამიტომ არის მათი მეცნიერული კვლევების შედეგები სიცოცხლისუნარიანი და აღიარებული ფართო სამეცნიერო წრეებში. დღეისათვის მრავალი მათი მონოგრაფია, ნარკვევი თუ ცალკეული სტატია, არის გამოქვეყნებული. მათი ნაშრომები არაერთხელ იყო აპრობირებული ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სხდომებზე, ამა თუ იმ სამეცნიერო კონფერენციაზე და სიმპოზიუმზე, სადაც მაღალი შეფასებები დაიმსახურეს.

მიუხედავად იმისა, რომ ვითარება, რომლის დროსაც მიწევს ამ სიტყვით გამოსვლა, არ იძლევა კონკრეტული და საგნობრივი მსჯელობის საშუალებას, მაინც მსურს ნა-

თელი მოეფინოს ჩვენი ძვირფასი კოლეგების დიდ ღვაწლს მამულის, ერისა და მეცნიერების წინაშე.

დიდი მადლობა მათ თავდადებული შრომისა და უზადო შემოქმედებისათვის. ვუსურვებ კარგად ყოფნას და სულიერ სიმამაცეს. იმედი მაქვს დიდხანს იდგებიან ჩვენი მეცნიერების სამსახურში და კვლავ არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომით გაგვახარებენ.

2005

მარიამ ლორთქიფანიძე

ძნელია ცნობილი ისტორიკოსის, ადამიანის, მოქალაქის მარიკა ლორთქიფანიძის თავდადებული ღვაწლის შეფასება. მის მრავალფეროვან სამეცნიერო მოღვაწეობაში წამყვანი ადგილი თბილისის თემას უკავია. მარიკას ყველა ნაშრომის ჩამოთვლა არ არის ადვილი. ის არის თბილისის ისტორიის სამტომეულის პირველი ტომის (IV-X სს-ის) ავტორი, მასვე ეკუთვნის მრავალტომიანი „საქართველოს ისტორიის ნაკვეთები", რისთვისაც საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა (1982 წ.), ქ-ნი მარიკაა ავტორი ნაშრომისა „თბილისისათვის ბრძოლის ისტორიიდან" (1990 წ.), რისთვისაც 1997 წ. დააჯილდოვეს ღირსების ორდენით. 2000 წელს კვლავ ღირსების ორდენის კავალერია. გისურვებ, ასეთივე შემართებით განვლო კიდევ რამდენიმე ათწლეული ქართული ისტორიული მეცნიერების ასპარეზზე; გისურვებ წარმატებებს მომავალი თაობების პროფესიონალებად ჩამოყალიბების საშურ საქმეში.

მაგონდება ახალგაზრდობის წლები, უნივერსიტეტის ბოლო კურსის სტუდენტები როგორი ხალისითა და სიყვარულით გაკვირდებოდით უმცროს სტუდენტებს, რომელთაგან მხოლოდ მარიკა, ოთარ ჯაფარიძე და ნუგეშა მაყაშვილი მახსოვს. თქვენ და კიდევ რამდენიმე (ვეღარ ვიხსენებ გვარებს, სიბერემ დამრია ხელი) გამორჩეულ სტუდენტებად ითვლებოდით; ოთარ ჯაფარიძეს სპორტული მონაცემებიც ჰქონდა; მას ჩვენი კურსელი გოგონები შორიდან „ჭვრეტდნენ", განსაკუთრებით, ბურთის თამაშის დროს.

ძვირფასო მარიკა, გაუზვიადებლად ვამბობ, რომ მუდამ ღიად და სრულყოფილად გამოხატავ შენს დამოკიდებულებას ადამიანებთან. ხარ ის პიროვნება, რომელიც აზრს და შეხედულებებს არ ცვლის იმის მიხედვით, ესიამოვნება ეს ვინმეს თუ არა, რაც დღეს იშვიათია.

გისურვებ ბედნიერ, წარმატებულ, ლამაზ სიცოცხლეს ოჯახთან და ახლობლებთან ერთად.

2006 წ. 5 აპრილი

თამაზ გამყრელიძე

შესაძლოა ჩემმა მოგონებამ მკითხველს უკმარისობის გრძნობა აღუძრას, მაგრამ, შემინდონ, მხოლოდ იმას ვწერ, რაც მახსოვს და დღესაც მსიამოვნებს.

XX ს-ის II ნახევრიდან საქართველოში ენათმეცნიერების აღმავლობის პერიოდი დაიწყო. სამეცნიერო ასპარეზზე გამოსული ნოვატორული აზროვნებით გამორჩეული ახალგაზრდა, ნიჭიერი თაობა გზას იკვლევდა და საკუთარ ხელწერას იმკვიდრებდა. მათ ეს გზა წარმატებით განაგრძეს და მსოფლიო სამეცნიერო არენაზე ქართული მეცნიერების მნიშვნელოვანი მიღწევები გაიტანეს. სწორედ ამ თაობას წარმოადგენს ჩვენი დროის მსოფლიოში სახელმოხვეჭილი ენათმეცნიერი – ორიენტალისტი, ინდოევროპეისტი, ქართველოლოგი და ზოგადი ენათმეცნიერების გამოჩენილი სპეციალისტი – თამაზ გამყრელიძე.

თამაზ გამყრელიძე თანამედროვეთა მიერ იმდენად აღიარებული ენათმეცნიერია, რომ ძნელია მასზე რაიმე ახლის თქმა. ამ მოგონებაში მხოლოდ ჩვენი ურთიერთობის საუკეთესო დღეების გახსენება მინდა... მსურს, მკითხველს წარვუდგინო მისი პიროვნული ხიბლი, რომლითაც იმთავითვე გამოირჩეოდა თავის თაობაში. იგი არაჩვეულებრივად თავმდაბალი, ზედმიწევნით მოკრძალებული, კეთილი, მეგობრული ურთიერთობის პატივისმცემელი და ბოლომდე გამტანი, მაღალზნეობრივი პიროვნება და ამავე დროს უკომპრომისო, პრინციპული და მიუკერძოებელი მეცნიერია. მან ქვეყნისთვის უმძიმეს წლებშიც შეინარჩუნა

ხალხის ნდობა და პატივისცემა, მოახერხა თანამოაზრეთა შემოკრება და პირადი მაგალითით აგრძნობინა ყველას, რომ სიკეთე და პატიოსნება არ გაუფასურებულა, პირიქით, იგია ცხოვრების ღერძი. ის დღესაც ჩვენდა სასიკეთოდ იღვწის და თავისი ზნეობრიობითა და სიკეთით, ყველას გვიზიდავს და კეთილი მომავლის იმედს გვინერგავს.

თამაზ გამყრელიძე მრავალი წლის წინ გავიცანი. მაშინ ისტორიის და ენათმეცნიერების ინსტიტუტები ერთ შენობაში, ერთ სართულზე იყო განთავსებული. სწორედ იქ შევხვდი პირველად ამ პიროვნებას და მას შემდეგ დღემდე თბილი და მეგობრული ურთიერთობები გვაკავშირებს.

ერთხელ ჩემი მეგობრები, თინა ყაუხჩიშვილი და თამაზ გამყრელიძე შინ, არაყიშვილის ქუჩაზე ნავიყვანე. დედა გაგვიმასპინძლდა. სადილის შემდეგ მეორე ოთახში გავედით, სადაც ჰულა-ჰუპი იდო. გადავწყვიტეთ მის დატრიალებაში შეჯიბრი და აი, მაშინ ვნახეთ ჩვენი მოუქნელობა – აქამდე თინას არასოდეს უცდია ჰულა-ჰუპის დატრიალება და ძალიან გაუჭირდა. თინას შემდეგ ჯერი ჩემზე მიდგა, თავი მაინცდამაინც ვერც მე გამოვიჩინე. სამაგიეროდ, თამაზმა, ჩვენთვის მოულოდნელად, „პროფესიულად" ატრიალა ჰულა-ჰუპი. ამ გასართობით აღტაცებულები ისე ვიცინოდით, რომ თვალებიდან ცრემლები გვდიოდა. მახსოვს, დედაჩემიც კი გამოვიდა და გვკითხა, ხომ მშვიდობა�ო. ის დღე დაუვიწყარია ჩემთვის.

თამაზი ტრადიციულ ოჯახში გაიზარდა. ჩვენი ურთიერთობა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც იგი მშობლებთან ერთად ცხოვრობდა. კარგად მახსოვს მისი დარბაისელი დედა, ქალბატონი ოლიმპიადა ასათიანი, განათლებული, ოჯახის მოყვარული და გამრჯე ადამიანი, რომელმაც ცხოვრების უპირველეს მოვალეობად შვილების სწორი აღზრდა-განათლება დაისახა. სწორედ ამან მოახდინა დიდი გავლენა თამაზისა და მისი ძმის ჩამოყალიბებაზე. როგორც ჩემთვის

გახდა ცნობილი, მათ უკვე სკოლამდელ ასაკში სცოდნიათ წერა-კითხვა და საკმაოდ მომზადებულები შესულან სასწავლებელში. სკოლის ასაკიდანვე თამაზი შრომისმოყვარეობით და სწავლისადმი დიდი ინტერესით გამოირჩეოდა, ეწაფებოდა უცხო ენებს, კარგად ერკვეოდა ისტორიულ და ფილოლოგიურ ლიტერატურაში, იტაცებდა მუსიკა და მხატვრობა.

მან წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი და სულ მალე თავისი გახმაურებული საკანდიდატო დისერტაციით: „ხეთური ენის არაინდოევროპული ელემენტები, სიბილანდთა შესატყვისობანი და ქართულ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი“ (1959 წ.) იმთავითვე მიიპყრო, როგორც ქართველ მეცნიერთა, ასევე მსოფლიოში სახელგანთქმულ ინდოევროპეისტთა განსაკუთრებული ყურადღება.

თამაზ გამყრელიძის საკანდიდატო დისერტაციის დაცვა საყოველთაო მოვლენად იქცა. დარბაზი და დერეფანი სავსე იყო ხალხით... ტევა არ იყო... დაცვის მსვლელობისას საზოგადოება სულგანაბული უსმენდა გამომსვლელებს. გამოჩენილი ენათმეცნიერები არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია გ. წერეთელი და სხვები აღნიშნავდნენ დისერტაციის დიდ ღირსებას და, როგორც გავიგე, საუბრობდნენ იმაზე, რომ წარმოდგენილ დისერტაციას დამსახურებულად შეიძლებოდა ნოდებოდა „სადოქტორო“, თუმცა, სამწუხაროდ, წესდების მიხედვით, ტექნიკურად იმ ეტაპზე შეუძლებელი იყო მისთვის დოქტორის ხარისხის მინიჭება. ყველანი აღფრთოვანებულები ვიყავით. მახსოვს, ახალგაზრდა მეცნიერის წარმატებამ როგორ გაახარა ბატონი გიორგი ჩიტაია, იგი აღტაცებული ამბობდა: „აი, ეს არის მეცნიერი და ღირსი ყველა წარმატებისაო“...

გავიხსენებ კიდევ ერთ შემთხვევას. აკადემიაში წევრ-კორესპონდენტების არჩევნები იწყებოდა. ბატონი გიორგი

ჩიტაია და მე ერთ განყოფილებაში ვმუშაობდით და ერთად ვისხედით ოთახში. დღის ბოლოს ბატონ გიორგის აკადემიკოსი, პრეზიდიუმის წევრი (გვარს არ ვასახელებ) ესტუმრა, რაღაც ოფიციალური ქაღალდი მიაწოდა და შეატყობინა, რომ ენათმეცნიერების დარგში ერთ ადგილზე ორი კანდიდატი იყო წარდგენილი – თამაზ გამყრელიძე და ვიღაც სხვა, რომლისთვისაც სთხოვა მხარდაჭერა. ბატონმა გიორგიმ მკაცრად უპასუხა: „მე ხმას ვაძლევ ღირსეულ და ნიჭიერ ახალგაზრდა მეცნიერს – თამაზ გამყრელიძეს!" ეს ეპიზოდი სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, თუ რა ობიექტური დამოკიდებულება ჰქონდა მას მეცნიერებისადმი. თ. გამყრელიძის მეცნიერული წარმატების რწმენა გ. ჩიტაიას ბოლომდე გაჰყვა. სიამოვნებით ადევნებდა თვალყურს მის მიღწევებს, ხოლო გამყრელიძის და ივანოვის ნაშრომი „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები" მის სამაგიდო წიგნად იქცა. სიცოცხლის მიწურულს გ. ჩიტაიას პირად დღიურში ჩაუწერია: „თ. გამყრელიძე გვაოცებს თავისი მიღწევებით. აი, თუნდაც: დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ინდოევროპულ ენაზე ლაპარაკობს. 19 ყველაზე მეტად გავრცელებული ენიდან, 11 ინდოევროპულია. ყველა ამ უკანასკნელ ენას ჰქონდა ერთი წინაპარი ინდოევროპული პრაენა, ანუ ზოგადინდოევროპული ენა, რომელსაც იყენებდნენ კონკრეტული ადამიანები. ის ადგილი, სადაც ისინი ცხოვრობდნენ და ლაპარაკობდნენ ინდოევროპულ პრაენაზე, იყო მათი სამშობლო. სად იყო ეს სამშობლო, სად იყო მათი პრა-სამშობლო, ამაზე პასუხს იძლევა თ. გამყრელიძის და ივანოვის გლოტოგონური[1] თეორია" (გ. ჩიტაია, „ჩემი ცხოვრების გზებზე და ბილიკებზე", თბ., 1991 წ.).

---

[1] გლოტოგონია [ბერძნ. glotta ენა და gonos დაბადება] – (ლინგვ.) ენის წარმოშობა და განვითარება.

დღეს თამაზ გამყრელიძე ქართული მეცნიერების აღიარებული ლიდერია. არის საქართველოს, რუსეთის აკადემიების ნამდვილი წევრი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი. არჩეულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების წევრად, მინიჭებული აქვს მრავალი ეროვნული და საერთაშორისო პრემია და ჯილდო.

თამაზ გამყრელიძე თავისი ქვეყნის მოყვარული და გულშემატკივარია. იგი დღესაც საკუთარი შემოქმედებით ღირსეულად წარმოაჩენს საქართველოს საერთაშორისო ფორუმებზე და განა მარტო ეს. ალბათ ყველას ახსოვს მისი გახმაურებული გამოსვლები 1989 წლის 9 აპრილის, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ცნობილ მოვლენებთან დაკავშირებით...

თ. გამყრელიძემ სამართლიანად დაიმსახურა დიდ ქართველ მეცნიერთა კოჰორტის ღირსეული წარმომადგენლის სახელი. იგი მარად იქნება, როგორც ქართული გენის მაღალი შემოქმედების გამოხატულების სიმბოლო.

მსურს, რომ მომავალი თაობა ჩასნვდეს ამ მემკვიდრეობას, რომელმაც შორს გაუთქვა სახელი ქართულ მეცნიერებას.

რომა შაქარიშვილი

„ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო" – ეს სიტყვები ილიამ მოხევე ლელთ ღუნიას ათქმევინა და ეს მონოდება არა მარტო მეცხრამეტე, არამედ მეოცე საუკუნისთვის და მომავალი თაობებისათვისაც აქტუალურია.

რომა შაქარიშვილი მედიკოსთა ოჯახში დაიბადა და გაიზარდა; რომას მამა და პაპა ნეიროქირურგები იყვნენ. რომას მამამ სამედიცინო განათლება თბილისში მიიღო, პაპამ – ტარტუში. მთელი მათი ცხოვრება და შრომა სამაგალითო იყო რომასთვის და დღესაც იგი მათ სახელოვან გზას აგრძელებს. რომას ვაჟიც უცხოეთშია, წარმატებით უძღვება თავის საქმეს და საქართველოს ბედ-იღბალი მისთვის ერთ-ერთი მთავარი საფიქრალია.

რომა შაქარიშვილი ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს გამოირჩეოდა ნიჭიერებით, რის გამოც ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა ასპირანტურაში და სულ მალე მეცნიერ თანამშრომლად დაიწყო მუშაობა.

რომა პირად ურთიერთობაში საინტერესო მოსაუბრე, საოცრად უშუალო, პრინციპული, კეთილშობილი და ხალისიანი ადამიანია, ამავე დროს თავისი მოღვაწეობით და საზოგადოებრივი საქმიანობით, წინაპართა დარად გამორჩეული პიროვნებაა. რომას დასახასიათებლად შეიძლება გალაკტიონისეული ლექსის სტრიქონი გავიხსენოთ – „სავსე ქართული პატიოსნებით", რაც სავსებით მიესადაგება მას ისევე, როგორც იმას, ვისზედაც ითქვა ეს სიტყვები. ასეთია ჩვენი ძვირფასი რომა, რომელიც კიდევ დიდხანს

გაგვახარებს თავისი პროფესიული წარმატებებით და ჯანსაღი ცხოვრების წესით.

მინდა რომას დაუზარებლობისა და ავადმყოფისადმი დამოკიდებულების შესახებ მოგახსენოთ. ეს იყო დიდი ხნის წინ, ჩემი ახლობელი ავად გახდა. მეძებდნენ, როდესაც შინ დავბრუნდი, გავიგე, რომ ორმა სასწრაფომ მას დიაგნოზი ვერ დაუსვა. გვიანი საღამო იყო. საგონებელში ჩავვარდი, არ ვიცოდი რა მექნა, ბოლოს გადავწყვიტე ბატონი რომა შემეწუხებინა. ის, მიუხედავად იმისა, რომ გვიანი ღამე იყო და მთელი ქალაქი წყდიადს მოეცვა (უშუქობის გამო), მაშინვე წამომყვა ავადმყოფთან, თან წამოიყვანა ახალგაზრდა ექიმი კესო სხირტლაძე, რომელიც მასთან მუშაობდა.

მინდა გავიხსენო ერთ-ერთ სამეცნიერო თავყრილობაზე ბატონი რომას სიტყვით გამოსვლა, სადაც მან აზრი გამოთქვა პროფესიული სამედიცინო კადრების მომზადების და დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების შესახებ საქართველოში. საყურადღებოა, რომ რუსეთიდან ჩამოსულმა სტუმრებმა, როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, აღნიშნეს, რომ მხოლოდ ამ საკითხის გამო ღირდა საქართველოში ჩამოსვლა, რადგან ანალოგიური პრობლემა იყო რუსეთშიც და მას ვერ წყვეტდნენ.

ბატონი რომა დღესაც ენერგიულად აგრძელებს სამეცნიერო მოღვაწეობას; გულითად ექიმს, მეცნიერს, მასწავლებელს და ჩემ მკურნალ ექიმს ვუსურვებ სამეცნიერო მოღვაწეობის ნაყოფიერად გაგრძელებას, ხანგრძლივ, ჯანმრთელ სიცოცხლეს თავის მშვენიერ, კეთილ მეუღლესთან და შვილებთან ერთად.

რომა შაქარიშვილის მსგავსი მოქალაქეები თავისი მოღვაწეობითა და ცხოვრების წესით მისაბაძნი და სანიმუშონი იყვნენ, არიან და იქნებიან.

რჩეულნი რჩეულთა შორის

(ირაკლი და გოგი ოჩიაურები)

„ყველა ხევსური, ვიცი, დანტეა“.

გ. ლეონიძე

სიცოცხლის, სილამაზის და მრავალფეროვნების აღქმისაგან გაუცხოებულ დღევანდელ სამყაროში, სადაც ცხოვრების მთავარ მიზნად მომხვეჭელობა იქცა, ამქვეყნიური გზის სახელოვნად, სპეტაკად გავლა საამაყო და სამაგალითოა. დიდი ბედნიერებაა, როდესაც ასეთ განსაკუთრებულ, მომხიბლავ და ბუნებით ფაქიზ ადამიანებს პირადად იცნობ და მათთან თუნდაც მცირედი შეხება გაქვს.

ჩემი მეგობრის, თინა ოჩიაურის, ძმებმა პირველი შეხვედრისთანავე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე. ბუნებაში არაფერი არ იკარგება, არც მათი ხიბლია დაკარგული. იშვიათია, ვინმეს საზოგადოებისგან ისეთი სიყვარული და პატივისცემა დაემსახურებინოს, როგორც ინტელექტით და განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეულ ჭეშმარიტ მამულიშვილებს – ირაკლი და გოგი ოჩიაურებს. ალბათ, ამან განსაზღვრა მათი ცხოვრების გზა. ვფიქრობ, ის სითბო და სიყვარული, რომელიც მათი ნამუშევრებიდან გამოსჭვივის, ამ დიდებული ადამიანების სულის ანარეკლია.

ირაკლის და გოგის მთელი ცხოვრება და შემოქმედება ცხადყოფს, რომ იმ ფასეულობათა ღირსეული მემკვი-

დრეები არიან, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს და ჩვენამდე მოიტანეს. მათ აღელვებთ და აფიქრებთ ჩვენი სამშობლოს ბედ-ილბალი. სწორედ ამიტომ მნამს, რომ მათი ნამუშევრები ქართული ხელოვნების უმნიშვნელოვანესი შენაძენია.

ყოველთვის მახარებს მათთან შეხვედრა. ბედნიერად ვთვლი თავს, რომ მათთან დიდი ხნის ახლო ურთიერთობა მაკავშირებს. დღემდე მხიბლავს მათი თბილი, კეთილმოსურნე, მოსიყვარულე ხასიათი, ვაჟკაცობა, პრინციპულობა და ერთგულება. მეამაყება, რომ თავიანთი ხანგრძლივი ცხოვრების გზები სახელოვნად, სპეტაკად გაიარეს. სულითა და გულით ვუსურვებ ჩემს ძვირფას ადამიანებს მათი უაღრესად ინდივიდუალური ხელოვნების აღმავლობას.

შემოქმედი თითქმის არასოდეს რჩება თავისი ქმნილებებით ბოლომდე კმაყოფილი, ამიტომ ოჩიაურები მუდამ ძიებაში არიან; სიახლისადმი მუდმივი სწრაფვა, პასუხისმგებლობა და მიღწეულით დაუკმაყოფილებლობა არის მათი სტიმული.

ქანდაკების, ნახატის, ჭედურობის (რაც კიდევ უფრო რთული „დასახატია") შექმნას, განსაკუთრებული, ამაღლებული და პოეტური განწყობა სჭირდება. დღევანდელი მძიმე ცხოვრების პირობებში, თქვენ მაინც ახერხებთ ხელოვნის შესაფერი განწყობის შენარჩუნებას. სწორედ ამაშია თქვენი სიდიადე და „პიროფლიანობა". სათქმელი ძალიან ბევრი მაქვს, მაგრამ ძნელია ყველაფრის ისე გამოხატვა, როგორც მინდოდა, მხოლოდ ის მანუგეშებს, რომ იცით ჩემი კეთილგანწყობა და მაპატიებთ. შეიძლება სხვამ უკეთესად თქვას, თქვენ ამას დიდი ხანია იმსახურებთ.

თქვენი დიდი პატივისმცემელი
ჯულიეტა რუხაძე-ბენდუქიძე
XII. 2004

როინ მეტრეველი

„კაცად კაცადმან თავისი ტვირთი იტვირთოს"

პავლე მოციქული

ჩანაწერები როინ მეტრეველზე ერთი წლის წინ გავაკეთე. დღეს დროც შეიცვალა, ადამიანების დამოკიდებულებაც. მე კი კვლავ ძველ პოზიციაზე ვდგავარ და მწამს – ისტორია, დღეს თუ არა, ხვალ, იტყვის თავის სათქმელს და იმ დროისათვის იქნებ ამ ჩემმა მოგონებამაც ზოგიერთებს სიმართლე შეახსენოს.

როინ მეტრეველისადმი მიძღვნილ ჩემს წერილს ნავუმძღვარე პავლე მოციქულის სიტყვები: „კაცად კაცადმან თავისი ტვირთი იტვირთოს". ბატონმა როინმა ბევრი იტვირთა, ღირსეულად და თავდაუზოგავად ემსახურებოდა ყველა საქმეს, საზოგადოებრივს თუ სამეცნიეროს, რასაც კი ხელს მოჰკიდებდა.

რ. მეტრეველი XX საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი ისტორიკოსია. მან მნიშვნელოვანი სიტყვა თქვა ქართულ საისტორიო მეცნიერებაში. ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში გამოირჩეოდა ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობით, მახვილგონიერებით. ამიტომაც მაშინვე მიიქცია ბატონი შოთა მესხიას ყურადღება და მისი ხელდებულიც გახდა. ბატონი შოთა არჩევანში არ შემცდარა. რ. მეტრეველმა ღირსეული პატივი მიაგო მის ხსოვნას. შოთა მესხიას გარდაცვალების შემდეგ მისი ნაშრომი სწორედ როინ მეტ-

რეველის თაოსნობით გამოიცა. წლების მანძილზე ბატონმა როინმა რამდენიმე საპასუხისმგებლო თანამდებობაზე იმუშავა, ჰქონდა დაღმასვლები და კვლავ აღზევების პერიოდები. ამ ცხოვრებისეულ ხვეულებში მას არ დაუკარგავს მთავარი – პასუხისმგებლობის და კაცთმოყვარეობის გრძნობა. ცხოვრება მკაცრად მოექცა, მაგრამ ვერ შეცვალა, სწორედ ამაში მდგომარებს მისი დიდბუნებოვნობა.

სამწუხაროდ, ქართულ ეთნოგრაფიულ სკოლას და მის მიღწევებს თითზე ჩამოსათვლელი მეცნიერები აფასებდნენ და აშუქებდნენ სათანადოდ. რ. მეტრეველი იმ მეცნიერთა წრეს ეკუთვნის, რომელთაც ყოველთვის ესმოდათ ქართული კულტურის ფასი და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისათვის. ამიტომ, თავისი მოღვაწეობის ყველა პერიოდში, საისტორიო საზოგადოებაში, მეცნიერებათა აკადემიასა თუ თბილისის უნივერსიტეტში, იგი ეთნოგრაფებს მხარში ედგა და პატრონობდა. რომელი ერთი გავიხსენო: ჩიტაიას ძირითადი სამეცნიერო ნაშრომების გამოუქვეყნებლობის გამო რედაქტორობისაგან ყველა თავს იკავებდა. ბატონმა როინმა იტვირთა რედაქტორობა და გამოიცა გ. ჩიტაიას „შრომების“ ხუთტომეული; თუნდაც ის უდიდესი საქმიანობა, რომელსაც რ. მეტრეველის მხარდაჭერით 1998 წლიდან 2006 წლამდე ეწეოდა ეთნოგრაფიის კათედრა საველე მუშაობის ასაღორძინებლად და დარგის პოპულარიზაციისათვის. რამდენი სხვა მნიშვნელოვანი საქმე თუ წამონყება შეიძლება გავიხსენოთ. მეცნიერებათა აკადემიაში მუშაობისას პირადად მე დამიჭირა მხარი უნიკალური ეთნოგრაფიული არქივის გამოცემის საქმეში, მისი წასვლის შემდეგ შეწყდა კიდეც ეს გამოცემა.

ბატონი როინისთვის დამახასიათებელია სწორი პოზიციის დაცვა და სიმართლის დადგენა. ეს არაერთხელ აღუნიშნავთ ჩვენს თანამედროვეებს. ერთხელ მისი ეს თვისებები მეც გამოვცადე. მახსოვს, გ. ჩიტაიას დავალებით უნი-

ვერსიტეტში მომიხდა ნასვლა; კათედრიდან გამოსვლის შემდეგ მარიამ ლორთქიფანიძის სამუშაო ოთახში შევედი და გამოვთქვი ჩემი გულისტკივილი, რომ, როდესაც საენციკლოპედიო წერილის ნასაკითხად „რაე" ასოს ბარათები ჩავათვალიერე, იქ ვერ ვნახე ჩემი ბიძის, ნიკო რუხაძის, ცნობილი მალარიოლოგის, გვარი, რომლის დამსახურება მალარიის ლიკვიდაციის საქმეში სათანადოდ არის შეფასებული დიდ რუსულ ენციკლოპედიაში-მეთქი. ამ დროს ოთახში რ. მეტრეველი შემოვიდა, ჩვენს საუბარს ყური მოჰკრა, დაწვრილებით გამომკითხა საქმის ვითარება. მეორე დილით კი დამირეკა და მითხრა: ნ. რუხაძის შესახებ მასალას გავეცანი, ეს შეცდომა გამოვასწორეთ და ყველაფერი მოგვარდაო.

„სიცოცხლე არ არის მნიშვნელოვანი მხოლოდ მისი არსებობის ფაქტით" – წერდა გ. ასათიანი. დიახ, არსებობ არა მხოლოდ შენთვის. ეს კარგად ჩანს ბატონი როინის მოღვაწეობიდან. იგი ყოველთვის იყო ცნობილი, როგორც კეთილი, გაჭირვებულთა მფარველი და უანგარო ადამიანი; მან ბევრს გაუმართა ხელი და გზაზე დააყენა. როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ, მაგონდება მისი დედა, ჩემი სკოლელი (ის ერთი კლასით ჩემზე წინ სწავლობდა), თავმდაბლობით გამორჩეული, ნაზი, მშვიდი, სათნო გოგონა და კარგი მოსწავლე. სამწუხაროდ, იგი ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან, რამაც ძალიან დამწყვიტა გული. ერთადერთ შვილს კი ყველა ის სიკეთე გადაულოცა, რასაც თვითონ აფრქვევდა გარშემო. ასე მგონია, ბატონ როინს დღემდე ახსოვს ცხოვრების ის სიმძიმეები, რაც თვითონ გადაიტანა და ამიტომაც ურთულეს ვითარებაში ყველას გვერდითმდგომი და შემწეა.

P. S. ვფიქრობ, ბატონ როინს ბევრი დაუმსახურებელი საყვედურის ატანა მოუხდა. მიხარია, რომ იგი ისეთივე

დარჩა, როგორიც იყო, და მისი დამოკიდებულება ქვეყნის, საქმისა თუ ადამიანების მიმართ არ შეცვლილა.

ბატონი როინი ყოველთვის სიკეთის მკეთებელ კაცად იყო ცნობილი და დარწმუნებული ვარ, კვლავ მრავალ საშურ საქმეს გააკეთებს საქართველოს ისტორიისა და მომავალი თაობისათვის. ესაა მისი ცხოვრების მიზანი.

2007

ნანა ხაზარაძე

(ნანას წიგნის განხილვაზე თქმული სიტყვა)

ნანას შესახებ მრავალჯერ თქმულა იმდენად საინტერესო სიტყვები, რომ მე რაიმეს დამატება გამიჭირდება, მაგრამ მაინც აღვნიშნავ, რომ ნანას განსაკუთრებით უყვარს სიცოცხლე და ადამიანები; უყვარს ის საქმე, რომელსაც დაუზარებლად და დიდი ხალისით აკეთებს. ის პროფესიონალი ისტორიკოსია, ეს კარგად ჩანს მისი მოღვაწეობიდან. გარდა ამისა, მისი შინაგანი სიწრფელე მისკენ ადამიანებს იზიდავს. ის „წიგნის ქალია". ნანა ახლაც ჩვეული ხალისით და ნარმატებით აგრძელებს თავის მოღვაწეობას.

დღევანდელი ჩვენი შეკრება ნანას ახალი წიგნის – „სამხრეთ კავკასია და ახლო აღმოსავლეთის" – განხილვას ეძღვნება. ამ წიგნზე ბევრი კარგი სიტყვა ითქვა ისევე, როგორც მის ავტორზე, ავტორის სამეცნიერო ღვაწლსა და პიროვნებაზე.

სათქმელი თითქმის აღარაფერია, მაგრამ მაინც აღვნიშნავ, რომ ნანას ეს წიგნი ნაზიარებია პოეზიასთან. მისი წინათქმა მარადისობასთან შეხების ტოლფასია: „სასწაული მზის ჩასვლასაც ახლავს", – ეს არ არის ადვილი სათქმელი. მსგავსი გამონათქვამები მრავლადაა ამ წიგნში, რომელიც მხატვრული ალღოთია დაწერილი. დაუვიწყარია ჩემთვის ეს პოეტური ფრაზები: „ბაბილოთი, ყვავილთა სურნელით, სულ ახლოს, ხევში მოჩუხჩუხე პატარა მდინარეში განბა-

ნილი ჩიტებით"; „მთებს იქით მზის ყოველდღიური ჩაბრ-ძანება იყო"; „ფიჭვების ჩრდილში მიმალული მზისთვისაც გამიყოლებია თვალი"; „მზემ, როგორც არასდროს მარადისობასთან ზიარების წუთები განმაცდევინა, დამარწმუნა, რომ სასწაული მზის ჩასვლასაც ახლავს" და სხვ.

ასეთია, ბატონებო, ნანა და მისი შემოქმედება, ვუსურვებ, კიდევ ბევრი წიგნით გავეხარებინოთ.

2006 წლის 5 აპრილი

P. S. ნანას ზემოხსენებული წიგნის განხილვის შემდეგ ბევრი დრო გავიდა; ნანამ ახალი ნაშრომებით გაგვახარა. 2006 წელს კიდევ ერთი წიგნით დაამშვენა წიგნის თარო. გამოსცა კრებული იდუმალებით მოსილი სათაურით: „ლუვიური იეროგლიფების სამყაროში". ნანა ნამდვილი „წიგნის ქალბატონია" (ასე დაასათაურა სტატია ნ. ხაზარაძის შესახებ თამაზ ებანოიძემ). მიმდინარე წელს მკითხველი საზოგადოება ნანას რამდენიმე ახალ გამოკვლევას გაეცნობა და არაერთ სიახლეს გვაზიარებს.

ნანამ ერთი საიდუმლოც გამანდო: იგი თავის მოწაფესთან, ნანა ბახსოლიანთან ერთად ძალზე მნიშვნელოვან მონოგრაფიულ გამოკვლევაზე მუშაობს. ავტორების ერთობლივი სურვილით მას „მიდასის სამეფო" დაერქმევა. ასე რომ, ჩემი მეგობარი ნანა ხაზარაძე კვლავ მის მიერ ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში არჩეული ღირსეული გზით მიდის. დარწმუნებული ვარ, რომ ამ გზით ის კიდევ მრავალ წელს ივლის და ქართულ მეცნიერებას ახალი მიღწევებით გაამდიდრებს.

ჯულიეტა რუხაძე

გამდლისწყარო, 2007 წლის ივნისი.

P. P. S. არ შემიძლია არ გავიხსენო ნანას დიდი ტკივილი — 2006 წელს იგი ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა

და ეთნოლოგიის ინსტიტუტის იმ კედლებს მიღმა აღმოჩ-ნდა, სადაც 49 წელი მუხლჩაუხრელად იღვაწა. 170-მდე სამეცნიერო ნაშრომი შექმნა აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია დაიმსახურა, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გამართულ მეცნიერთა ფორუმებზე ორიგინალური კვლევა-ძიებების შედეგებით მრავალგზის წარმდგარა, ახალი თაობის სპეციალისტების აღზრდისა და საქვეყნო საქმეებისათვის ძალ-ღონე არ დაუზოგავს. მძიმე განცდების მიუხედავად, ჩემს მეგობარს ცხოვრების არჩეული წესისათვის არ უღალატია.

ის კვლავ განაგრძობს მეცნიერულ, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, წარმატებით ხელმძღ-ვანელობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტო-რიის კათედრას, ზრუნავს მომავალი კონფლიქტოლოგები-სა და ხელოვნებათმცოდნე ბაკალავრებისა და მაგისტრან-ტების მაღალ კვალიფიკაციაზე, აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო და რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერ-ენციებისა და სესიების მუშაობაში, სათავეში უდგას ექვ-თიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოებას.

ანდუყაფარ ჭეიშვილი

მინდა, ორიოდე სიტყვით გავაცნო საზოგადოებას აღმოსავლეთმცოდნე — ანდუყაფარ ჭეიშვილი და მისი ოჯახი, რომლის ყველა წევრი ოჯახის თავკაცივით უბრალოებითა და თავმდაბლობით გამოირჩევა. მეუღლე ნანა საგანელიძე – თავისი საქმის მოყვარული უპრეტენზიო პიროვნება – არმენოლოგია და რუდუნებით იკვლევს სომხური ენის ფონოლოგიის საკითხებს.

ანდუყაფარის ორი შვილი ექიმია, ორი შვილი კი მშობლების გზას გაჰყვა. ორივე აღმოსავლეთმცოდნეა.

ანდუყაფარი, ვფიქრობ, წიგნის მოყვარულებისათვის კარგად არის ცნობილი. ის თარგმნის ინგლისური, სპარსული, ტაჯიკური და რუსული ენებიდან. მისი თარგმანების კითხვის დროს ისეთი შეგრძნება გიჩნდებათ, რომ თვითონ არის ამ ნაწარმოებების ავტორი. თარგმანები ლაღად და თავისუფლად იკითხება, რასაც უნდა ვუმადლოდეთ ძარღვიანი ქართულის ცოდნას (ამას კი, ჩემი აზრით, თავისი მიზეზები აქვს: ის ბავშვობიდან ძალიან ბევრს კითხულობდა და წიგნის სიყვარული დღემდე შემორჩა. მთავარი მიზეზი კი, ალბათ, ის უნდა იყოს, რომ მშობლების ნიჭი დაჰყვა და ბავშვობა ქართლის სოფლებში, სამაჩაბლოში და საინგილოში გაატარა, რადგან მშობლებს სამსახურებრივი მოვალეობის გამო იქ უხდებოდათ ცხოვრება და ანდუყაფარი და მისი ორი დაც თან დაჰყავდათ).

ანდუყაფარის მშობლებს უჭრიდათ კალამი და აქვეყნებდნენ კიდეც მოთხრობებს. ვფიქრობ, შესანიშნავი მოქართულეობა და მშობლებისგან დაყოლილი ქართული

ენისა და ფრაზის გრძნობა ხდის მის თარგმანებს მკითხველისათვის მეტად მიმზიდველს. ამიტომ იკითხება ასე ლაღად ქართულ ენაზე სომერსეტ მოემის „მთვარე და ექვსპენიანი", ელენე და გიორგი პაპაშვილების „ქვეყანა სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს", „დღესაც მელოდება", ჯეკ ლონდონის, ჰემინგუეის, სელინჯერის, ბრედბერის, ბუნინისა და სადეყ ჰედაიათის მოთხრობები.

ანდუყაფარ ჭეიშვილს გამოსაცემად გამზადებული აქვს ჰაფეზის სამტომიანი თხზულებიდან ამოკრებილი ცნობები საქართველოს შესახებ და მე-19 საუკუნის ისტორიკოსის, შაჰის კარის ოფიციალური ჟამთაღმწერის, ვრცელი საისტორიო თხზულების „მეფეთა საგმირო საქმეების" სრული თარგმანი გამოკვლევითა და კომენტარებით (პროფ. ზ. შარაშენიძესთან ერთად).

გამოსაცემად გამზადებულია მხატვრული თარგმანებიც: პარანდოვსკის „სიტყვის ალქიმია" და გიორგი პაპაშვილის ავტობიოგრაფიული ნაწარმოები.

ვფიქრობ, ამ თარგმანებს საზოგადოება დიდი სიამოვნებით მიიღებს.

ვუსურვებ, ანდუყაფარ ჭეიშვილს და მთელ მის სიკეთით სავსე ოჯახს, თავისუფალ და ბედნიერ საქართველოში ცხოვრებას.

თამაზ ებანოიძე

თამაზი და მე ჩემი მეუღლის, ავთანდილ ბენდუქიძის გარდაცვალების შემდეგ დავმეგობრდით. მართალია, ადრეც ვიცნობდი მას, ხშირადაც მოდიოდა ჩვენს ოჯახში, მაგრამ მისი მასპინძელი ავთანდილი იყო. შეიკეტებოდნენ კაბინეტში, საუბრობდნენ ან მუშაობდნენ და ისე ტოვებდა ჩვენს ბინას, ვერც ვიგებდი.

ავთანდილის გარდაცვალების შემდეგ მესტუმრა, გული გადამიშალა, უამრავი რამ მოიგონა თავიანთი მეგობრობიდან; მამხნევებდა, მიყვებოდა თუ რა ხდებოდა მათემატიკოსებში და ა. შ.

თამაზმა 1931 წ. დაამთავრა მათემატიკის ფაკულტეტი, შემდეგ ასპირანტურა და დისერტაციაც მაშინვე დაიცვა. თამაზ ებანოიძე – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, გატაცებულია მათემატიკით, მათემატიკის ისტორიით, ჟურნალისტიკით, პუბლიცისტიკით, პოეზიით. იგი თავადაც წერს ლექსებს, პოლიტიკური ხასიათის სხარტულებს. როგორც თავად აღნიშნავს, მათემატიკა და მათემატიკის ისტორია შეაყვარა მათემატიკური მეცნიერების გამოჩენილმა ქართველმა პოპულარიზატორმა, განსვენებულმა ავთანდილ ბენდუქიძემ.

თამაზმა ამჟამად, მიზეზთა და გარემოებათა გამო ჟურნალისტურ საქმიანობას მიჰყო ხელი, თუმცა უმაღლეს სასწავლებლებში კითხულობს ლექციებს მათემატიკის ისტორიაში და ამავდროულად, ქართული სწორმეტყველების საკითხებზე. მისი წერილები (რომლებშიც სისტემატურად

აშუქებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქმიანობას და საერთოდ, ქართულ სამეცნიერო ცხოვრებას) ხშირად იბეჭდება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში.

თამაზს ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და საყვარელი შვილიშვილი ლუკა, რომელსაც უძღვნა შემდეგი ლექსი:

„დედის რძესავით შეგრგებოდეს ყოველი ლუკმა.
კარგი ვაჟკაცი გაიზარდე, ძვირფასო ლუკა“.

სარჩევი

შესავალი 3
გიორგი ჩიტაია და ვერა ბარდაველიძე 5
ნარსულის ფურცლები 21
ოთარ შვანგირაძე 25
ალექსი რობაქიძის 100 წლისთავი 34
ნიკოლოზ რუხაძე 37
დავით გვრიტიშვილის გახსენება 40
სიმონ ყაუხჩიშვილი 43
ოთარ ჯინორია 45
ეთერ ჭრელაშვილი-კოდანაშვილის ხსოვნას 48
პროკოფი რატიანი 54
დავით ხახუტაიშვილი 58
გიორგი მელიქიშვილი 63
ელენე ვირსალაძე 68
ნიკოლოზ სტურუა 72
ანა ხარაძის და მიშა სახოკიას გახსენება 77
ანდრია აფაქიძე 80
ჯონდო გვასალია 86
ირაკლი სურგულაძე 90
ფიქრია მაკალათია 97
ჯუმბერ ოდიშელი 101
ანა წერეთელი-ტაბლიაშვილი 103
ეკა პრივალოვას ხსოვნას 105
არკადი კიპნისი 107

დევი კაჭარავა 111
ანა გვენცაძე 113
დავით სეფიაშვილი 116
თამაზ ელკანიშვილისა და დათო მუსერიძის ხსოვნას 118
ტარიელ ბენდუქიძე 120
ანა კალანდაძე 123

თინა ყაუხჩიშვილი 125
მოკლე სიტყვა მეცნიერ ქალბატონებს:
დარეჯან მეგრელიძეს, მანანა ქიქოძეს,
ანა ბაქრაძეს, ლეილა ჩიქოვანს 128
მარიამ ლორთქიფანიძე 131
თამაზ გამყრელიძე 133
რომა შაქარიშვილი 138
რჩეულნი რჩეულთა შორის 140
როინ მეტრეველი 142
ნანა ხაზარაძე 146
ანდუყაფარ ჭეიშვილი 149
თამაზ ებანოიძე 151